პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№116 (12 186)

19 მაისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# ოქროს ხანა რუსთავში



საქართველოს ჩემპიონატის ფინალი

12

# პირველად, მეხუთე ცდიდან

## რუსთავი ოქროს ქუთაისიდანაც ელოდება

ჩემპიონის ბედი იმერეთში წყდება



ხვალ ჩემპიონატი მთავრდება. ბოლო ტურის წინათქმა

2



## ნაკრებში მენტალიტეტის პრობლემაა

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

3

## არველაძე და კალაძე მსოფლიო ვარსკვლავებში

ჟოთა: ძალიან მინდა, ნაკრებს დავეხმარო, ვნახოთ...

5

## ისევ სამარცხვინო არჩევნებზე

### ლაფსუსი?

ყრილობას ნემსაძე არ გაუთავისუფლებია

კვარაცხელია რიგგარეშე ყრილობამდე დაგვემშვიდობა

4



### ასეთ ფეხბურთში ბიზნესი არ შემოვა

ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

4

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენს კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# საქართველოს ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. XXVI ტური. წინათქმა

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 25 | 18 | 6 | 1 | 53-7 | 60 |
| 2. დინამო | 25 | 19 | 2 | 4 | 53-17 | 59 |
| 3. ამერი | 25 | 16 | 6 | 3 | 50-14 | 54 |
| 4. ზესტაფონი | 25 | 15 | 9 | 1 | 53-10 | 54 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 9 | 4 | 40-25 | 45 |
| 6. სიონი | 25 | 11 | 4 | 10 | 28-23 | 37 |
| 7. ტორპედო | 25 | 9 | 4 | 12 | 22-31 | 31 |
| 8. ბათუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 25-26 | 30 |
| 9. ბორჯომი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-33 | 30 |
| 10. ლოკომოტივი | 25 | 7 | 6 | 12 | 20-33 | 27 |
| 11. მერანი | 25 | 5 | 8 | 12 | 17-41 | 23 |
| 12. ჩიხურა | 25 | 5 | 6 | 14 | 13-41 | 21 |
| 13. დილა | 25 | 2 | 6 | 17 | 16-56 | 12 |
| 14. კახეთი | 25 | 0 | 2 | 23 | 20-81 | 2 |

| შინ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 13 | 10 | 3 | 0 | 35-2 | 33 |
| 2. ოლიმპი | 13 | 10 | 3 | 0 | 32-3 | 33 |
| 3. დინამო | 12 | 10 | 1 | 1 | 25-7 | 31 |
| 4. ამერი | 12 | 10 | 2 | 0 | 23-4 | 30 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 6 | 0 | 24-10 | 27 |
| 6. სიონი | 12 | 7 | 2 | 3 | 17-5 | 23 |
| 7. ბორჯომი | 12 | 6 | 3 | 3 | 22-16 | 21 |
| 8. ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 13-14 | 20 |
| 9. ბათუმი | 13 | 6 | 1 | 6 | 17-12 | 19 |
| 10. ჩიხურა | 13 | 4 | 4 | 5 | 8-14 | 16 |
| 11. ლოკომოტივი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-17 | 17 |
| 12. მერანი | 13 | 2 | 6 | 5 | 8-19 | 12 |
| 13. დილა | 12 | 2 | 2 | 8 | 7-24 | 8 |
| 14. კახეთი | 12 | 0 | 2 | 10 | 11-33 | 2 |

| სტუმრად | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 28-10 | 28 |
| 2. ოლიმპი | 12 | 8 | 3 | 1 | 20-43 | 27 |
| 3. ამერი | 13 | 7 | 3 | 3 | 27-10 | 24 |
| 4. ზესტაფონი | 12 | 5 | 6 | 1 | 18-8 | 21 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 3 | 4 | 16-15 | 18 |
| 6. სიონი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-18 | 14 |
| 7. მერანი | 12 | 3 | 2 | 7 | 9-22 | 11 |
| 8. ტორპედო | 13 | 3 | 2 | 8 | 8-17 | 11 |
| 9. ბათუმი | 12 | 2 | 5 | 5 | 8-13 | 11 |
| 10. ლოკომოტივი | 12 | 2 | 4 | 6 | 8-16 | 10 |
| 11. ბორჯომი | 13 | 2 | 3 | 8 | 6-17 | 9 |
| 12. ჩიხურა | 12 | 1 | 2 | 9 | 5-27 | 5 |
| 13. დილა | 13 | 0 | 4 | 9 | 9-32 | 4 |
| 14. კახეთი | 13 | 0 | 0 | 13 | 9-48 | 0 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ს. იაშვილი (დინამო) | 18 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 13 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 11 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 10 |
| წინამძღვრიშვილი (ამერი) | 10 |
| ს. დავითაშვილი (ამერი) | 9 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 9 |
| ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 9 |
| გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 9 |
| ღვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| დოლიძე (ამერი) | 7 |

შარშან ბოლნისის „სიონმა" ქვეყნის ჩემპიონობა ქუთაისში გაიფორმა, დღეს კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პირველ ქართულ ოქროს რუსთავის „ოლიმპიც" იმერეთის მთავარ ქალაქში იზეიმებს. ეფექტური პირველი წრისა და ცოტა მძიმე, მაგრამ რაც მთავარია, შედეგიანი საგაზაფხულო ეტაპის შედეგებით, რუსთაველები ჩემპიონობასთან ერთი ხელის განვდენაზე არიან. ბოლო ტურში კი მეტოქე ისეთი ჰყავთ, ოლიმპელთა ფეხის დაცდენა წარმოუდგენელი ჩანს.

გასარკვევია ასევე მესამეადგილოსნის ვინაობა. ეს პოზიცია ბრინჯაოს მედლებსა და ინტერტოტოზე გასვლის უფლებას იძლევა, არც არაფერს იძლევა. უფრო საინტერესო ისაა, ფლეი ოფში საჩხერული „ჩიხურა" გაარკვევს პირველლიგელთან ურთიერთობას, თუ თბილისური „მერანი". ეროვნულ ჩემპიონატს საკმაო ინტრიგისა და დაძაბულობის გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია. მრავლად იყო როგორც კარგად გასახსენებელი, ასევე უსიამოვნო ეპიზოდებიც. მე-18 პირველობა დღეს სრულდება, საბოლოო დასკვნები კი მომდევნო დღეებში გავაკეთოთ.



ამერთან ქულებდაკარგულმა ოლიმპმა ქუთაისში უნდა იმარჯვოს

# ქუთაისიდან ოლიმპზე!

### 17:00 ტორპედო–ოლიმპი

20 მაისი. ქუთაისი. ცენტრალური.
პირველ წრეში: 0:1

**საავარაუდო შემადგენლობები**

ტორპედო: ქვილითაია, ხარებავა, ტაბიძე, ხურცილავა, რ. კაშია, ა. კვერნაძე, ზივზივაძე, კირკიტაძე, კიკვიძე, ნადირაძე, მდივნიშვილი

ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, ნავალოვსკი, ძამსაშვილი, ქებაძე, აფციაური, გენაძე, რ. გოცირიძე

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

ასისტენტები: ი. უკლება, მ. ნაიკიძე

**რევაზ ძოძუაშვილი** კი შიშობს, „დინამომ" „ტოპედო" რამდენიმედღიან შეკრებაზე არ გადაიყვანოს და სხვაგვარადაც არ წაახალისოსო, მაგრამ მიზეზთა გამო, „ოლიმპს" ქუთაისში სასურველი შედეგის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს. რუსთაულმა კლუბმა მთავარი სიძნელეები უკან მოიტოვა, ყველა პრინციპულ მატჩში სასურველ შედეგს მიაღწია და მეორე წრეში ჩატარებული რამდენიმე უსახური შეხვედრის მიუხედავად, ალბათ, ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს ჩემპიონობას დაუმსახურებლად იზეიმებს. თუნდაც იმიტომ, რომ მდევართან მეორე წრის ურთიერთშეხვედრაში სასურველ შედეგს მიაღწია.

### 17:00 დინამო–ბათუმი

20 მაისი. თბილისი. მ. მესხი.
პირველ წრეში: 3:1

**საავარაუდო შემადგენლობები**

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი, ს. იაშვილი

ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, ცანავა, შალამბერიძე, ბაჯელიძე, ბაჯელიძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, კვარაცხელია

დისკვალიფიკაცია: ლობჟანიძე, ხოხონიშვილი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ასისტენტები: დ. გოგოლაძე, გ. ყრუაშვილი

**არ გამართლდა** „დინამოს" მესვეურთა იმედები და „ოლიმპმა" ჩემპიონატის ბოლო ტურებში ქულათა სასურველ მარაგს მოუყარა თავი. **დუშან უჰრინის** გუნდის საჩემპიონო ბედი „ოლიმპი"-„დინამოზე" იყო დამოკიდებული, ეს შანსი ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა ვერ გამოიყენა და თუ სასწაული არ მოხდა, უეფას თასის საგზურით მოუწევს დაკმაყოფილება. ერთი შეხედვით, შარშანდელთან შედარებით, ვერცხლის მედლები პროგრესია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზედიზედ ორი სეზონის უტიტულოდ დასრულება „დინამოსთვის" დიდ წარმატებად ვერაფრით ჩაითვლება.

### 17:00 სიონი–მერანი

20 მაისი. ბოლნისი. თ. სტეფანია.
პირველ წრეში: 3:0

**საავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, სვანიძე, ლ. ჭელიძე, ბოიომო, ოქროპირიძე, ბაჯელიძე, ბაბუნაშვილი, ა. ალავიძე, ბ. ცხადაძე, ჩასემი

მერანი: სეფიაშვილი, კეტაშვილი, ჯანგიძე, ოსიტაშვილი, ბურჯანაძე, ბესარაშვილი, ზედელაშვილი, ნეფარიძე, გაგუა, დეისაძე, ქორიძე

დისკვალიფიკაცია: გლუნჩაძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, ზ. ბერულავა

**ბოლნისში** გამარჯვება იოლი საქმე სულაც არაა, მაგრამ „სიონი" უმოტივაციოდაა დარჩენილი, რაც, ბუნებრივია, „მერანის" წარმატების შანსს ერთიორად ზრდის. სამი ქულა თბილისელებს უმაღლეს ლიგაში უპირობოდ დატოვებს, ფრე კი **ასლან ბალაძის** გუნდს იმ შემთხვევაში ეყოფა, თუ „ჩიხურა" გორში დიდი ანგარიშით ვერ მოიგებს.

### 17:00 დილა–ჩიხურა

20 მაისი. გორი. თ. ბურჯანაძე.
პირველ წრეში: 1:1

**საავარაუდო შემადგენლობები**

დილა: კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, ნ. ნოზაძე, ლომაშვილი, სამადაშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გონჩაროვი

დისკვალიფიკაცია: თევდორაძე, ტლაშაძე

ჩიხურა: სტურუა, ვაშაკიძე, ქემოკლიძე, გიგაური, გვეტაძე, ბუცხრიკიძე, ი. ზაზახიძე, კ. მახარაძე, როგავა, გ. მიქაძე, დვალი

დისკვალიფიკაცია: ქუცურუა

არბიტრი: ლ. სილაგავა

ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ლ. კვეტენაძე

„ჩიხურას", მხოლოდ და მხოლოდ, გამარჯვება სჭირდება, მაგრამ არც ეს შედეგი მისცემს ფლეი ოფის თავიდან აცილების გარანტიას. „მერანი" ბოლნისში უნდა დამარცხდეს, ან როგორც ვთქვით, თუ ფრეს მიაღწია, საჩხერელებს „დილას" ძლევა დიდი ანგარიშით მართებთ. წინა ტურში „ჩიხურა" უჰრინის გუნდს დუბლშემადგენლობით დაუპირისპირდა, დღეს კი, ბუნებრივია, „დინამოს" კუთვნილი ფეხბურთელების დახმარებით იბრძოლებს მიზნისთვის. ისე კი, „ჩიხურა" მომავალ სეზონში, ალბათ, ნებისმიერ შემთხვევაში პირველ ლიგაში იასპარეზებს, უმაღლესში ადგილის შენარჩუნება კი კლუბის ხელმძღვანელობას იმისთვის სჭირდება, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ადგილი სხვას რომ დაუთმოს.

### 17:00 ამერი–ვიტ ჯორჯია

20 მაისი. თბილისი. ამერი.
პირველ წრეში: 3:4

**საავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: ნაჭყეპია, კაკაშვილი, დიდავა, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე, სახოკია, ბერიაშვილი, ლუჭაშვილი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, კ. ტეფნაძე

**სხვა დროს** „ამერი"-„ვიტ ჯორჯია" უთუოდ ტურის ცენტრალური მატჩი იქნებოდა, მაგრამ ბოლო ტურის წინ სატურნირო მდგომარეობა იმგვარია, რომ გლდანური შეხვედრა გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ატარებს. სტუმართათვის თამაშის შედეგს საერთოდ არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, მასპინძლებს კი გამარჯვება მესამე საპრიზო ადგილის დასაბევებლად ესაჭიროებათ. საინტერესოა, გარისკავს თუ არა **გიორგი ჩიხრაძე** მოედანზე იმ ფეხბურთელების გაყვანას, რომლებიც გაფრთხილების შემთხვევაში, თასის ფინალს გამოტოვებენ. **სულიკო დავითაშვილს** უმაღლესლი ლიგის 100-იან ნიშნულამდე ერთი გოლიღა აშორებს.

### 17:00 ბორჯომი–ზესტაფონი

20 მაისი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.
პირველ წრეში: 0:4

**საავარაუდო შემადგენლობები**

ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ღონლაძე, შ. გრიგალაშვილი, თედიაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი, კაკალაძე

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ღონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, კესანი, ყონატასი, ბ. ნოზაძე, გ. ჭელიძე, ფიფია, გ. ჩხეტიანი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

ასისტენტები: ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე

**ბორჯომში** „ზესტაფონი" ბოლო საფინალო რეპეტიციას გაივლის, მაგრამ იმერლები ალბათ, მატჩის შედეგსაც მიაქცევენ ყურადღებას. **თემურ მახარაძის** გუნდს მესამე საფეხურზე დამკვიდრების შანსი არ დაუკარგავს. არც **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდები უნდა იყვნენ უქმად, ნორმალურად ჩატარებულ სეზონს შინ ასრულებენ და შეეცდებიან, ეს მაჟორულ ნოტაზე გააკეთონ.

### 17:00 კახეთი–ლოკომოტივი

20 მაისი. თელავი. გ. ჩოხელი.
პირველ წრეში: 0:1

**საავარაუდო შემადგენლობები**

კახეთი: გ. იაშვილი, კევლიშვილი, კუპრაშვილი, გერგიშვილი, გ. ხიდაშელი, მ. ხიდაშელი, იოსებაშვილი, ჩუთლაშვილი, მედოევი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი

ლოკომოტივი: გვარამაძე, ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, თუთბერიძე, მალიჩავა, სამხარაძე, გულორდავა, ყენია, ალავერდაშვილი, გოჩაშვილი

დისკვალიფიკაცია: ჟღენტი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, შ. ქუხილავა

**ამ სეზონში** „კახეთმა" გამარჯვების გემო არ იცის და საკუთარი გულშემატკივრები ვინძლო ბოლო ტურში მაინც გაახაროს. „ლოკომოტივს" მოდუნების უფლება ნამდვილად აქვს, რკინიგზელებმა უმაღლესში დარჩენა რამდენიმე დღის წინათ გაიფორმეს და შესაძლოა, თელავში არაოპტიმალური შემადგენლობით ითამაშონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქეთური იქეთური ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

2006-07 წლების სეზონი "ბლექბერნისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ ზურაბ ხიზანიშვილისთვის წარმატებული ვერ გამოდგა. ხიზანიშვილი სეზონის დაწყებისთანავე შეაწუხა საზარდულმა, რის გამოც სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობდა და თამაშიც იშვიათად უწევდა. ჯერ ვითომ ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, თუმცა საქმე აქამდე არ მივიდა - ხიზანიშვილმა რამდენიმე თერაპიული კურსი ჩაიტარა, გამოჯანმრთელდა 'და შვებულებას თბილისში ატარებს.

ხიზანიშვილს აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ, რამდენიმე ნიშანდობლივ და დამწყები ფეხბურთელებისთვის საყურადღებო საკითხებზეც, იმაზეც, თუ ბავშვობაში რატომ აცდენდა ვარჯიშებს...

ინტერვიუ 24 მარტს შოტლანდია-საქართველოს მატჩში მომხდარით დავიწყეთ, როცა ხიზანიშვილს საზარდულის ტრავმის გამო ფეხი ისე ასტკივდა, საჭირო მოძრაობა ვერ გააკეთა და სელტიკელმა კრეიგ ბიტიმ ბოლო წუთებზე გამარჯვების გოლი გაიტანა...



## ნუ წახვალთ რუსეთსა და უკრაინაში

**- შოტლანდიასთან მატჩის წინ კლაუს ტოპმიოლერისთვის არ გითქვამს, რომ საზარდულის ტრავმას ასეთი სავალალო შედეგის მოტანა შეეძლო?**

- ვუთხარი, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელთა დიდი არჩევანი არ არის. ვინ არის კალაძის, კობიაშვილის, ცქიტიშვილის თუ არველაძის სრულფასოვნად შემცვლელი? ეს რომ სანაკრებო თამაში არ ყოფილიყო, არ ვითამაშებდი, "ბლექბერნში" ფეხბურთელის შეცვლა პრობლემა არ არის, ჩვენი ნაკრები კი სულ სხვაა - საქართველოში სანაკრებო ფეხბურთელების დეფიციტია.

**- ტოპმიოლერი კი ამბობს, ჩვენი სამომავლო მიზანი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ბრძოლა არისო. როგორ ფიქრობ, დამდეგი შესარჩევისთვის სანაკრებო ფეხბურთელების დეფიციტი აღარ იქნება? არველაძე თამაშს დაასრულებს ამ დროისთვის, ნაკრების ბევრი წამყვანი ფეხბურთელი კი მომდევნო შესარჩევისთვის 32-34 წლის იქნება. გამოდის, არანაირი ოპტიმიზმის საფუძველი არ უნდა გვქონდეს...**

- არველაძე წავა, დანარჩენებს ასაკი მოემატებათ, ხოლო თუ რა ცვლა მოდის, ამ საკითხში კარგად ჩახედული არ ვარ. გვარებს არ დავასახელებ და ცოტა ხნის წინათ ეროვნულ ნაკრებში ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი მოვიდა, მაგრამ მერე რა გადაუტრიალდათ ტვინში, არ ვიცი, ფაქტია, ისინი სადღაც ჩაიკარგნენ.

**- როგორ ფიქრობ, რა ასაკში უნდა ჩამოყალიბდეს ფეხბურთელი ეროვნული გუნდისთვის? რა ასაკის მოთამაშეები უნდა წარმოადგენდნენ დღეს ცვლას საქართველოს ნაკრებისთვის?**

- მე 17 წლის ვიყავი, უკვე ეროვნულ ნაკრებში რომ შემეძლო თამაში, მიუხედავად იმისა, რომ ტაქტიკურად და ფიზიკურად სრულფასოვნად არ ვიყავი მომზადებული. ნაკრებში 19-21 წლის ასაკიდან დაიწყეს თამაში კალაძემ, კობიაშვილმა და შოთამ, დღეს კი ასეთ ფეხბურთელებს ვერ ვხედავ.

**- იმ რესურსით, რაც საქართველოს ნაკრებს აქვს და დამდეგი ციკლისთვის ექნება, გუნდის მწვრთნელს სასიკეთოდ არაფრის შეცვლა არ შეუძლია?**

- საქართველოს ნაკრების ბევრ ფეხბურთელს ტაქტიკური განათლება არ უვარგა. ტოპმიოლერი მათთან ამ კომპონენტზე კი მუშაობს, მაგრამ ეს ფეხბურთელებს პირველ რიგში კლუბში უნდა ასწავლონ. ევროპაში ამას ბავშვობიდანვე ასწავლიან.

**- როგორც მივხვდი, იმის თქმა გსურს, რომ რუსეთსა და უკრაინაში წასვლით ქართველ ფეხბურთელებს მნიშვნელოვანი ტაქტიკური წინსვლა არ აქვთ...**

- ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს ვურჩევ, რუსეთსა და უკრაინაში არ წავიდნენ, თუმცა ყოველივე ამას მეორე მხარეც აქვს - გაცილებით მეტ ფულს რომ გთავაზობენ და ოჯახი რომ გყავს სარჩენი, შემოთავაზებას თანხმდები, მაგრამ სასურველია, ცოტა მოითმინო და ევროპაში წახვიდე სათამაშოდ, მაგალითად ბელგიაში, ჰოლანდიაში, ან რომელიმე ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის მეორე ლიგაში. 16 წლის რომ ვიყავი, მოსკოვის "სპარტაკიდან" კონტრაქტი გამოაგზავნეს ხელმოსაწერად, მაგრამ მამაჩემმა უარი თქვა, ჩემს შვილში იმ პოტენციალს ვხედავ, რომლითაც ის ევროპაში ითამაშებსო. სხვათა შორის, მაშინ ჩვენს ოჯახს ფინანსურად სულაც არ ულხინდა, მაგრამ მამაჩემმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ახლა კი ზოგი ქართველი ფეხბურთელი მიდის არცთუ ძლიერ უცხოურ ლიგაში, იღებს ფულს, ჩამოდის საქართველოში, ყიდულობს BMW-ს, ძვირიან ტელეფონს და აქ მთავრდება მისი ამბიცია - ამის გამკეთებელს მე ფეხბურთელს ვერ ვუწოდებ.

## ისევ მენტალიტეტი

**- საქართველოს ნაკრები ყოველთვის რომ მარცხდება გადამწყვეტ, პრინციპულ შეხვედრაში, ამას რას დააბრალებდი? შოტლანდიასთან მატჩიც ასეთი იყო - თუ მოვიგებდით, ფინალურ ტაპზე გასვლის შანსი გვეძლეოდა, თუ წავაგებდით - პირიქით.**

- ჩემს სანაკრებო კარიერაში ასეთი მატჩი ორი იყო - შოტლანდიასთან და 2001 წელს შინ რუმინეთთან, როცა 0:2 წავაგეთ. ფეხბურთელთა კლასი და სათამაშო დისციპლინა - ეს არის მთავარი ასეთ შეხვედრებში. ჩვენი ნაკრები კი მაინც უფრო სათამაშო დისციპლინაში მოისუსტებდა. 88 წუთი უძალიანდები მეტოქეს და მერე უშვებ გოლს, რადგან ყველას უკვე დამთავრებული ჰგონია თამაში - ასე დაგვემართა შოტლანდიასთან, მაღალი კლასის ფეხბურთელები კი ასეთ დროს იმას ფიქრობენ, რომ მინიმუმ კიდევ ხუთი წუთია სათამაშო, ანუ არასათანადო სათამაშო დისციპლინას მენტალიტეტიც ემატება.

**- და რა არის ეს მენტალიტეტი, რომელიც ასე უშლის ხელს საქართველოს ნაკრებს?**

- მაგალითად, "ბლექბერნის" ფეხბურთელი თუ დაღლილია და სისხლის ბოლო წვეთები აქვს შერჩენილი, არ არის იმის ალბათობა, რომ გაიფიქროს, 88-ე წუთზე თამაში უკვე დამთავრებულიაო. 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბაიერნმა" "მანჩესტერთან" ბოლო წუთებზე გაუშვა ორი გოლი და დამარცხდა. ფრანც ბეკენბაუერმა კი თქვა, იმიტომ წავაგეთ, რომ ჩვენი, გერმანული მენტალიტეტი დავარღვიეთო. გერმანელებს ასეთი რამ მართლაც ძალიან იშვიათად ემართებათ, საქართველოს ნაკრებს კი ხშირად.

**- რა შესძინა და რა დააკლო ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებს - როგორ ჩანს ეს ნაკრების ფეხბურთელის პოზიციიდან?**

- ტოპმიოლერს ჩვენი ნაკრებისთვის ბევრიც არაფერი დაუკლია, გავიხსენოთ, თუ რა შედეგები ჰქონდა გუნდს ტოპმიოლერის მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე. ისიც მართალია, რომ ტოპმიოლერის ხელში ნაკრებს მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგები არ აქვს. გულშემატკივარს ნაკლებად აინტერესებს, რომ ამხანაგურ მატჩებში ურუგვაისა და თურქეთს მოვუგეთ, მთავარია, თუ რა ადგილზე ვიქნებით შესარჩევ ცხრილში. რაც შეეხება იმას, თუ რა შესძინა ტოპმიოლერის მოსვლამ ქართულ ფეხბურთს, მიმაჩნია, რომ ასაკობრივ ნაკრებებში საქმე უკეთესობისკენ მიდის, ამდენი შეკრება და საერთაშორისო მატჩები ადრე საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს არ ჰქონიათ, რასაც ტოპმიოლერის მთავარ დამსახურებად ვთვლი.

**- შედეგის გარდა მწვრთნელის მუშაობა იმითაც ფასდება, მის ხელში ახალგაზრდა ფეხბურთელები თუ დაწინაურდებიან - ხედავ ასეთ ფეხბურთელს თუ ფეხბურთელებს საქართველოს ნაკრებში?**

- ტოპმიოლერმა ნაკრებში ზაალ ელიავა მოიყვანა, რომელიც, ასე ვთქვათ, უკვე ჩაჯდა გუნდში. ელიავამ თურქეთთანაც კარგად ითამაშა და შოტლანდიასთანაც, როცა ის მოედანზეა, თამაში გვიადვილდება. ეს ცოტას არ ნიშნავს.

## აზიატები ბრიტანელებიც არიან

**- "ბლექბერნზეც" ვთქვათ. გუნდს მომავალ სეზონშიც მარკ ჰიუზი გაწვრთნის?**

- ჯერჯერობით საქმეს ასეთი პირი უჩანს. იყო ლაპარაკი მისი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაზე, მაგრამ მომდევნო სეზონისთვის ალბათ ის "ბლექბერნში" იქნება.

**- საკუთარ თავს ისეთ ფეხბურთელად მიიჩნევ, რომ თუ ჰიუზი უკეთეს გუნდში გადავა, შენც თან წაგიყვანს?**

- არ ვიცი, ბრიტანელი მწვრთნელები აზიატები არიან იმ მხრივ, ფავორიტ ფეხბურთელს დაიგულებენ, მერე კი უცბად რაღაც გადაუტრიალდებათ თავში და ამ ფეხბურთელს სულ სხვა თვალით შეხედავენ. ამ მომენტისთვის ჰიუზი ჩემ მიმართ სიმპათიით არის განწყობილი, ხშირად გამიყვანს ხოლმე განზე და პირისპირ მესაუბრება, რითაც მაგრძნობინებს, რომ გუნდისთვის და მისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვარ. მე კი მასთან დისტანცია მიჭირავს. "რეინჯერსში" ალექს მაკლიშიც თავიდან კარგი თვალით მიყურებდა, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ ფაქტობრივად ექვსი თვე უთამაშებელი ვიყავი. ყველა ფეხბურთელს ვურჩევ, მწვრთნელთან დისტანცია ჰქონდეს, არ უნდა დაიჯერო, რომ ყველაფერი სულ ასე ტკბილად იქნება და არაფერი მოხდება, დარწმუნებული არაფერში არ უნდა იყო.

**- შოთა არველაძე შოტლანდიასთან მატჩის წინ "რეინჯერსის" საკლუბო ჟურნალში გახმაურებული ფილმის "ბორატის" მთავარ გმირს რომ შეადარეს, ეგ ისტორია როგორ იყო?**

- შოთას აიაქსელი თანაგუნდელი ბენი მაკარტი ახლა ჩემი თანაგუნდელია "ბლექბერნში" და როცა თებერვალში "ალკმაარის" ერთ-ერთ შეხვედრაში ულვაშა არველაძე ნახა, ეგრევე დამიმესიჯა, ერთი განახა, შოთა ულვაშებში ბორატს როგორ ჰგავსო. აქედან დაიწყო ყველაფერი.

## ქინქლაძე და გაცდენილი ვარჯიშები

**- ცოტა შორეულ გეგმებზეც გკითხავ, თუ მნიშვნელოვან კაპიტალს დააგროვებ, დააპირებ ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადებას?**

- თუ საშუალება მექნება, საქართველოში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შექმნა მსურს, ისეთის, სადაც ყველაფერი ევროპულ დონეზე იქნება, სადაც ბავშვი მივა და ყველაფერი დახვდება - მინდვრები, ფორმა, ბუცი და ბურთი, სადაც ბავშვს მისატანი არაფერი ექნება, მათ შორის არც ფული. ასეთნაირადაა მოწყობილი ყველაფერი ევროპაში. საქართველოში მშობელი 20-30 ლარს იხდის ყოველთვიურად იმისთვის, რომ ბავშვმა საფეხბურთო სკოლაში ივარჯიშოს. ევროპაში კი ყველაფერს იმ კლუბის ბიუჯეტი ფარავს, რომლის სკოლაშიც დადის ბავშვი. კარგად მახსოვს, ბავშვობაში რამდენჯერმე გავაცდინე ვარჯიში იმის გამო, რომ ჩემს ოჯახს იმ მომენტში არ ჰქონდა საფეხბურთო სკოლაში მისატანი ფული.

**- ფეხბურთი და ფეხბურთელის განვითარება კომპლექსური საკითხია, თუმცა შენ ალბათ მიგაჩნია, რომ ბავშვთა ფეხბურთი ამ კომპლექსიდან საქართველოს პირობებში უფრო მნიშვნელოვანია.**

- ბავშვობაში ჩემს თაობაში ჩემზე ნიჭიერებიც იყვნენ, მაგრამ მათ იმდენს ვერ მიაღწიეს, რაც მე მოვახერხე. ძალიან ბევრია დამოკიდებული იღბალზე და კიდევ იმაზე, თუ რამდენად სწორად წარმართავ საკუთარ კარიერას. რაც "ბლექბერნში" გადავედი, მანჩესტერში ვცხოვრობ და სადაც არ უნდა წავიდე, თითქმის ყველგან გამომელაპარაკებიან ხოლმე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩემს ამბებზე უფრო სხვა რამ აინტერესებთ - გიო ქინქლაძე როგორ არის, მისი რა ისმისო...

**დავით თავართქილაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

# ასეთ ფეხბურთში ბიზნესი ფულს არ დააბანდებს


გოგა ხაინდრავა

**ფეხბურთის ფედერაციაში დატრიალებული მოვლენების შესახებ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ყოფილი წევრი, "თანასწორობის ინსტიტუტის". წარმომადგენელი გოგა ხაინდრავა გვესაუბრება:**

- ეს არჩევნები მთელი ქვეყნის სირცხვილი და თავის მოჭრა იყო. რატომღაც მეგონა, რომ კიდევ იყო შემორჩენილი სფეროები, რომელშიც ეს ხელისუფლება უხეშად არ ჩაერეოდა. თურმე, ძალიან ვცდებოდი.

როგორც გულშემატკივარი, შეურაცხყოფილი ვარ. ჯერ ერთი, ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობით. მერე, გიორგი ნემსაძის დუმილით. მას უდიდეს პატივს ვცემდი, მაგრამ გული მეტკინა - გულშემატკივრებს სიმართლეს უმალავს. გიორგი ხალხს ტყუილად არ უყვარდა, ნაკრების კაპიტანი მებრძოლი, გულიანი ფეხბურთელი იყო. ახლა ეს სიყვარული დავკარგე, თორემ ხელისუფლება რომ ყველას აშინებს, ისედაც ვიცოდი.

**- თქვენ იცით, რა მოტივით გადადგა ეს ნაბიჯი - მას რომ ხელისუფლების ჩარევაზე ესაუბრა, ფიფა-უეფადან მოკვეთავდნენ, სახელმწიფო ფეხბურთს არ დაეხმარებოდა და ასეთი პრეზიდენტობა რად უნდოდა?!**

- გიორგი ნესიერი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება იყო და ვერავინ დააშანტაჟებდა. რად უნდა მტკიცება, საკაშვილმა უბრძანა და გადადგა. გიორგი ქუჩიდან ტრამვაიში უბილეთოდ ასული მგზავრი არ ყოფილა. მას დიდი სახელი აქვს და ხალხს უყვარს. ბიზნესს წაართმევდნენ? სახელს ხომ ვერა!

იმედი მქონდა, ნოდარ ახალკაცს მაინც ეყოფოდა ვაჟკაცობა და წაგების შემდეგ ფედერაციაში არ დაბრუნდებოდა. დარწმუნებულიც ვიყავი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მისი უარით პრეზიდენტი... პარადოქსულია, არა? მამუკა კვარაცხელია გახდებოდა და შეიძლება, ეს უკეთესიც ყოფილიყო.

**- ცუდი ყველასთვის ნათელია. მდგომარეობიდან გამოსავალი როგორ წარმოგიდგენიათ?**

- საბედნიეროდ, ფეხბურთში მრავლად არიან ძველი თუ ახალი თაობის ავტორიტეტები - ქეცბაია, ჯამარაული, გუცაევი, ცხადაძე, ჩივაძე, სულაქველიძე და ა.შ. მგონი, ამ სფეროში სწორედ მათ ეთქმით სიტყვა და არა ბოკერია-კირკიტაძეს.

ვფიქრობ, საფეხბურთო სამყარომ დიდი ყრილობა უნდა ჩაატაროს, რომელზეც გაირკვევა იმ ადამიანების გვარები, რომლებიც სამართლიან არჩევნებს ჩაატარებენ. არ შეიძლება, ყველა სფეროს ხელისუფლება მართავდეს.

**- პირადად თქვენ ფედერაციის ხელმძღვანელად ვინ წარმოგედგინათ?**

- დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ასპარეზზე სახელს. ქართულ საფეხბურთო ოჯახში ასეთები კიდევ მოიძებნებიან. ვინაა ასეთი, თავად უკეთ იციან და აირჩიონ. ჩვენ ხომ პროფესიონალების არჩევანზე ვსაუბრობდით.

სხვათა შორის, თავიდან ახალკაცსაც იმედის თვალით ვუყურებდი. მეგონა, მოსპობდა იმ უმსგავსობას, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა. სამწუხაროდ, საამისოდ არც ძალა ეყო და არც ავტორიტეტი. ბოლო გადაწყვეტილებებით კი წარმოდგენა საერთოდ დამიკარგა.

თუმცა ყველაზე მეტად სამარცხვინო მაინც ხელისუფლების მოქმედებაა. გამოჩნდა, რა სამარცხვინო მდგომარეობაშია საზოგადოება ამ კომკავშირელების ხელში. ქვეყანაში თავისუფალი არჩევანის საშუალება არაა და ესეც ცხადყოფს, რა ხდება ჩვენს უბედურ ქვეყანაში. თუმცა საფეხბურთო არჩევნებზე დატრიალებულ მოვლენებში, მაინც იყო პოზიტივი - ამან ქვეყნის ხელისუფლებას ფარდა ახადა.

**- თქვენი აზრით, ეს მოვლენა ბიზნესმენების ფეხბურთისადმი დამოკიდებულებას ხომ არ შეცვლის?**

- ბიზნესი ფეხბურთის მიმართ ისედაც ფრთხილი იყო და ახლა კიდევ უფრო მოერიდება. სირაქლემების ქვეყნად ვერავინ გადაგვაქცევს. ყველა ყველაფერს ხედავს, თუნდაც მეზობელ ქვეყნებში, რადგან 21-ე საუკუნეში ინფორმაცია უპრობლემოდ ვრცელდება.

ბოლოს კლაუს ტოპმიოლერზეც უნდა ვისაუბრო. ეს კაცი შეურაცხყოფას აყენებს ქართულ ფეხბურთსა და ჩვენ ხალხს. ვინ ეკითხება, ქართულ ფეხბურთს ახალკაცი გაუძღვება თუ ნემსაძე? ჰოლანდიაში, ბელგიაში, საბერძნეთში ან დანიაში იგივეს გაბედავდა? როგორ არ უნდა სცემდე პატივს ქვეყანას, რომ ასეთ ულტიმატუმებს აყენებდე.

სხვათა შორის, ფარერების შემდეგ, მის სამწვრთნელო კვალიფიკაციაშიც დავეჭვდი. საფრანგეთთან და იტალიასთან წაგება კიდევ ასახსნელია, მაგრამ ფარერებთან სამარცხვინო ფეხბურთი როგორ ავხსნათ? პირადად მე დალაგებული თამაშის მოდელი ვერ დავინახე. კაცმა არ იცოდა, მოედანზე ვინ რას აკეთებდა, მხოლოდ მოთამაშეთა ინდივიდუალური ნიჭით მოვიგეთ და მის ხელში დიდ პროგრესს არც ველოდები.

**მერაბ მამულაშვილი**


მამუკა კვარაცხელია

მამუკა კვარაცხელიას პრესკონფერენცია

# ყრილობას ნემსაძე არ გაუთავისუფლებია!

**მამუკა კვარაცხელიამ გუშინ კიდევ ერთი პრესკონფერენცია ჩაატარა და ხელი დაგვიქნია - ანი კარგა ხანი აღარ შეგაწუხებთ, აქეთ თუ დაგჭირდებათ შეწუხება, მე წავედიო.**

**სად წავა და რა მიმართულებით გააგრძელებს უეფას მედია-ოფიცერი საქმიანობას, ჯერ უცნობია. თუმცა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და მკვახე-მკვახე შეძახილებით გაიჯახუნა კარი.**

- ფედერაციის ბოლო ყრილობამ დაუშვა უდიდესი შეცდომა, რადგან თანამდებობიდან გადამდგარი პრეზიდენტის, გიორგი ნემსაძის განცხადება არ დააკმაყოფილა და ისე დაიწყო საკითხების განხილვა.

ასევე სიტყვა არ დაუძრავთ აღმასკომის წევრობიდან წასული ადამიანების თაობაზე, რაც მეორე დიდი შეცდომა გახლდათ. არადა, ჟორდანიას გადაყენების შემდეგ ყრილობაზე თავდაპირველად სწორედ მისი გათავისუფლების საკითხი განიხილეს, გაათავისუფლეს და შემდეგ აირჩიეს ახალი. ასეთია მიღებული წესი. ასე რომ, ფედერაციის პრეზიდენტი არავის გაუთავისუფლებია, ან უფრო სწორად, მას ორი პრეზიდენტი ჰყავს...

- გამართლდა ჩემი ვარაუდი, რომ ფედერაცია "ნოდარას დუქანია". ხელახალ არჩევნებამდე ვთქვი, რომ ნოდარ ახალკაცი დაიკარგებოდა, შექმნიდნენ ფონს, თითქოს ეხვეწებოდნენ და ისიც დაბრუნდებოდა. თქვით, დაწერეთ, რომ ყრილობამდე სწორედ ასეთ ფარსზე ვსაუბრობდი.

- სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა გიორგი ნემსაძის განცხადება, რომ კლაუს ტოპმიოლერის გამო გადავდექი და მუშაობას ვაცლიო. ასეთი ვაჟკაცი კაცი მომხდარზე ასე არ უნდა რეაგირებდეს.

ახლა ისევ ძველ ლოზუნგებს დავუბრუნდები და ვუპასუხებ კითხვას, თუ რა სახელი შეიძლება საქართველოს ვუწოდოთ - მაგალითად ლომაია, უგულავა ან ბოკერია. ნებისმიერი იმ ადამიანის სახელი შეიძლება ვუწოდოთ, ვისაც მომხდარში წვლილი მიუძღვის. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს ჩვენი შოუ...

- მე უკვე შევადგინე იმ ადამიანებისგან აღმასკომი, რომლებმაც ვაჟკაცობა გამოიჩინეს. ვოვა გუცაევი, "ბორჯომის" პრეზიდენტი დავით გელაშვილი, გიორგი დევდარიანი, მალხაზ კაკაურიძე - "ვიტ ჯორჯიის" გენერალური დირექტორი, ოთარ კორღალიძე, მერაბ მეგრელაძე, გია ფირცხალავა, თემურ ქეცბაია, ლევან ყიფიანი, პაატა ჩხეიძე, მიხეილ ყაველაშვილი, კახა ცხადაძე, რეზო ძოძუაშვილი, ზურაბ ხორგუაშვილი და გოჩა ჯამარაული.

პირობას გაძლევთ, რომ მათ გვარებს მომავალ ყრილობაზე წამოვაყენებ, რომელიც, ალბათ, რიგგარეშე იქნება.

საქართველოს ჩემპიონატს აღარ დავესწრები, გული აღარ მიმიწევს.

... ილია კოკაიამ თქვა, ახალკაცს ყრილობაზე ხმა რომ მივეცი, ჩემზე არანაირი ზეწოლა არ იყოო. გეცინება ასეთ ნათქვამზე. მე კარგა ხნით დაგემშვიდობებით და აღარ შეგაწუხებთ. დარწმუნებული ვარ, მომავალი ყრილობა რიგგარეშედ ჩატარდება და მას ახალკაცი ველარ მოიგებს.

**მერაბ მამულაშვილი**



**ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი აპრილის ბოლოს ბელგიაში გაემგზავრა, სადაც "ბრიუგეში" ივარჯიშა და შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ და, ორჯერ ოფიციალური შეხვედრაც ჩაატარა. დიახ, ასეა და ამის მერე ისევ "ვიტ ჯორჯიას" დაუბრუნდა. აპირებს თუ არა 21 წლის ფორვარდი ბელგიაში დაბრუნებას, როგორ აღმოჩნდა "ბეერსჰოტიდან" "ბრიუგეში" და ოფიციალურ მატჩში? ამ კითხვაზე "ვიტ ჯორჯიის" ლიდერი გვიპასუხებს.**

ტრანსფერის მოლოდინში

# გელაშვილი ბრიუგეს ივნისში დაუბრუნდება

## ბელგიელებს ვიტჯორჯიელი მოეწონათ

**- ნიკა, თავიდან "ბეერსჰოტში" გვეგონე და აღმოჩნდა, "ბრიუგეში" ისინჯებოდი. იქ როგორ აღმოჩნდი?**

- "ბეერსჰოტში" არც მივარჯიშია. პირდაპირ "ბრიუგეში" მიმიწვიეს.

**- ბელგიაში სულ რამდენი დღე იყავი?**

- 17-18 დღე, მეორე გუნდში ვვარჯიშობდი და ორი ოფიციალური შეხვედრაც ჩავატარე.

**- ოფიციალური თუ საკონტროლო?**

- არა, ოფიციალური.

**- ეს როგორ? "ბრიუგესთან" კონტრაქტი გააფორმე?**

- არა, რა კონტრაქტი. უბრალოდ, ბელგიის სარეზერვო გუნდში გასასინჯად ჩასულ ორ თუ სამ ფეხბურთელს თამაშის უფლება გააჩნია. მეც ვვარჯიშობდი და ბუნებრივია, აინტერესებდათ, ოფიციალურ შეხვედრაში თავს როგორ გამოვიჩენდი. პირველი მატჩი "ვარეგემთან" 4:1 შინ მოვიგეთ. მოედანზე მეორე ტაიმში შემიშვეს, მესამე ბურთი გავატანინე, მეოთხე კი თავად გავიტანე.

მეორე მატჩი გასვლაზე "ლიერსის" დუბლებთან გვქონდა და ისევ დიდი ანგარიშით 4:0 მოვიგეთ. აქ თავიდანვე მათამაშეს და მეორე ბურთი გავიტანე. ორ მატჩში ორი ბურთი და ერთი საგოლე, მგონი, ცუდი მაჩვენებელი არაა.

**- პირველად მესმის, რომ გასასინჯი მოთამაშე ოფიციალურ მატჩში მოედანზე გაყავდეთ.**

- მეც გამიკვირდა, როდესაც მითხრეს. თავიდან ვფიქრობდი, საკონტროლო მატჩი იყო. ყველაფერი წესის დაცვით მოხდა, პასპორტი გამომართვეს და მონაცემები ჩაიწერეს.

**- ბელგიელების საბოლოო პასუხი გვითხარი...**

- 20 ივნისისთვის ისევ ჩავალ, ისევ ორკვირიანი სინჯები მელის და მაშინ საბოლოოდ გადაწყდება, დავრჩები თუ არა. ჯერ კი კონტრაქტზე სიტყვაც არ დაუძრავთ. პირველი გამგზავრება იყო გაცნობისთვის, ნახეს, ღირდა თუ არა დაკვირვების გაგრძელება. წამოსვლამდე მითხრეს, რომ ინტერესი შეინარჩუნეს და ზაფხულში გელოდებითო.

**- საქართველოდან უცხოეთში წასულ მოთამაშეებს ყაზახეთშიც კი ფიზიკურ მომზადებას უწუნებენ. ალბათ, ბელგიაშიც წააწყდებოდი მსგავს პრობლემას.**

- თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც არაა საქმე. რა თქმა უნდა, ბელგიური და ჩვენი ფეხბურთის შედარებაც არ შეიძლება, თუნდაც სარეზერვო ჩემპიონატში ჩვენთან შედარებით საკმაოდ მაღალი კლასია. თუმცა "ბრიუგეში" მოუმზადებელი არ ჩავსულვარ, როდესაც მათი დაინტერესება გავიგე, დღეში ორჯერად ვარჯიშებზე გადავერთე, ტრენაჟორებზე დავიწყე სიარული და ვგრძნობ, უფრო მოვლონიერდი. ასე რომ, მათთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია. თანაც, ბელგიელებთან ერთად თუ მოვემზადები, ნელნელა კიდევ უფრო ავულებ ალღოს მათ მოთხოვნებსა და ფეხბურთს.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო. ინტერვიუ ბუბა ტყავაძესთან

# ვინ მოვა დინამოში?

**ხვალ ეროვნულ ჩემპიონატში დასკვნითი ტურის მატჩებია. ჩემპიონის ბედი ქუთაისში "ტორპედო"-"ოლიმპის" შეხვედრაში გადაწყდება. თითქმის წარმოუდგენელია, ქუთაისის "ტორპედომ" რევაზ ძოძუაშვილის გუნდს ქულები დააკარგვინოს. "დინამო" კი უნდა შეეგუოს სავარაუდო მეორეობას.**

**სხვათა შორის, ამბობენ, "დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელით უცხოური კლუბები დაინტერესდნენო.**

**გუშინ კლუბის მმართველ დირექტორ ბუბა ტყავაძეს დავუკავშირდით და შევეცადეთ ვითარებაში გარკვევას, თუმცა სანამ საუბარი ამ თემას შეეხებოდა, ტყავაძემ კომენტარი ბოლო დროს "დინამოს" მისამართით გაკეთებულ განცხადებებზე გააკეთა.**

- ამაზე კომენტარის გაკეთება თავდაპირველად არც ჩავთვალე საჭიროდ, მაგრამ უკვე ბევრჯერ ითქვა და, რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია. ზოგი გაოცებულია, რატომ ებრძვის მეტოქე გუნდი. ჯერ ერთი მოწინააღმდეგის ვალია, რომ გებრძოლოს. ყველა გუნდი, თუნდაც უმოტივაციოდ დარჩენილი, სხვა თუ არაფერი, თავის ღირსებისთვის იბრძვის და ამაში გასაკვირი არაფერია. მეორე წრეში, საწყის სამ ტურში გამარჯვების შემდეგ, ყველა მეტოქე გაათმაგებული მონდომებით იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ, ეს სულაც არ გამკვირვებია. პირიქით, რაც უფრო მეტი იქნება ბრძოლა, მით დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატი გვექნება და მეტად ამაღლდება ეროვნული ჩემპიონატის დონე, ხარისხი და იმიჯი.

**- გუნდში მოსალოდნელ ცვლილებებზეც ვთქვათ. შაშიაშვილი სეზონის ბოლომდე ინათხოვრეთ. მის გარდა ვინ დატოვებს გუნდს?**

- დიახ, შაშიაშვილი სეზონის ბოლომდე ვინათხოვრეთ ოდესის "ჩერნომორეციდან". კლუბთან ყველა სხვა ფეხბურთელს კონტრაქტი აკავშირებს. სეზონი დამთავრდება და სატრანსფერო სიახლეები მერე გაირკვევა.

**- იქნებ დაგვიკონკრეტოთ ვის გულისხმობთ?**

- ჯერ თავს შევიკავებდი. გეტყვით მხოლოდ, რომ ის ფეხბურთელები ვიგულისხმე, რომლებიც სასტარტო შემადგენლობაში სტაბილურად არ თამაშობდნენ.

**- ლეგიონერებზე რას გვეტყვით?**

- ზელიჩსა და კრშკოსთან კონტრაქტები გვაკავშირებს, ისინი სტაბილურად თამაშობდნენ. სპასოევიჩი 19 წლისაა, მასში პერსპექტივას ვხედავთ, ალბათ, ისიც დარჩება.

**- ქართულ კლუბებში არაერთი დინამოელია განათხოვრებული. მათი საქმე როგორ იქნება?**

- სეზონი დამთავრდება, გუნდი მცირე ხნით დაისვენებს და მერე წვრთნა განახლდება. განათხოვრებული ფეხბურთელები გუნდთან ერთად ივარჯიშებენ და მათ საკითხს მწვრთნელებთან ერთად გადავწყვეტთ.


ბუბა ტყავაძე

**- ვიცით, რომ "დინამოს" ლიდერთა გადაბირებით არაერთი კლუბია დაინტერესებული. მათ თუ შეელევით?**

- ჯერჯერობით, მხოლოდ სანდრო იაშვილზე დაგვიკავშირდნენ. აგენტი გვესაუბრა, მაგრამ კლუბის ვინაობა ჯერ არ გაუღერებულა.

**- ევროტურნირებისთვის სად მოემზადება "დინამო" და რომელ გუნდებთან გამართავთ ამხანაგურ მატჩებს?**

- ივნისის მეორე ნახევარში მოლდოვაში, "ზიმბრუს" საწვრთნელ ბაზაზე გავივლით სამზადისს. "ზიმბრუსთან" და "ნისტრუსთან" გავმართავთ თითო ამხანაგურ მატჩს. მესამე სპარინგპარტნიორის ვინაობა ახლა ირკვევა. მეორე შეკრებისთვის ავსტრიის ვარიანტიც არის, მაგრამ ალბათ მაინც გერმანიაში მოვემზადებით. იქაც რამდენიმე ამხანაგური მატჩი გვექნება. სავარაუდოდ, ერთ თამაშს "კარლ ცაისთან" გავმართავთ.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ვის დარჩება ბომბარდირი?

დასკვნითი ტურის წინ ბომბარდირთა დავას 18 გატანილი გოლით "დინამოს" ფორვარდი **სანდრო იაშვილი** ლიდერობს. შევიტყვეთ და **ბუბა ტყავაძემაც** დაგვიდასტურა, იაშვილზე უცხოური კლუბებიდან არის ინტერესი:

*"სანდრო იაშვილის თაობაზე დაგვიკავშირდნენ. ჯერჯერობით, მისით დაინტერესებული კლუბების სახელები არ ვიცით. ყველაფერს თავად ფეხბურთელთან და მწვრთნელებთან ერთად ავწონ-დავწონით. საინტერესოა ვიზეა საუბარი, რამდენად გააგრძელებს იმ გუნდში ზრდას იაშვილი, ვინ შეცვლის მას ჩვენს გუნდში... ეს კარგად უნდა გაანალიზდეს"*, - აღნიშნა ტყავაძემ.

"იაშვილითა და შაშიაშვილით უცხოური კლუბები არიან დაინტერესებულნი. არ მინდა მათთვის მიცემული სიტყვა გავტეხო, ასე რომ, მეტს ვერაფერს გეტყვით. მართალი გითხრათ, ფეხბურთელებმაც არაფერი იციან. ტრანსფერებზე სააგენტო "სპორტვიზიონი" ზრუნავს და ყველაფერი მალე გახდება ცნობილი. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გიორგი და სანდრო უცხოურ კლუბებს სურთ. იაშვილთან მიმართებაში გერმანული, შვეიცარიული, ავსტრიული და სკანდინავიური ვარიანტებია. სკანდინავიურის გამოკლებით, იგივე ვარიანტებია შაშიაშვილზეც." – განუცხადა სააგენტო "სპორტვიზიონის" თავკაცმა **მალხაზ მუსერიძემ**.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# არველაძე და კალაძე ვარსკვლავებში

9 ივნისს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები მორიგ საქველმოქმედო მატჩს ჩაატარებენ. ადრე ჩატარებულ მსგავსი ტიპის თამაშებში, ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს, **შოთა არველაძე** და **კახა კალაძე** იყვნენ მიწვეულნი. ამჯერად კი არველაძესა და კალაძეს ვარსკვლავებმა ერთდროულად უხმეს.

*"დღეს მივიღე მიწვევა. 9 ივნისს ლისაბონში მელიან. მთელი საფეხბურთო ბომონდი იქ იქნება. რონალდინიო, რონალდუ, ზიდანი, ფიგუ, რონალდო... საპატიო სტუმრებს შორის კი ბორის ბეკერი, მიხაელ შუმახერი და სხვები... ძალიან მინდა ამ მატჩში მონაწილეობა მივიღო, მაგრამ მუხლი ისევ მაწუხებს და ვნახოთ. ფეხმა თუ ძალიან არ შემაწუხა, ალბათ წავალ კიდეც. ორ ტაიმის განმავლობაში არც მომიწევს მოედანზე და მტკივანი ფეხით ვერც შევძლებ. ამასთან სრული დატვირთვა და მაქსიმალური მობილიზებაც არ მომიწევს"*, - ჰოლანდიაში დაკავშირებისას გვითხრა გუშინ შოთა არველაძემ.

"ალკმაარის" ფორვარდს "აიაქსთან" კვირას გასამართ ფლეი ოფის მატჩსა და ეროვნული ნაკრების საივნისო თამაშებზეც დავეკითხეთ.

*"ძალიან მინდა ნაკრებს ლიტვასა და საფრანგეთში დავეხმარო, მაგრამ ვნახოთ როგორ მექნება მუხლი. ფლეი ოფში "აიაქსთან" რთული მატჩები გველის და გუნდს აქაც ვჭირდები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი შევძლებ თუ არა კვირას თამაშს"*, - საუბრის ბოლოს გვითხრა არველაძემ.

### ბომბარდირი შოთა

უეფას თასის გათამაშების ბომბარდირი "ესპანიოლის" თავდამსხმელი **ვალტერ პანდიანი** გახდა. მან ტურნირზე 11 ბურთის გატანა მოახერხა. მეორე ადგილი 8 გოლით ბუქარესტის "დინამოს" ლიდერმა **კლაუდიუ ნიკულესკომ** დაიკავა, რომელმაც თამაში 1/16 ფინალში დაასრულა.

და რაც მთავარია - მესამე ადგილი აიაქსელ **ჰუნტელაარსა** და ტოტენჰემელ **დიმიტარ ბერბატოვთან** ერთად, "ალკმაარის" ქართველმა კაპიტანმა **შოთა არველაძემ** დაიკავა. შოთას გუნდმა მეოთხედფინალამდე მიაღწია, 34 წლის ქართველმა კი შვიდი ბურთი გაიტანა.

**მერაბ მამულაშვილი,**
**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# აბრამიძე თითქმის ჩემპიონია

**გიორგი ადამიას** "ნეფთჩიმ" სავარაუდოდ ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში დაკარგა ჩემპიონობის შანსი. ბაქოელთა კლუბი "ოლიმპიკთან" 1:2 დამარცხდა. "ნეფთჩი" სადიგოვის პენალტით დაწინაურდა, თუმცა მეორე ტაიმში სტუმრებმა ორი გოლი გაუშვეს. "შაფას" სტადიონზე მატჩს 3 ათასი მაყურებელი დაესწრო. "ნეფთჩის" ტრავმამოშუშებული ადამია დაუბრუნდა, მან პირველ ტაიმში ერთი მეტად სახიფათო რეიდიც მოაწყო, თუმცა დარტყმა ვერ შეძლო. მატჩის შემდეგ გიორგის დანა პირს არ უხსნიდა: *"არც კი ვიცი, რა ვთქვა, ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ახლა არაფერზე აღარ ვფიქრობ, არც ჩემპიონობაზე, იმედია, ბოლო ტურში "თურანს" აუცილებლად მოვუგებთ"*.

ლენქორანში "ხაზარმა" 6 ათასი გულშემატკივრის გასახარად 3:1 გაიმარჯვა "შაჰდაღთან" და ახლა ტიტულის მოპოვებაში ხელს "ნეფთჩი" ველარ შეუშლის, თუ ბოლო ტურში თავად არ წაიფორხილებს. **ვალერი აბრამიძეს** არ უთამაშია.

ბოლო წუთზე სტუმრად გატანილი გოლის წყალობით "გილანმა" "გენჩლერბირლიის" მოუგო 1:0. "გილანის" სასტარტოში იყვნენ **დიმიტრი კაპანაძე** და **გიორგი კრასოვსკი**, რომელიც 78-ე წუთზე **დიმიტრი დიდმარხვაშვილმა** შეცვალა. გუშინ ჯერ კიდევ ჩემპიონმა "ბაქიმ" შინ 3:2 დაამარცხა "სიმურგი". ამით **ამირან მუჯირისა** და **ალეკო გოგობერიშვილის** კლუბმა ბრინჯაოს მედლები გაინაღდა. მუჯირის ანგარიშზე საგოლე პასია.

"ხაზარი" 53 ქულით პირველ ადგილზეა და "ნეფთჩის" ერთი ქულით უსწრებს. "ბაქი" 45 ქულით მესამეა. ქართველთა სამეულის (ინწკირველი, ტრაპაიძე, ახალკაცი) "ქარვანი" 35 ქულით მეშვიდეა და ჩემპიონატს ამ ადგილზე დაასრულებს. **გოგა ბერაიას** "ყარაბაღი" 24 ქულით მეცხრეა, "თურანი", სადაც **ირაკლი ვაშაკიძე** თამაშობს მეათე ადგილზე დარჩა, "გილანმა" კი (16 ქულა) მეთერთმეტე ადგილი გაიფორმა. ბოლო ტურში "ხაზარი" კაბალაში "გილანს" სტუმრობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# თარხნიშვილი შერიფში დარჩა

მოლდოვის მრავალგზის ჩემპიონმა ტირასპოლის "შერიფმა" კაპიტან **ვაჟა თარხნიშვილთან** ახალი კონტრაქტი გააფორმა.

ქართველი ცენტრალური მცველი "შერიფში" 1999 წლის ზამთარში ჩაირიცხა. გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მითითებულია - ვაჟამ მოასწრო გამხდარიყო გუნდის ნამდვილი სიმბოლო და მოლდოვის ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშე. მის ანგარიშზე 15 სხვადასხვა ტიტულია - მოლდოვის 7-გზის ჩემპიონი, ოთხჯერ ქვეყნის თასის, სამჯერ სუპერთასის მფლობელი, ამას გარდა, მოსკოვის თანამეგობრობის თასის გამარჯვებული.

ვაჟა "შერიფში" კიდევ ორი წელი ითამაშებს და ალბათ, კარიერასაც იქვე დაასრულებს. მერე კი, როგორც გვითხრა, შესაძლოა, ტირასპოლელთა კლუბში გააგრძელოს მუშაობა. საწყენია, რომ ასეთი მაღალი კლასის მცველს საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ორჯერ მისცეს თავის გამოჩენის საშუალება - ორივე შემთხვევაში ინიციატივა **ვლადიმერ გუცაევისგან** მოდიოდა და ესტონეთისა და უკრაინის ეროვნულ გუნდებთან 1999 წელს გამოჩნდა კიდეც თარხნიშვილის ოსტატობა.

მას შემდეგ ვაჟა აღარ მიუწვევიათ ეროვნულ გუნდში. არადა, ჯვაროსნებში კარგი ცენტრალური მცველის პრობლემა გუნდიდან ცხადაძის და შელიას წასვლის შემდეგ აშკარაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ქ. ფოთის სპორტული საზოგადოება, ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის "ლოკომოტივის" და ფოთის "კოლხეთის" ყოფილი ფეხბურთელი, ფოთის ცენტრალური სტადიონის დირექტორი

**თამაზ ადამია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 22.V. მისამართი: ქ. ფოთი, მაკალათიას 66.

ევრო 2008. მეტოქეები

# ლიტვამ შემადგენლობა დაასახელა

2 ივნისს ლიტვა საქართველოს, ხოლო 4 დღის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონ იტალიის ნაკრებს უმასპინძლებს. ლიტველთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალგიმანტას ლიუბინსკასმა** უკვე დაასახელა ამ თამაშებისთვის ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა შემადგენლობა. მწვრთნელის რჩეულთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

მეკარეები: ჟიდრუნას კირჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი).

მცველები: მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმსტადი, შვედეთი), ანდრიუს სკერლა (ვეტრა), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი), არუნას კლიმავიჩიუსი (დინამო, რუსეთი), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია, უკრაინა).

ნახევარმცველები: შაულიუს მიკოლიუნასი, კესტუტის ივაშკევიჩიუსი (ორივე ჰარტსი, შოტლანდია), დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), მინდაუგას კალონასი, დარიუს მიჩეიკა (ორივე მეტალურგსი, ლატვია), იგორის მორინასი (ჟალგირისი), ედგარას ჩესნაუსკისი (სატურნი, რუსეთი), ანდრიუს გედგაუდასი (ინტერი, აზერბაიჯანი), მანტას სავენასი (ეკრანასი), მარიუს კიჟუსი (ლკს, პოლონეთი).

თავდამსხმელები: რიჩარდას ბენიუსისი (კაუნასი), ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ტომას რაძინევიჩიუსი (კლადნო, ჩეხეთი), ვიტალიუს კოვალიაუსკასი (ეკრანასი), ტადას ლაშუკასი (ოცელული, რუმინეთი).

დაბოლოს, ლიტვა-საქართველოს მატჩი კაუნასში, თბილისი დროით 23 საათზე დაიწყება.



**დავით ცაბაძე**

# ფრანგებს კაპიტანი დააკლდებათ

იტალიის თასის ფინალის განმეორებით მატჩში საფრანგეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა **პატრიკ ვიეირამ** ფეხის ტრავმა მიიღო. "ინტერის" ნახევარმცველმა "რომასთან" თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვიეირა თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს მომდევნო ორ შესარჩევ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. "სამფეროვნები" 2 ივნისს უკრაინას ეთამაშებიან, 6-ში კი ჩვენს ნაკრებს დაუხვდებიან.

შეგახსენებთ, დაშავებულია ფრანგების კიდევ ერთი ლიდერი, **ტიერი ანრიც**, ჩვენს წინააღმდეგ ვერც **ვილი სანიოლი** ითამაშებს. გუნდის თავკაც **რაიმონ დომენეკს** სანაკრებო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
ტელეფონის დადგმა;
კავშირი ყველგან და ყოველთვის;
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge www.cdn.ge

იტალია.
სერია A. XXXVII ტური

# სიკვდილი ან გამარჯვება

**დღეს**

მილანი-უდინეზე

**ხვალ**

კიევო-ასკოლი
სამპდორია-კატანია
მესინა-ფიორენტინა
ატალანტა-ინტერი
ტორინო-ლივორნო
ლაციო-პარმა
ემპოლი-რეჯინა
კალიარი-რომა
პალერმო-სიენა

"მილანი"-"უდინეზე" საგანგებოდ გადმოიტანეს შაბათისთვის, რათა ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს ათენური დაპირისპირებისთვის მოსამზადებლად უკეთესი პირობები ჰქონდეს. ეჭვგარეშეა, რომ **კარლო ანჩელოტი** როტაციის ხერხს არ უღალატებს. ძნელია იმის თქმა, როგორი იქნება "მილანის" სასტარტო შემადგენლობა, მაგრამ ერთი რამ ცნობილია: აუცილებლად ითამაშებს **ალესანდრო კოსტაკურტა**, რომლისთვისაც "მილანის" მაისურით ეს გამოსათხოვარი გამოსვლა იქნება. 41 წლის "ბილი" მომავალი სეზონიდან ანჩელოტის ერთ-ერთი ასისტენტი იქნება. ტრავმის გამო, უდინელებს ფორვარდი **ვინჩენცო იაკუინტა** არ ეყოლებათ.

იმის გამო, რომ 8 გუნდს სერია A-ს დატოვება ემუქრება, ბევრია ისეთი მატჩი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. მაგალითად, "კიევომ" შინ აუცილებლად უნდა დაამარცხოს უკვე გავარდნილი "ასკოლი". მაგრამ გავიხსენოთ, რომ ამ უკანასკნელმა, წინა ტურში, უეფას საგზურისთვის მებრძოლი "პალერმო" გაამწარა.

"სამპდორია" უმასპინძლებს "კატანიას", რომელსაც ასევე ჰაერივით სჭირდება გამარჯვება. გენუელთა მოტივაცია კი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ **ვალტერ ნოველინო** "მარასიზე" გუნდს ბოლოჯერ უხელმძღვანელებს.

თასის ახალთახალი გამარჯვებული "კალიარის" ესტუმრება. ალბათ, **ლუჩანო სპალეტი** არ დააყენებს ოპტიმალურ შემადგენლობას, რომელიც ჯერ ისევ ზეიმობს. ამ დროს კი, სარდინიელებს უეჭველი გამარჯვება სჭირდებათ.

"ფიორენტინა", რომელიც უეფას თასზე გასვლას ლამობს, უმოტივაციო "მესინასთან" გასვლით მატჩში კვლავ **ლუკა ტონის** გარეშე ითამაშებს. ფორვარდი ოპერაციას იკეთებს.

უეფას ზონაზე პრეტენზიას აცხადებს "ატალანტაც". ბერგამოელები მიიღებენ "ინტერს", რომელსაც დისკვალიფიცირებული **მარკო მატერაცი** და ტრავმირებული **პატრიკ ვიეირა** არ ეყოლება.

შესაძლოა, "პარმას" ქულაც ეყოს "ლაციოსთან" გასვლით შეხვედრაში, მაგრამ **კლაუდიო რანიერი** ვერ გარისკავს და იძულებული იქნება, მოგებაზე გააკეთოს აქცენტი. რომაელებს ქულები არაფერში სჭირდებათ. ძალიან მძიმე თამაში ელის "რეჯინას", რომელიც ევროპაზე გასასვლელად მებრძოლ "ემპოლის" ესტუმრება. შეიძლება, კალაბრიელებისთვის ეს თამაში საბედისწეროც გამოდგეს. ამ ტიპის შეხვედრაა "პალერმო"-"სიენაც". სიცილიელებს უეფას თასზე მოხვედრა უნდათ, ტოსკანელები კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან. "ტორინო"-"ლივორნო" კი უშუალო დაპირისპირებაა იმ გუნდებს შორის, რომლებიც გადარჩენისთვის იბრძვიან. ერთ-ერთის გამარჯვება, ფაქტობრივად, სერია A-ში დარჩენას ნიშნავს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 36 | 29 | 6 | 1 | 76-33 | 93 |
| 2. რომა | 36 | 21 | 9 | 6 | 68-28 | 72 |
| 3. ლაციო | 36 | 18 | 10 | 8 | 58-31 | 61 |
| 4. მილანი | 36 | 18 | 12 | 6 | 55-31 | 61 |
| 5. ფიორენტინა | 36 | 20 | 9 | 7 | 55-28 | 54 |
| 6. ემპოლი | 36 | 14 | 11 | 11 | 38-37 | 53 |
| 7. პალერმო | 36 | 14 | 10 | 12 | 54-49 | 52 |
| 8. ატალანტა | 36 | 12 | 13 | 11 | 53-49 | 49 |
| 9. სამპდორია | 36 | 12 | 10 | 14 | 42-43 | 46 |
| 10. უდინეზე | 36 | 11 | 10 | 15 | 45-51 | 43 |
| 11. ლივორნო | 36 | 9 | 12 | 15 | 37-52 | 39 |
| 12. ტორინო | 36 | 10 | 9 | 17 | 27-44 | 39 |
| 13. პარმა | 36 | 9 | 11 | 16 | 38-55 | 38 |
| 14. კატანია | 36 | 9 | 11 | 16 | 44-67 | 38 |
| 15. სიენა | 36 | 8 | 14 | 14 | 32-42 | 37 |
| 16. კალიარი | 36 | 8 | 13 | 15 | 31-44 | 37 |
| 17. რეჯინა | 36 | 11 | 14 | 11 | 47-47 | 36 |
| 18. კიევო | 36 | 8 | 12 | 16 | 37-46 | 36 |
| 19. მესინა | 36 | 5 | 10 | 21 | 32-63 | 25 |
| 20. ასკოლი | 36 | 4 | 12 | 20 | 34-65 | 24 |



მარცხნივ ჯანლუკა ძამბროტა

მილანი

# ძამბროტას მოლოდინში

## ნესტას არჩევანი: კიდევ ოთხი სეზონი მილანთან ერთად

არის კონტაქტი! "მილანის" წარმომადგენლები ხუთშაბათს პირადად შეხვდნენ **ჯანლუკა ძამბროტას** და თანამშრომლობა შესთავაზეს. ამის თაობაზე ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. მხარეები შეთანხმებულან, რომ სეზონის დასრულებისთანავე, გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა, რომელზეც მეტი კონკრეტიკით ისაუბრებენ ხელშეკრულების პირობებზე. პარალელურად, "მილანს" სერიოზული ბრძოლა ელოდება "ბარსელონის" უფროსობასთან, რომელიც ძამბროტასთან განშორებას თითქოს არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. კონტრაქტის მიხედვით, "ექსიუვენტინო" კატალონიურ კლუბში კიდევ სამი სეზონი უნდა დარჩეს...

ძამბროტას გადაწყვეტილებაზე, შესაძლოა, ნოსტალგიის მომენტმა იმოქმედოს. "ბარსელონაში" მას კარგი სეზონი არ ჰქონდა. ის ყოველთვის ვერ ჯდებოდა **ფრანკ რიიკაარდის** გეგმებში, "მილანში" კი ყოველთვის მოსწონდათ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა "იუვენტუსში" მისი პოზიციები არანაირ ეჭვს არ იწვევდა. ძამბროტასადმი ინტერესი "როსონერიმ" ხმამაღლა მაშინ გამოხატა, როცა "კალჩოპოლის" სკანდალმა "ბებერი ქალბატონი" სერია B-ში მოისროლა. **ადრიანო გალიანის** დავალებით, "მილანის" გენერალური მენეჯერი **არიედო ბრაიდა** ძამბროტას შეხვდა და მაგიდაზე 5-წლიანი კონტრაქტი დაუდო. მაგრამ მცველმა მაინც ესპანეთი არჩია. მან დაუფარავად განაცხადა, რომ სკანდალის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. მაგრამ შეიძლება, აქ მთავარი იყო კატალონიელთა პირობა: წელიწადში 5 მილიონი ევრო, მაშინ, როცა "სან სიროზე" 4.2 მილიონს სთავაზობდნენ...

სეზონის დასრულებისთანავე, "ბარსაში" სერიოზული პერტურბაციებია მოსალოდნელი. თუ გუნდი ჩემპიონი ვერ გახდა, რიიკაარდი პოსტს დატოვებს, ტრანსფერზე დადგება რამდენიმე ფეხბურთელი და მათ შორის, შეიძლება, ძამბროტაც. "მილანს" სწორედ ამ პერიოდში მართებს აქტიურობა. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ტრანსფერის მოგვარების შემთხვევაში, **მარეკ იანკულოვსკის** ნახევარდაცვის ცენტრში გადასწევენ. ჩეხს **მასიმო ამბროზინის** ალტერნატივად მოიაზრებენ. ის რომ, ამბროზინიმ "მილანთან" კონტრაქტი გააგრძელა, ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს. გამოცდილ ნახევარმცველს ხომ ძირითადად სარეზერვო როლით უწევს დაკმაყოფილება...

რაკი ზემოთ კონტრაქტის გაგრძელება ვახსენეთ, აქვე ახალ ამბავზეც ვთქვათ: "მილანთან" ხელშეკრულება **ალესანდრო ნესტამაც** გაახანგრძლივა. ამას კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: *"ჩვენ ვადასტურებთ, რომ გაგრძელებულია კონტრაქტი ალესანდრო ნესტასთან. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ის "მილანში" 2011 წლის 30 ივნისამდე დარჩება".*

ნესტას მიმდინარე ხელშეკრულება 2008 წლის ივნისში იწურებოდა. ამით, მხარეებმა წერტილი დაუსვეს სპეკულაციებს, რომელიც 31 წლის მცველთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში ვრცელდებოდა. ზოგიერთი ინფორმაციით, ნესტა "ლაციოში" აპირებდა დაბრუნებას, ბევრიც წინასწარმეტყველებდა, რომ მისი მომავალი ნავსაყუდელი პრემიერლიგის რომელიმე გრანდი იქნებოდა. პროგნოზები ფუჭი გამოდგა. ნესტამ დაამტკიცა, რომ დიდი მილანური ოჯახის წევრი და მისი ერთგულია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ნაპოლი: ვიერი და ლიპი ერთად?

"ნაპოლი" სერია A-ს უახლოვდება. თუ სასწაული არ მოხდა, სახელოვანი კლუბი მალე ელიტურ დივიზიონს დაუბრუნდება. ცხადია, ნეაპოლელები უკვე ფიქრობენ გაძლიერებაზე, მიაჩნიათ რა, რომ გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობა სერია A-ს გიგანტებს სათანადო კონკურენციას ვერ გაუწევს. მიზანი კი ფრიად ამბიციურია: დაბრუნებისთანავე, კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოიპოვოს. ამიტომ, ცვლილებები აუცილებელია.

როგორც ირკვევა, კამპანიელთა უპირველესი სამიზნე **კრისტიან ვიერია**, რომლის გადაბირებას "ფიორენტინა" და "ტორინოც" ცდილობენ. ამჟამად, ვიერი "ატალანტის" საკუთრებაა. ბერგამოულ კლუბს მან ამ ზამთარს დაუკავშირა ბედი. "ატალანტა" ერთადერთი იყო, ვინც მას რთულ პერიოდში ხელი გაუწოდა. "ბობომ" ეს საგანგებოდაც აღნიშნა და თავის დროზე ამიტომაც დათანხმდა სიმბოლურ ანაზღაურებას. ახლა ის ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას, რასაც ბოლო სამ მატჩში გატანილი ორი გოლიც მოწმობს. ფორვარდი ლამის ყველაფრის თავიდან დაწყებას გეგმავს. აქედან გამომდინარე, "ატალანტა" ველარ იქნება მისთვის საკმარისად ამბიციური კლუბი. და რატომ არ შეიძლება, ის "ნაპოლიმ" ჩაანაცვლოს, გუნდმა, სადაც თავის დროზე **დიეგო მარადონას** უთამაშია.

ვიერის ყიდვის სურვილს უკვე ადასტურებს ნეაპოლელთა პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** და იქვე დასძენს: *"ბუნებრივია, კლუბის დღევანდელი სტატუსი აღარ გვაკმაყოფილებს. ჩვენ დიდ მიზნებს ვისახავთ. საერთაშორისო მასშტაბებზე უნდა ვიმუშაოთ, აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ჩემპიონთა ლიგაში. დამეთანხმებით, ჩვენი წარსული ამის ღირსია. "ნაპოლი" ასე დაბლა აღარასოდეს უნდა დაეშვას".*

როგორც გაზეთები წერენ, "ნაპოლის" გენერალური დირექტორი **პიერპაოლო მარინო** უკვე ესაუბრა ვიერის აგენტ **სერჯო ბერტის**, რომელმაც, თავის მხრივ, დაგეგმა შეხვედრა "ატალანტის" პრეზიდენტ **ივან რუჯერისთან**. ბერგამოელები ეცდებიან, ვიერი დარჩენაზე დაიყოლიონ, მაგრამ ისიც ესმით, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება.

რაც შეეხება "ნაპოლის" ამბიციურ გეგმებს, აქ კიდევ ერთ ინფორმაციას უნდა მიექცეს ყურადღება. კვლავ წამოტივტივდა **მარჩელო ლიპის** თემა. ცალკეული სააგენტოების მტკიცებით, მომავალი სეზონიდან გუნდს სათავეში სწორედ მსოფლიო ჩემპიონი ჩაუდგება. რაკი ამბიციებზეა საუბარი, მაშინ ლოგიკურია, რომ "ნაპოლიმ" ასეთივე მწვრთნელის დანიშვნაზე იზრუნოს. ამჟამად, გუნდს **ედუარდო რეია** წვრთნის. რაც შეეხება ლიპის, ამასწინათ მან განაცხადა, რომ ფეხბურთში დაბრუნება კიდევ ნახევარი წლით გადადო. თუმცა ფიქრობენ, რომ მარჩელომ ეს განცხადება ერთადერთი მიზეზით გააკეთა: რეია მისი ახლო მეგობარია და ცდილობს, ხმები გაფანტოს.



კრისტიან ვიერი



**ინტერი-რომა 2:1 (2:6)**

**ინტერი:** ტოლდო, მაიკონი, ბურდისო, კორდობა, ხ. ძანეტი, ვიეირა (26. კრუსი), კამბიასო, სტანკოვიჩი, გონსალესი (53. რეკობა), ფიგუ (82. მაქსველი), კრესპო.

**რომა:** დონი, პანუჩი, ფერარი, მექსე, კივუ, დე როსი, აკვილანი (58. პისარო), ტადეი, პეროტა, მანსინი (79. ტონეტო), ტოტი.

**გოლები:** 1:0 კრესპო (50), 2:0 კრუსი (56), 2:1 პეროტა (83)

**გაძევება:** კორდობა (72. ინტერი), პანუჩი (90. რომა)

**მაყურებელი:** 26 606

იტალიის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი

# ინტერმა ვერ გაასამა, რომამ მერვედ ასწია

"რომა" იტალიის თასის ახალი მფლობელია. პირველი მატჩის შემდეგ, ამაში ნაკლებად თუ ვინმეს ეჭვიეპარებოდა, მაგრამ მაინც - ფეხბურთში ყველაფერი ხდება და პრაქტიკამ მსგავსი ანგარიშის გაბათილების არაერთი შემთხვევაც იცის. აქ რომაელთა მხარეს უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორი მოქმედებდა: საჩემპიონატო ემოციებისგან დაცლილი "ინტერი" ველარ შეძლებდა ძალების მოკრებას. და ასეც მოხდა. თვით პირველი მატჩის შედეგიც ამის ნათელი დადასტურება იყო. ყველაფერთან ერთად, "ჯალოროსის" სხვა სტიმულიც ჰქონდა. ეს იყო მისი და "ინტერის" ზედიზედ მესამე ფინალი. წინა ორმა დამარცხებამ **ლუჩანო სპალეტის** გუნდს საკმარისი მოტივაცია მისცა საიმისოდ, რათა უსიამოვნო ტრადიციისთვის წერტილი დაესვა. და ეს იყო აგრეთვე რევანში საჩემპიონო ბრძოლაში დამარცხებისთვის...

მაშ ასე, "რომა" მერვედ გახდა იტალიის თასის ტრიუმფატორი. ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ "იუვენტუსს" (9 გამარჯვება) ჩამორჩება. სულ კი ტრიგორიელებმა 14 ფინალში მიიღეს მონაწილეობა. ხუთშაბათის საპასუხო დაპირისპირების წინ **რობერტო მანჩინი** "ინტერის" შანსს მხოლოდ 30 პროცენტით აფასებდა. ნულოვანი პირველი ტაიმის შემდეგ, მას ალბათ 10 პროცენტით აღარ ჰქონდა. თამაში მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისიდან გამოცოცხლდა და აქ მთავარი როლი **კრესპომ** ითამაშა. არგენტინელ ფორვარდს სეზონის მიწურულს საგოლე მადა გაეხსნა. 50-ე წუთზე მან **მაიკონის** ზუსტი ჩაწოდება დააგვირგვინა, ხოლო ექვს წუთში მასპინძელი უკვე ორი ბურთით იყო წინ: **კრუსი** (პირველ ტაიმში შეცვალა ტრავმირებული **ვიეირა**, რომელმაც, შესაძლოა, საქართველოსთან და უკრაინასთან საკვალიფიკაციო მატჩები გამოტოვოს) **ფიგუს** გასწვრივ ჩაწოდებას გამოეხმაურა - 2:0.

მცირერიცხოვან ტიფოზებს, ალბათ, გაუჩნდათ იმედი, რომ "ინტერი" ამაზე არ გაჩერდებოდა. მაგრამ "რომამ" უმალ აუღო ალღო სიტუაციას და თამაშზე კონტროლი დააწესა. მალე მოედნიდან გააძევეს მილანელთა მცველი **კორდობა**, რაც უკვე საბოლოო კაპიტულაციას ნიშნავდა. ხოლო შემდეგ იყო **პეროტას** გოლი (ტოტის დახმარებით) და უფრო მეტი ფორმალობა საფინალო სასტვენამდე...

*"ამ გამარჯვებას ოჯახის თითოეულ წევრს ვუძღვნი, ისინი ყოველთვის ჩემს გვერდით არიან"*, - ეს **ფრანჩესკო ტოტის** სიტყვებია. სპალეტი გახარებული იყო იმით, რომ "რომამ" კარგი სეზონი უტიტულოდ არ დაასრულა. ის დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში მისი გუნდი უკვე რეალურად იბრძოლებს სკუდეტოსთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალიზი

# მიბაძეთ სევილიას!

## ანდალუსიელებმა დაბალი რანგის კლუბებს გზა გაუნათეს

საიმონ ბასკეტი

ევროპის ბევრი მოკრძალებული კლუბი შურით უყურებს "სევილიას", გუნდს, რომელმაც ზედიზედ მეორედ მოიგო უეფას თასი, დაამარცხა რა პენალტების სერიაში თანამემამულე "ესპანიოლი". ყველაფრის მიუხედავად, ეს არ იყო ზღაპრული გამარჯვება ერთ მუჭად შეკრული მეტიჩრებისა, რომელთაც კარის ბრახუნით შეაბიჯეს ევროპულ ფინალში. მაგრამ ამ გამარჯვებამ დაამტკიცა, რომ "სევილია" საკუთარ კვალს ტოვებს საკონტინენტო სცენაზე და უფრო დიდი წინსვლისთვის ემზადება. დიდი და პატარა საფეხბურთო კლუბები ანდალუსიელთა მაგალითს მიბაძავენ და ისტორიაში შევლენ იმ საქმიანობით, რასაც წარმატების მისაღწევად სოლიდური საძირკვლის შექმნა ჰქვია.

ამ კლუბის სათავეში არ დგას უცხოელი მილიარდერი, არც მრავალმილიონიანი შემოსავლის მქონე კომპანია უმაგრებს ზურგს, რომელიც გაჭირვების მომენტში კოლაფსური მდგომარეობიდან გამოგიყვანს. პირიქით, "სევილიამ" წარმატებას მიაღწია ადგილობრივი, ნიჭიერი მოთამაშეების აღზრდის, მათგან სუპერვარსკვლავების შექმნის უნარითა და დახვეწილი მენეჯმენტის შერწყმით.

ექვსი სეზონით უკან, "სევილია" მეორე დივიზიონში იმყოფებოდა, ფინანსების მხრივ საქმე არც ისე კარგად ჰქონდა და ის ერთადერთ კლუბად რჩებოდა, რომელიც ხან წინ მიიწევდა და ხანაც დინებას ჩამორჩებოდა. მათდა საბედნიეროდ, ანდალუსია ნიჭიერ ფეხბურთელთა კერაა და "სევილიამ" სწორედ აქ დაიწყო საკუთარი ბრძოლისუნარიანობის ჩამოყალიბება. კლუბის პრეზიდენტმა, **ხოსე მარია დელ ნიდომ**, პროფესიით ადვოკატმა, რომელმაც ერთხელ განაცხადა, რომ ის სევილიაში მნიშვნელობით მეორე კაცია რომის პაპის შემდეგ, უბრალოდ, საკუთარი შორსმჭვრეტელობა დაამტკიცა.

ბოლო ცენტის გამოყენების ნიდოსეული უნარი ნიშნავს იმას, რომ კლუბმა თანხა არ დაიშურა "სევილიის" ფეხბურთელებისთვის, რამაც შესაშური შედეგი გამოიღო. **ხოსე ანტონიო რეიესის** "არსენალში" გაყიდვამ, **სერხიო რამოსისა და ჟულიო ბაპტიშტას** "რეალში" გაგზავნამ, კლუბს 80 მილიონი ევრო შეანარჩუნებინა დანახარჯის გარეშე.

ამავე დროს, სპორტულმა დირექტორმა **რამონ როდრიგესმა** საკუთარი თავი წარმოაჩინა, როგორც ნიჭიერ მოთამაშეთა ერთ-ერთმა საუკეთესო აღმომჩენმა. იმ დროს, როცა სხვა კლუბებს სატრანსფერო ბაზარზე მიზანში ხმაურიანი სახელები ჰყავდათ ამოღებული, "სევილია" ახალგაზრდა, "მშიერ" ფეხბურთელებს ეძებს, ანდა ისეთებს, რომელნიც ჯერ ბოლომდე არ "გახსნილან".

ბაპტიშტას, მაგალითად, საერთოდ არავინ იცნობდა, როცა "სევილიასთან" კონტრაქტი გააფორმა და 2003 წელს, "სან პაულოდან", ევროპაში 3 მილიონ ევროდ გადმობარგდა. მარჯვენა მცველი **დანიელ ალვეში** 19 წლის იყო, როცა ბრაზილიიდან ჩამოიყვანეს და სხვა ევროპულმა კლუბებმა სწორედ ამის შემდეგ შეამჩნიეს მისი ნიჭი.

მეკარე **ანდრეს პალოპი**, უეფას თასის ბოლო ფინალის გმირი, მაშინ შეიძინეს, როცა მისი ნიჭი სხვა კლუბებმა შენიშნეს და მაშინვე, "ვალენსიის" მეკარე **სანტიაგო კანისარესს** შეადარეს. პალოპი სწორედ კანისარესის დუბლიორი გახლდათ.



სევილიელები ზედიზედ მეორე ევროპულ ტრიუმფს ზეიმობენ

დანიელი ნახევარმცველი **კრისტიან პოულსენი** და რუსი თავდამსხმელი **ალექსანდრ კერჟაკოვი** კიდევ ორი მაგალითია იმისა, "სევილიაში" სრულიად უცნობი ფეხბურთელების მიწვევა ჩვეულებრივი და მიზანმიმართული პოლიტიკაა. სანამ ანდალუსიური კლუბი ძლიერდებოდა, შეძლებულები მილიონებს ხარჯავდნენ უხეირო გარიგებებში, რითიც, მიღწევებისა და პოტენციალის მხრივ, "სევილიას" დღეს აშკარად ჩამორჩნენ.

"სევილია" არამარტო ყიდულობს ნიჭიერ ახალგაზრდებს, არამედ, ის თავადაც ზრდის მათ. ამათ შორისაა მარჯვენა მცველი **ხესუს ნავასი**, ბოლო ტალანტი მათ რიცხვში, ვინც მოზარდობისას აღმოჩნდა მთავარ გუნდში. სხვა ამომავალი ვარსკვლავებიდან აღნიშვნის ღირსნი არიან **ალეხანდრო ალფარო** და **დიეგო კაპელი**.

"რეალისგან" განსხვავებით, "სევილიამ" ახალგაზრდობას საკუთარი შესაძლებლობის დამტკიცების საშუალება მისცა. ამას თან დაერთო ნიჭიერთა მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულება და იმ დონემდე დაოსტატება, რომელიც მათ მერე ტრანსფერებისას დაეხმარებოდა. ეს გუნდის ბოლო ორი მწვრთნელის დამსახურებაა. **ხოაკინ კაპაროსმა** გუნდს ძლიერი სული შთაბერა, რამაც გამარჯვების ურყევი რწმენა და ფანტასტიკური საბრძოლო სულისკვეთება მოიტანა.

ამჟამინდელმა თავკაცმა **ხუანდე რამოსმა** კაპაროსის გზა განაგრძო, სამაგალითო გუნდი შექმნა და მთელი წლის ენერგია სამ ტურნირზე გადაანაწილა. შედეგი, შეიძლება, გრანდიოზული იყოს: "სევილიამ" უკვე მოიგო უეფას თასი, წინ ესპანეთის თასის ფინალია და არის შანსი, ქვეყნის ჩემპიონიც გახდეს. "რეალისა" და "ბარსელონისგან" განსხვავებით, არცერთი ფეხბურთელი არ დარჩენილა დაუფასებელი.

რამოსმა გულშემატკივრები მაღალი ტემპით, მიმზიდველი ფეხბურთისა და პრაგმატიზმის შერწყმით ასიამოვნა. მიმომხილველთა მცირე რაოდენობა თუ შეეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ წლევანდელ სეზონში ესპანეთში "სევილია" ყველაზე სანახაობრივი გუნდია. არ დაგვავიწყდეს, რომ სეზონის დასაწყისში, ევროპის სუპერთასზე, "სევილიამ" "ბარსელონა" დაამარცხა და 1986 წლის შემდეგ, როცა "რეალმა" უეფას თასი "დაიტოვა", პირველი გუნდი გახდა, რომელმაც საპატიო ჯილდო შეინარჩუნა.

პატარა კლუბებო, მიბაძეთ "სევილიას"! დიდებმაც...

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

მოსალოდნელი დანიშვნა

# მაგათი მანჩესტერ სიტიში?

## დესპოტმა ფელიქსმა პირსი უნდა შეცვალოსო

როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, დიდი შანსია, რომ "ბაიერნის" ყოფილი თავკაცი **ფელიქს მაგათი**, რომელიც დღესდღეობით უმუშევარია, "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელად დაინიშნოს. 53 წლის გერმანელ სპეციალისტს ბოლოს "ვოლფსბურგი" ეპატიჟებოდა, მაგრამ ფელიქსმა "მგლებს" უარი უთხრა და ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ გაცილებით ამბიციურ გუნდში სურს მუშაობა. ამასთან, "ბაიერნიდან" გათავისუფლების შემდეგ, მაგათი არ მალავდა, რომ უცხოეთშო სურდა ძალების მოსინჯვა.

"ბილდის" ცნობით, "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელებსა და "დესპოტ ფელიქსს" შორის მოლაპარაკებები დაწყებულია. მაგათმა სიტიში **სტიუარტ პირსი** უნდა შეცვალოს, მწვრთნელი, რომელიც ამ გუნდს 6 წლის მანძილზე თავკაცობდა. პირსი იმის გამო გაათავისუფლეს, რომ "სიტიმ" ყველასათვის მოულოდნელად, მე-14 ადგილი დაიკავა.

რუსეთის ნაკრები

# ჰიდინკი ზაგრებისთვის გაემზადა

**გუუს ჰიდინკმა** ანდორასა (შინ) და ხორვატიასთან (სტუმრად) მატჩებისთვის რუსეთის ნაკრების 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. გამოძახებულთაგან სამი დებიუტანტია. ესენი არიან კრასნოდარის "კუბანის" მეკარე **ვლადიმირ გაბულოვი**, "ასკოლის" ნახევარმცველი **ვიქტორ ბუდიანსკი** და "სპარტაკის" ნახევარმცველი **ალექსეი რებკო**. 23 წლის გაბულოვი ცსკას ყოფილი მეკარეა. ის კრასნოდარში წლევანდელი სეზონის დასაწყისში გადავიდა. 23 წლის ბუდიანსკი უკრაინული წარმომავლობის ფეხბურთელია. მან "ასკოლის" ბოლო სამ მატჩში სამი გოლი შეაგდო და მწვრთნელს მისი წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენია. რაც შეეხება რებკოს, იანვრის დასაწყისში 21 წლის ყმაწვილს ქუჩაში ხულიგნები დაესხნენ თავს და უმძიმესი ტრავმები მიაყენეს. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ის გამოჯანმრთელდა და რეგულარულად თამაშობს "სპარტაკის" ძირითადში. რუსებს ხუთ თამაშში 11 ქულა აქვთ და შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილი უკავიათ. ლიდერი ხორვატია მათ ორი ქულით უსწრებს.

**მეკარეები** - დმიტრი ბოროდინი (ტორპედო), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი), ვლადიმირ გაბულოვი (კუბანი);

**მცველები** - სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა), ალექსერ ბერეზუცკი (ცსკა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), დენის კოლოდინი (დინამო), რომან შიშკინი (სპარტაკი), სერგეი იეფიმოვი (ლოკომოტივი);

**ნახევარმცველები** - დინიარ ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი), იური ჟირკოვი (ცსკა), იგორ სემშოვი (დინამო), დმიტრი ტორბინსკი (სპარტაკი), ალექსეი რებკო (სპარტაკი), ვლადიმირ ბისტროვი (სპარტაკი), კონსტანტინ ზირიანოვი (ზენიტი), ვიქტორ ბუდიანსკი (ასკოლი);

**თავდამსხმელები** - ანდრეი არშავინი (ზენიტი), პაველ პოგრებნიაკი (ზენიტი), დმიტრი სიჩოვი (ლოკომოტივი), ალექსანდრ კერჟაკოვი (სევილია), ივან საენკო (ნიურნბერგი).


გუუს ჰიდინკი

ბაიერნი

# პისაროს ჩელსი ეპატიჟება

## შოლს, ქარიმის, ჰარგრივსსა და სანტა კრუსს დღეს რეკორდმაისტერში ბოლო მატჩი აქვთ...

"ბაიერნის" ფეხბურთელებს ამ კვირაში ოდნავადაც არ ეტყობოდათ ის, რომ ეს სეზონის ბოლო კვირა იყო. რეკორდმაისტერს ასეთ დროს ან ჩემპიონობა ჰქონდა ხოლმე განალდებული, ანაც ბოლო ტურში "ვერცხლის სინისთვის" გადამწყვეტი ბრძოლა ელოდა და ამ ბრძოლისთვის ემზადებოდა. წლეულს ასე აღარაა და არცაა გასაკვირი, **ოლივერ კანი** რომ ამბობს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სეზონისწინა მზადებაში ვართო. *"ყველაზე საშინელი ის არის, რომ საჩემპიონო ციებ-ცხელებას გარედან ვუყურებთ, აღარ მახსოვდა, რა გრძნობა იყო ეს"*, - ამბობს კანი. და როგორც მიუნხენელები თავის ფანებს პირდებიან, მომდევნო სეზონში ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნება - ისე, როგორც უნდა იყოს.

*"გაისად ფეხბურთელები გაცილებით მძიმე ზეწოლის ქვეშ მოექცევიან და ეს ძალიან კარგია. თითოეულ მათგანს გაცილებით მეტ მოთხოვნას წავუყენებთ. პირველყოვლისა იმიტომ, რომ გუნდში დიდი კონკურენცია იქნება. თითოეულ პოზიციაზე ორი კარგი ფეხბურთელი გვეყოლება და შესაბამისად, ზარმაცობას ველარავინ გაბედავს. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეხებათ, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესანიშნავად ჩატარების შემდეგ ძალიან მოეშვნენ*, - აცხადებს ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და იქვე ამატებს, - *წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სკამზე ან ტრიბუნაზე ჯდომის საფრთხე დაემუქრებათ"*.



კლაუდიო პისარო

დღეს მიუნხენელები "მაინცს" მასპინძლობენ და აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ფეხბურთელი "ბაიერნის" მაისურას უკანასკნელად მოირგებს (ან ამის შანსი ბოლოჯერ ექნება). ოფიციალურად ფანები 36 წლის **მეჰმეთ შოლს** გამოეთხოვებიან, რომელმაც "ბაიერნში" მთელი ეპოქა შექმნა. შოლს უნდა, რომ ფეხბურთისგან ცოტა ხნით დაისვენოს, მერე კი, მუშაობას ალბათ "ბაიერნშივე" გააგრძელებს - რეკორდმაისტერის შეფებმა მას უკვე შესთავაზეს ბავშვთა გუნდის გაწვრთნა. მიდის **ალი ქარიმიც**, რომელსაც კონტრაქტის ვადა ეწურება, მაგრამ ახალ ხელშეკრულებას არავინ სთავაზობს. 28 წლის ირანელ ნახევარმცველს არაბეთში ეპატიჟებიან. იყო რამდენიმე გერმანული კლუბის დაინტერესებაც, მაგრამ ქარიმიმ ყველას უარი უთხრა.

რეკორდმაისტერს ექვსწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ეთხოვება პერუელი თავდამსხმელი **კლაუდიო პისაროც**. 28 წლის ფორვარდის მრჩეველი **კარლოს დელგადო** არ მალავს, რომ მის კლიენტს გრანდიოზული შეთავაზება აქვს. პისარო უფასოა და აშკარად ჩანს, რომ დელგადო არ აჭარბებს, რადგან კლაუდიოს თვით ლონდონის "ჩელსიმ" დაადგა თვალი. საბოლოოდ გადაწყვეტილია **ოუენ ჰარგრივსის** "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაც. ჩვენი გერმანელი კოლეგები ერთხმად წერენ, რომ მანკუნიანელთა ბოსები "ბაიერნის" შეფებს 25 მილიონ ევროზე მოურიგდნენ. ხოლო თვითონ 26 წლის ნახევარმცველმა კი უკვე დიდი ხანია, რაც "მანჩესტერთან" ოთხწლიანი კონტრაქტი შეათანხმა.

რაც შეეხება **როკე სანტა კრუსს**: პარაგვაელმა დაადასტურა, რომ მისი გადაბირებით ესპანური "ბეტისია" დაინტერესებული. თვითონ სანტა კრუსსაც ძალიან უნდა, რომ კარიერა ესპანეთში გააგრძელოს. "ბაიერნსა" და "ბეტისს" შორის მოლაპარაკებები დაწყებულია. ფაქტია, რომ მიუნხენელები პარაგვაელის სანაცვლოდ, რომელიც რეკორდმაისტერში 1999 წელს გადავიდა, დიდ თანხას არ მოითხოვენ.

**გოტფრიდ ლენცი**



არმინ ფეე და შტუტგარტი ვერცხლის სინის დასაკუთრებას აპირებენ

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტურის წინ

# ნაღდი შტუტგარტში, ასლი გელზენკირხენში

## მთავარია, ვის თამაშებს ითამაშებს კოტბუსი...

**დღეს**

**ვოლფსბურგი-ვერდერი**
**აინტრახტი-ჰერტა**
**ლევერკუზენი-ბორუსია (დ)**
**ჰანოვერი-ნიურნბერგი**
**ბაიერნი-მაინცი**
**შალკე-არმინია**
**ბორუსია (მ)-ბოხუმი**
**ჰამბურგი-ალემანია**
**შტუტგარტი-კოტბუსი**

"შტუტგარტს" ჩემპიონობას მხოლოდ ერთი მოგებალა აშორებს, ისიც "კოტბუსთან" - გუნდთან, რომელსაც არაფერი აღარ აინტერესებს. "ენერგიმ" ბუნდესლიგაში დარჩენა დიდი ხნის წინათ გაინაღდა და წნეხის ქვეშ არაა მოქცეული. იმისთვის, რომ 15 წლის შემდეგ პირველად იზეიმოს ჩემპიონობა, "შტუტგარტმა" აუცილებლად უნდა დაამარცხოს "კოტბუსი". ხოლო, თუ ფრე დაფიქსირდა, მაშინ "შალკეს" "არმინიასთან" ოთხბურთიანი სხვაობით მოგება დასჭირდება. მაშ ასე: ეჭვი არავის ეპარება, რომ შვაბები ამ მარტივ ამოცანასაც წარმატებით ამოხსნიან და სეზონს, რომელიც მე-18 ადგილით დაიწყეს (პირველ ტურში VFB საკუთარ მოედანზე "ნიურნბერგთან" 0:3 დამარცხდა), პირველ ადგილზე დაასრულებენ, რაც უდიდესი სენსაცია იქნება. გარდა ჩემპიონობისა, საქმე, ცხადია, ფულსაც ეხება - "შტუტგარტს" ჩემპიონობა "ვერცხლის სინთან" ერთად, 20 მილიონ ევროზე მეტს მოუტანს. შვაბთა თავკაცი **არმინ ფეე** კი ამბობს, წნეხის ქვეშ არ ვართო, მაგრამ ფაქტია, VFB უმძიმეს ზეწოლას გვერდს ვერ აუქცევს.

საინტერესოა ის, რომ "კოტბუსი" და "გელზენკირხენი" დაძმობილებული ქალაქები არიან. მაგრამ "კოტბუსის" ფანებს ოდნავადაც არ აინტერესებთ, ვისი მეგობარია მათი ქალაქი. მთავარია, რომ თვითონ ფანები "შტუტგარტის" ქომაგებს ეძმაკაცებიან. ამის დასტურად თუნდაც ეს ფაქტი გამოდგება: წინა ტურში, როცა "კოტბუსი" "ბაიერნს" მასპინძლობდა, "ენერგის" გულშემატკივრები მთელი მატჩის განმავლობაში ყვიროდნენ, ჩემპიონი "შტუტგარტი" გახდებაო. მეტიც: გაირკვა, რომ თუ შვაბები გაჩემპიონდებიან, ადგილობრივი და კოტბუსელი ფანები ერთად იზეიმებენ!

ისე, პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: გუნდის არსებობის ისტორიაში პირველად ხდება ისე, რომ მთელი გერმანია "კოტბუსზე" ლაპარაკობს. *"ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავია. "გოტლიბ დაიმლერ შტადიონზე" ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ!"* - აცხადებს "ენერგის" მწვრთნელი **პეტრიკ ზანდერი**. აი, "კოტბუსელი" **ტიმო როსტი** კი პირდაპირ ამბობს: *"მე მინდა, რომ გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" გახდეს და სულაც არ იქნება ჩვენი ბრალი ის, რომ "შალკე" "ვერცხლის სინს" ამჯერადაც ვერ დაისაკუთრებს!"* თუმცა როსტი ხვალ ვერ ითამაშებს (დისკვალიფიკაცია), ისევე როგორც სხვა კოტბუსელები **ბაუმგარტი** და კაპიტანი **მაკენა**.

შალკელები დუმან და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მხოლოდ თავიანთ შეხვედრაზე იყვნენ კონცენტრირებულები. მათ კარგად იციან, რომ "არმინიის" დამარცხება არც ისე იოლია, თანაც, ბილეფელდელებმა ხომ ზედიზედ 4 თამაში მოიგეს. ესეც არ იყოს, "შალკეს" ყოველი შემთხვევისთვის (ვინიცობაა, "კოტბუსმა" შტუტგარტში ფრე გაახერხოს), ოთხბურთიანი სხვაობით მოგება უნდა. ეს კი, "შალკემ" ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ მოახერხა: მე-12 ტურში "მაინცს" 4:0 მოუგო. უკანასკნელი ინფორმაციით, მიუხედავად ტრავმისა, აუცილებლად ითამაშებს მეკარე **მანუელ ნოიერი**. ჩვენი გერმანელი კოლეგები **ლინკოლნსაც** ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებენ - მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი დორტმუნდში ამაზრზენად გამოიყურებოდა. "ბილდის" ცნობით, თავდასხმაში **მესუთ იოზილის** ნაცვლად **ჰალილ ალთინთოფს** ვიხილავთ. გუშინ, ვარჯიშის შეწყვეტა მოუხდა მარცხენა მცველ **კრისტიან პანდერს** და დიდი შანსია, რომ **სლომკამ** ამ პოზიციაზე **ლევან კობიაშვილი** ათამაშოს. ამასთან, შვიდკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, "ხუმარების" სათადარიგოთა სკამზე პირველად გამოჩნდება **პეტერ ლოვენკრანდსი**.

აქვე გეტყვით, რომ დღეს "ვერცხლის სინი" შტუტგარტში იქნება ჩატანილი, გელზენკირხენში კი მხოლოდ ასლი იქნება წარმოდგენილი - იმ შემთხვევისთვის, თუ მაინც "შალკე" გახდა ჩემპიონი. თუკი პირველობას შვაბები მოიპოვებენ, სინს მათ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **გვიდო ბუხვალდი** გადასცემს, კაცი, რომელიც VFB-ში თამაშობდა, როცა ამ გუნდმა უკანასკნელად იზეიმა ჩემპიონობა (1992 წელს). "შალკესთვის" სინის გადასაცემად კი, ლეგენდარული **კლაუს ფიშერი** იქნება მზად.

თავსლაფდასხმული "ვერდერი", რომელმაც ამ სეზონში თავმოყვარეობა საერთოდ დაკარგა, მეორე ადგილის დაბრუნებასა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაზე ოცნებობს. ბრემენელები, თავის მხრივ, "არმინიის" იმედზე არიან. თუ გახსოვთ, "მუსიკოსებმა" მეორე ადგილი წინა სეზონშიც ბოლო ტურში მოიპოვეს, დაამარცხეს რა უშუალო კონკურენტი "ჰამბურგი" (სტუმრად, 2:1). *"დაუშვებელია ის, რომ "შალკემ" წაიფორხილოს და მხოლოდ და მხოლოდ, იმის გამო ვერ გავიდეთ მეორე ადგილზე, რომ ჩვენც წავიფორხილებთ,"* - აცხადებს ბრემენელთა კაპიტანი **ფრანკ ბაუმანი**. "ვერდერი" "ვოლფსბურგში" ჩადის და ხვდება გუნდს, რომელსაც ელიტაში დარჩენა 99.999 პროცენტით განაღდებული აქვს.

როგორც ხედავთ, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულთა ვინაობა უკვე ცნობილია. გარკვეულია ისიც, თუ რომელი გუნდები ითამაშებენ ჩემპიონთა ლიგაში ("შტუტგარტი", "შალკე", "ვერდერი") და უეფას თასზე ("ბაიერნი", "ლევერკუზენი" და "ნიურნბერგი", როგორც თასის ფინალისტი). ასე რომ, ბრძოლა ინტერტოტოს თასის საგზურისთვის მიდის. ამ მხრივ საუკეთესო შანსი დორტმუნდის "ბორუსიას" აქვს, რომელიც უმოტივაციო "ლევერკუზენს" სტუმრობს. ლევერკუზენელთა უმოტივაციობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ "ფარმაცევტების" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** კარში **ჰანს-იორგ ბუტს** ჩააყენებს. როგორც იცით, ბუტი მეორე მეკარე გახდა, რის გამოც გუნდს ტოვებს. ჰოდა, სკიბეს უნდა, რომ ბოლო ტურში ბუტს პატივი სცეს. "ბორუსიის" შემდეგ ევროპაში გასვლის ბოლო შანსი "ჰანოვერს" აქვს, რომელიც ასევე უმოტივაციო "ნიურნბერგს" მასპინძლობს. ძალიან მცირე, მაგრამ ინტერტოტოზე მოხვედრის შანსი "ჰამბურგსაც" აქვს, რომელიც გავარდნილ "ალემანიას" მასპინძლობს. იგივე ითქმის "ბოხუმზეც", სადაც **თეოფანის გეკასი** ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდებას გაინაღდებს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტუტგარტი | 33 | 20 | 7 | 6 | 59-36 | 67 |
| 2. შალკე | 33 | 20 | 5 | 8 | 51-31 | 65 |
| 3. ვერდერი | 33 | 19 | 6 | 8 | 74-40 | 63 |
| 4. ბაიერნი | 33 | 17 | 6 | 10 | 50-38 | 57 |
| 5. ლევერკუზენი | 33 | 14 | 6 | 13 | 52-48 | 48 |
| 6. ნიურნბერგი | 33 | 10 | 15 | 8 | 40-32 | 45 |
| 7. ბორუსია (დ) | 33 | 12 | 8 | 13 | 40-41 | 44 |
| 8. ჰანოვერი | 33 | 12 | 8 | 13 | 41-47 | 44 |
| 9. ჰამბურგი | 33 | 9 | 15 | 9 | 39-37 | 42 |
| 10. არმინია | 33 | 11 | 9 | 13 | 46-47 | 42 |
| 11. ბოხუმი | 33 | 12 | 6 | 15 | 47-50 | 42 |
| 12. ჰერტა | 33 | 11 | 8 | 14 | 48-54 | 41 |
| 13. კოტბუსი | 33 | 11 | 8 | 14 | 37-47 | 41 |
| 14. აინტრახტი | 33 | 9 | 13 | 11 | 45-56 | 40 |
| 15. ვოლფსბურგი | 33 | 8 | 13 | 12 | 37-43 | 37 |
| 16. ალემანია | 33 | 9 | 7 | 17 | 46-66 | 34 |
| 17. მაინცი | 33 | 8 | 10 | 15 | 32-52 | 34 |
| 18. ბორუსია (მ) | 33 | 6 | 8 | 19 | 23-42 | 26 |

შტუტგარტი. ინტერვიუ კაკაუსთან

# კიდევ კარგი, რომ შტუტგარტში დავრჩი

## ბრაზილიელი ამბობს, ჩემპიონები რომც ვერ გავხდეთ, მაინც მოგებულები ვართო...




კაკაუ რომ წასულიყო, ალბათ ძალიან ინანებდა

დაახლოებით 11 თვის წინათ კაკაუ ერთ-ერთი ყველაზე უბედური ფეხბურთელი იყო ბუნდესლიგაში. იმ დროს, როცა გერმანია მუნდიალის ციებ-ცხელებით იყო დაკავებული, "შტუტგარტის" თავდამსხმელი დიდ გაურკვევლობაში გახლდათ, რადგან არ იცოდა, სად გააგრძელებდა კარიერას. საშინელი სეზონის შემდეგ, ბრაზილიელ ფორვარდს "შტუტგარტის" დატოვება გადაწყვეტილი ჰქონდა და ისიც იცოდა, სად მიდიოდა - "მაინცში". მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა და კაკაუც ფაქტობრივად, ძალით დარჩა, გუნდში, რომელსაც სამეულში მოხვედრასაც კი არ უწინასწარმეტყველებდნენ. დღეს ამბობს, კიდევ კარგი, რომ გუნდი არ გამოვიცვალე, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი, ასეთი გრანდიოზული სეზონი თუ გვექნებოდაო. დიახ, კაკაუ, რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისთვის განწირულ "მაინცში" გადასვლა სურდა, ახლა გერმანიის ჩემპიონობაზე ოცნებობს და ოცნების ახდენას მხოლოდ ერთი მოგებალა აშორებს. შვაბენლანდური კლუბის წარმატებაში მანაც დიდი როლი ითამაშა - განსაკუთრებით მაშინ, როცა შვაბებს მარიო გომესი დაუშავდათ. ჯამში, 26 წლის კაკაუს ამ სეზონში 13 გოლი აქვს გატანილი (31 თამაშში) და გომესის შემდეგ (14), გუნდის მეორე ბომბარდირია. ფეხბურთელს, რომელიც VFB-ში 2003 წელს "ნიურნბერგიდან" გადავიდა, "კოტბუსთან" მატჩის წინ "შპორტ აინსის" ჟურნალისტი გაესაუბრა.

**- ჰერ კაკაუ, მთელი "შტუტგარტი" საჩემპიონო ეიფორიაშია. როგორია ფეხბურთელების განწყობა ბოლო ტურის წინ?**

- განწყობა, როგორც ყოველთვის, შესანიშნავია. პირადად ჩემი აზრით, ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. ამ სეზონში აბსოლუტურად ყველა მატჩის წინ კარგ ხასიათზე ვიყავით.

**- ჰო, თუ იმას არ გავითვალისწინებთ, რომ თქვენი ჩემპიონობა ვერავის წარმოედგინა, ახლა კი, ლიდერები ხართ და ბოლო ტურის წინ "შალკეს" 2 ქულით უსწრებთ...**

- ჰო, ასეა და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობის საუკეთესო შანსი გვაქვს, მაგრამ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ამ ეიფორიამ კონცენტრაცია დაგაკარგვინოთ. და თუ მართლაც ასე მოხდა, "კოტბუსი" მზადაა, "შტუტგარტიდან" ხელცარიელი არ გაბრუნდეს...**

- დიახ და ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე სულაც არ ვფიქრობ, რომ საშიშროება დიდია. მწვრთნელთან ერთად ფეხბურთელებმაც კარგად ვიცით, რომ ზედმეტი თავდაჯერება და კონცენტრაციის დაკარგვა დამღუპველი იქნება. მოკლედ, ჩვენთან ამ შეხვედრის მნიშვნელობა ყველას კარგად ესმის. იმისთვის, რომ ჩემპიონობა ვიზეიმოთ, "კოტბუსთან" შეხვედრაში ყველანი ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ფაქტია, რომ "შტუტგარტს" "ენერგის" დამარცხება შეუძლია. ჰოდა, არ მესმის, რატომ ვერ უნდა მოვიგოთ. პირად მე, არ ვნერვიულობ.

**- ფაქტია ისიც, რომ თქვენი გუნდი მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული. ზეწოლას თქვენც გრძნობთ?**

- სწორად გამიგეთ: ვიცი, რაც გველის შაბათს და რომ სიფრთხილეა საჭირო, მაგრამ წნეხს კი ვერ ვგრძნობ. ზეწოლას სეზონის დაწყებამდე ვგრძნობდი, როცა არ ვიცოდი, რამდენად ხშირად მომიწევდა თამაში და არ ვიცოდი, სწორი გადაწყვეტილება მივიღე თუ არა, როცა "შტუტგარტში" დავრჩი. რაც არ უნდა იყოს, "კოტბუსთან" რომც წავაგოთ და ჩემპიონები ვერ გავხდეთ, ჩვენ მაინც მოგებულები ვიქნებით, რადგან ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ. "კოტბუსთან" მატჩი და გერმანიის თასის ფინალი ის არის, რაც დიდი მუშაობის საფასურად დავიმსახურეთ. ჩემთვის ეს წნეხი კი არა, დამატებითი მოტივაციაა.

**- რა მნიშვნელობა ექნება თქვენთვის გერმანიის ჩემპიონობას?**

- ამაზე საუბარი ჯერ არ მსურს, რადგან ტიტული განაღდებული არ გვაქვს და ახლა მხოლოდ უშუალოდ მატჩზე ვფიქრობ, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. არ მინდა, რომ ჩემპიონობაზე წინასწარ ვიფიქრო, ის კი დამავიწყდეს, რომ წინ კიდევ ერთი თამაშია. ჩვენ ყველანი შაბათს ველოდებით. მოვიცადოთ და როცა "კოტბუსთან" შეხვედრა დამთავრდება, ამ კითხვაზე მერე გიპასუხებთ.

**- სეზონის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ბოლო ტურის დაწყებამდე ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი "შტუტგარტი" იქნებოდაო, დასცინებდნენ...**

- ცხადია, შესანიშნავია ის, რომ ბოლო ტურში ჩემპიონობისთვის იბრძვი და არა, მაგალითად, უეფას ან ინტერტოტოს თასის საგზურისთვის. ყველაზე დიდი საშინელება ისაა, როცა ბოლო ტურში მოტივაცია აღარ გაქვს.

**- "შტუტგარტმა" ბოლო 8 თამაში მოიგო. რაში მდგომარეობს ამ გუნდის წარმატების საიდუმლო?**

- ჩვენ ერთი გუნდი ვართ, სადაც ყველა ერთმანეთისთვის იბრძვის. არ გვყავს ვარსკვლავი, სამაგიეროდ გვყავს კარგად ფუნქციონირებადი, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი. დიდებულია სამწვრთნელო შტაბიც.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ასოციაციის თასი. ფინალის წინ

# ციფრებით მანჩესტერი იგებს

## გიგზი რეკორდის ზღვარზე, 13 წლის წინათ ეშმაკებმა ოთხი უპასუხო გოლით გაიმარჯვეს, რა მოხდება ახალ უემბლიზე?

**ჩელსი–მანჩესტერ იუნაიტედი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა, ტერი, ბულარუზი (ან დიარა), ეშლი კოული, მაკელელე, ობი, ლემპარდი, ესიენი, კალუ, დროგბა.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდო, სქოულზი, ქერიკი, სმიტი (ან ფლეტჩერი) გიგზი, რუნი.

**მსაჯი:** სტივ ბენეტი

"ჩელსიმ" და "მანჩესტერმა" ასოციაციის თასის ფინალში 1994 წელსაც ითამაშეს. 13 წლის წინ "იუნაიტედმა" 4:0 მოიგო. **ერიკ კანტონამ** ორი პენალტი გაიტანა. თითო გოლი **მარკ ჰიუზმა** და **ბრაიან მაკლერმა** შეაგდეს. ეს სრულფასოვანი რევანში გახლდათ, რადგან იმ წელს ლონდონელებს პრემიერლიგის ორივე მატჩი ჰქონდათ მოგებული. "ჩელსის" **გლენ ჰოდლი** ავარჯიშებდა. ამის მიუხედავად, "იუნაიტედი" ფინალის გამოკვეთილი ფავორიტი იყო. დღევანდელ ფინალს ფავორიტი არა ჰყავს. ამიტომაც მიმომხილველები ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ პაექრობას წინასწარმეტყველებენ.

თამაშს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს "უემბლის" ოფიციალური გახსნა. მართალია, განახლებულ არენაზე უკვე რამდენიმე მატჩი გაიმართა, მაგრამ პომპეზური ცერემონიალი დღეისათვის შემოინახეს. ახალი "უემბლი" არაფრით ჰგავს 1923 წელს გახსნილ მის წინამორბედს (პირველ მატჩში "ვესტ ჰემი" "ბოლტონს" შეხვდა, იმ თამაშს დაახლოებით 250 ათასი მაყურებელი დაესწრო). სამეფო ლოჟამდე მანძილი სამჯერ გაიზარდა. თუ ადრე გამარჯვებულ გუნდს თასის მისაღებად 39 საფეხური უნდა აევლო, ახლა 107 საფეხურის ავლა მოუწევს, რათა **პრინცი ჰარისაგან** (ის საფეხბურთო ასოციაციის საპატიო პრეზიდენტია) დამსახურებული ჯილდო ჩაიბაროს. ძველმა "უემბლიმ" ბოლო მატჩს 2000 წლის ოქტომბერში უმასპინძლა. იმ სტადიონზე ასოციაციის თასის უკანასკნელ ფინალში, რომელიც 2000 წლის მაისში შედგა, "ჩელსიმ" "ასტონ ვილა" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა (გოლი **რობერტო დი მატეომ** შეაგდო).

დღეს ასოციაციის თასის 126-ე ფინალია. "მანჩესტერ იუნაიტედს" ჩემპიონობა და თასი ერთდროულად 1999 წლის შემდეგ არ მოუგია. "ეშმაკები" ტურნირის ფინალში მეთვრამეტედ ითამაშებენ. წინა 17 ფინალიდან შვიდში მათი მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონი** იყო. ამ შვიდი ფინალიდან ფერგიმ ხუთი მოიგო. სერ ალექსს "იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის რანგში 18 მნიშვნელოვანი ჯილდო აქვს მოპოვებული. მთელი კარიერის განმავლობაში - 27 ჯილდო და ამ მაჩვენებლით მეორე მსოფლიოს ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე ტიტულოვანი ბრიტანელი მწვრთნელია.

"მანჩესტერი" და "ჩელსი" ასოციაციის თასზე მეათედ შეხვდებიან ერთმანეთს. "ეშმაკების" უპირატესობა თვალშისაცემია. მათ რვა თამაში მოიგეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ, ისიც შორეულ 1950 წელს. ამ გუნდის უკანასკნელი სათასო პაექრობა 1999 წლით თარიღდება. თასის ნახევარფინალში გამარჯვებულის გამოსავლენად გადათამაშება გახდა საჭირო. საბოლოოდ, "მენიუმ" ორი მატჩის ჯამში 2:0 გაიმარჯვა.

"ჩელსი" დღევანდელ ფინალს **მიხაელ ბალაკის, რიკარდო კარვალიოსა** და **ანდრეი შევჩენკოს** გარეშე ხვდება. **არიენ რობენმა** ტრავმა ახლახანს მოიშუშა. მას განაცხადში მოხვედრის იმედი აქვს. ბარძაყის კუნთი აწუხებს **ჯონ ობი მიკელს**. შეიძლება, **ეშლი კოულმაც** ვერ ითამაშოს. ინგლისელ მცველს კოჭი აქვს დაზიანებული და საოპერაციოა. **ჟოზე მოურინიო** სათადარიგო ფორვარდად მესამე მეკარე **ენრიკე ილარიოს** აღარ დააყენებს. მან სარეზერვო გუნდის თავდამსხმელი **ბენ საჰარი** გამოიძახა.



ჟოზე მოურინიოს ასოციაციის თასი ჯერ არ მოუგია

მანჩესტერელებს **გარი ნევილი** ჰყავთ დაშავებული. **ჯონ ოში** გამალებით ემზადებოდა, მაგრამ ფერგიმ მარჯვენა მცველად **ვესლი ბრაუნის** დაყენება გადაწყვიტა. მარცხენა ფლანგზე **გაბრიელ ჰაინცეს პატრის ევრა** შეცვლის. "ეშმაკების" მწვრთნელი ფიქრობს, **ალან მიტი** ათამაშოს თავდასხმაში, თუ **დარენ ფლეტჩერით** მოედნის ცენტრი გააძლიეროს.

ერთი კვირის წინ "იუნაიტედმა" მეცხრედ მოიგო პრემიერლიგა. დღეს ის ასოციაციის თასის დაუფლებას მეთორმეტედ აპირებს. პირადად ფერგი მეექვსე სათასო ტრიუმფისთვის ემზადება. მოახერხებენ თუ არა "ეშმაკები" "არისტოკრატთა" ორივე ფრონტზე დამარცხებას? სერ ალექსი ამბობს, რომ მის შეგირდებს საკუთარ ძალებში ეჭვი არ ეპარებათ: *"ამ ბიჭებისათვის ჩემპიონობა უკვე დიდი მიღწევაა, მაგრამ იმედია, დუბლს შევასრულებთ."*

**ჟოზე მოურინიოს** ასოციაციის თასი ჯერ არ მოუგია. ბოლო სამ სეზონში ის ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი და ორჯერ დაეუფლა ლიგის თასს, მაგრამ ამ ტურნირში წარმატებას ვერა და ვერ ახერხებდა. ის ფინალშიც პირველად გავიდა: *"ჩვენზეა დამოკიდებული, გადავაქცევთ თუ არა დღევანდელ საღამოს საფეხბურთო ზეიმად. თუ ორივე გუნდი შეტევაში ითამაშებს, ეს ნამდვილი ფინალი იქნება, ისეთი ფინალი, როგორიც ახალ "უემბლის" ეკადრება."*

ყველა ბილეთი გაყიდულია. ტრიბუნებზე სრული ანშლაგი იქნება. მასზე პირველად შეიკრიბება 90 ათასი მაყურებელი. ინგლისისა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩზე მხოლოდ 60 ათასი ფანი შეუშვეს. წესრიგის დაცვაზე 1 500 პოლიციელი და 2 500 უსაფრთხოების ოფიცერი იზრუნებს. გარი ნევილის არყოფნაში "მანჩესტერს" **რაიან გიგზი** გაუძღვება. უელსელი ვარსკვლავი 13 წლის წინანდელი თამაშის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. იმ საღამოს მისი უშუალო მეტოქე ის **სტივ კლარკი** გახლდათ, რომელიც დღეს "ჩელსის" მეორე მწვრთნელია. მისტერ კლარკი, ალბათ, კმაყოფილი უნდა იყოს, რომ გიგზთან ხელმეორედ დაპირისპირება არ მოუწია. გიგზზე იმასაც მოგახსენებთ, რომ გამარჯვების შემთხვევაში ის მეხუთედ დაეუფლება ასოციაციის თასს და აბსოლუტურ რეკორდს დაამყარებს.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXV ტურის წინ

# ბარსა ოცნებობს, რეალი იცინის

**დღეს**

ბეტისი-ხიმნასტიკი
მალიორკა-ვალენსია
სარაგოსა-ბილბაო

**ხვალ**

ესპანიოლი ხეტაფე
სოსიედადი-სელტა
ლევანტე-ოსასუნა
ვილიარეალი-რასინგი
დეპორტივო-სევილია
რეკრეატივო-რეალი
ატლეტიკო-ბარსელონა

პრიმერა დივიზიონი დასკვნით სტადიაში შევიდა. წინ მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ტურია. მოგეხსენებათ, ჩემპიონობის მაძიებელთა შორის დიდი კონკურენციაა. გასულ უქმეებზე "ბარსელონამ" "ბეტისთან" საშინაო შეხვედრაში ორი ქულა დაკარგა და პირველი ადგილი "რეალს" დაუთმო. სამეფო კლუბი ახლა უპირველეს ფავორიტად მიიჩნევა. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ **ფაბიო კაპელოს** გუნდმა წინა შაბათს, "ესპანიოლს" ურთულესი თამაში მოუგო. დედაქალაქურ გიგანტს ამჯერად "რეკრეატივოსთან" შერკინება მოუწევს. ბუნებრივია, ისინი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ. პრინციპული მატჩის წინ, სტუმართა დამრიგებელს საკადრო პრობლემა შეექმნა. **ემერსონმა** ტრავმა მიიღო. მის მდგომარეობას ბოლო მომენტში მოეფინება ნათელი. ძალიან ცოტაა შანსი, რომ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა უელვაში თამაში შეძლოს. მიუხედავად ამისა, კაპელომ ემერსონის განაცხადში შეყვანა გადაწყვიტა. ალბათ, გაინტერესებთ, სად დაშავდა სამხრეთამერიკელი შუახაზელი. ის **რობერტო კარლოსის** გაუფრთხილებლობისა და წინდაუხედაობის მსხვერპლი შეიქნა. სპარინგ-მატჩისას რობერტო კარლოსმა თანამემამულეს მარცხენა ტერფში იმდენად მტკივნეულად და გამეტებით ჩაარტყა, რომ მან თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ემერსონმა პარასკევსაც ვერ ივარჯიშა. კაპელო ამ გარემოებით ძალიან დამწუხრებულია, რადგან ვეტერანი ფეხბურთელი მის ტაქტიკურ სქემაში ფუნდამენტურ როლს ასრულებს. სხვა მხრივ სამეფო კლუბში ყველაფერი წესრიგშია. მადრიდელები მორიგი გამარჯვებისთვის თავგამოდებით ემზადებიან, თუმცა სინიორ ფაბიო შეგირდებს აფრთხილებს, რომ "რეკრეატივოსთან" იოლი გასეირნების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. იტალიელი სპეციალისტი ანდალუსიელთა მედგარ წინააღმდეგობას ელის.

ტურის ცენტრალურ შეხვედრას "ვისენტე კალდერონი" უმასპინძლებს. "ატლეტიკოს" უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსი გაუჩნდა. ეს გარემოება "როხიბლანკოს" დამატებით მოტივაციას სძენს. **ხავიერ აგირეს** შეგირდები ყველაფერს გააკეთებენ, რათა "ბარსელონა" დაამარცხონ და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესონ. ცნობილია, რომ "ატლეტიკო" "რეალის" ძველი და დაუძინებელი მტერია. კატალონიური გრანდის დამარცხებით, ის სწორედ სამეფო კლუბს გაუმართავს ხელს, თუმცა ამ სიტუაციაში ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არავის ანაღვლებს. **პეტერ ლუქსენმა** კლუბის სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა: *"ჩვენს ქომაგებს "რეალი" არ უყვართ, მაგრამ არ მგონია, მათ "ბარსელონის" დამარცხების გამო გვისაყვედურონ. პირიქით, ისინი გამარჯვებას ელიან. ჩვენმა წარმატებამ მათ ჩემპიონობაც რომ მოუტანოს, მაინც არ გავჩერდებით. "ატლეტიკომ" უეფას თასზე გასვლა ნებისმიერ ფასად უნდა შეძლოს."*

განწყობა განწყობად, მაგრამ სურვილს განხორციელება სჭირდება. გადამწყვეტი მატჩის წინ ხავიერ აგირეს ნამყვანი ფეხბურთელები გამოეცალნენ. **ლეო ფრანკომ** სამი კვირის წინ მიღებული ტრავმა გაიმიზეზა და ლაზარეთში ამოჰყო თავი. ექიმები მას დღეს საღამოს საგულდაგულო გამოკვლევას ჩაუტარებენ და გადაწყვეტენ, დართონ თუ არა მოედანზე გასვლის უფლება. საეჭვოა, **სერხიო აგუეროსა** და **ხოსე მანუელ ხურადოს** თამაშიც. ორივე მათგანს მიკრო ტრავმები აწუხებთ. მადრიდელთა მთავარი მწვრთნელი შეგირდების მდგომარეობით ძალიან წუხს. მექსიკელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე მიიღებს. მიმომხილველები კი მიიჩნევენ, რომ უვარჯიშებელი მოთამაშეების მოედანზე გაყვანა ძალიან სარისკო საქმეა.

საკადრო პრობლემები **ფრანკ რიიკაარდსაც** ემუქრება. **კარლეს პუიოლს** მარცხენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. დიდია შანსი, რომ კატალონიური გიგანტის კაპიტანმა "ატლეტიკოსთან" მატჩი გამოტოვოს. რიიკაარდს **რაფა მარკესის** დაბრუნების დიდი იმედი ჰქონდა, თუმცა იმედი იმედად დარჩა. მექსიკელმა მცველმა გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. მისი თამაში გამოირიცხა. ფრანკისთვის ერთადერთი სასიხარულო ინფორმაცია ის არის, რომ **დეკუმ** მტკივანი ტერფი მოიშუშა და პარასკევის ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. როგორც ამბობენ, პორტუგალიელმა ვარსკვლავმა არა მარტო ფიზიკური, არამედ მორალური მდგომარეობაც გაიუმჯობესა. რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ "ბეტისთან" ორი ქულის დაკარგვით გამწარებულმა დეკუმ ნერვები ვერ მოთოკა და "ბარსას" გასახდელში ავეჯი და ჭურჭელი დალეწა. კატალონიელები გვარწმუნებენ, რომ ანდერსონ დე სოუზა აბსოლუტურად დამშვიდდა.

ჩემპიონობის კიდევ ერთი პრეტენდენტი "სევილია" ლა კორუნიაში "დეპორტივოს" ესტუმრება. გემახსოვრებათ, მცირე ხნის წინ ეს გუნდები ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ანდალუსიელებმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს. თავად განსაჯეთ, **ხუანდე რამოსის** შეგირდებმა "დეპორს" ორი მატჩის ჯამში 5:0 მოუგეს. გალისიელებს კარგი შანსი აქვთ, რომ რევანში აიღონ. "სევილია" ხომ სასტიკად გადაღლილია. გასულ ოთხშაბათს, სამხრეთულმა კოლექტივმა უეფას თასის ფინალში ურთულესი გამარჯვება მოიპოვა. ფეხბურთელებმა მოედანზე 120 წუთი დაჰყვეს და ტიტული მხოლოდ პენალტების სერიით შეინარჩუნეს. ცხადია, სეზონის მიწურულს რთული პაექრობის გამართვამ ხუანდე რამოსის ბიჭები ძალიან დაღალა. ყველაფერთან ერთად, სტუმრებს ტრავმების გამო სირთულეები შეექმნათ. **კრისტიან პოულსენს** მარცხენა მუხლის მენისკი დაუშავდა. ის მოედანზე ვერ გავა. უფრო მეტიც, შესაძლოა, დანიელმა ლეგიონერმა პრიმერა დივიზიონის დარჩენილ შეხვედრებსა და 23 მაისის სამეფო თასის ფინალშიც ვერ მიიღოს მონაწილეობა. როგორც გაირკვა, პოულსენმა ტრავმა "ესპანიოლთან" შეხვედრაში მიიღო, თუმცა უეფას თასის ფინალს იმდენად დიდი აზარტი და ინტრიგა ახლდა, რომ მან ტკივილები ვერც კი იგრძნო. ექიმების თქმით, ამან პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

რამოსს შესაძლოა, ძირითადი შემადგენლობის კიდევ სამი ფეხბურთელი დააკლდეს. საქმე **პუერტას, მარტისა** და **ადრიანოს** ეხებათ. გლაზგოურ დაპირისპირებაში მათ სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები მიიღეს. მართალია, სერიოზული არაფერია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ საკვირაო მატჩამდე მათი გამოჯანმრთელება ალბათ, ვერ მოესწრება. ამ სირთულეების მიუხედავად, "სევილიის" დამრიგებელი ოპტიმისტურადაა განწყობილი. ხუანდე რამოსი პირდაპირ ამბობს, რომ "რიასორზე" მისი შეგირდები ტრადიციულად შემტევ ფეხბურთს ითამაშებენ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, ანდალუსიელებს ჩემპიონობისთვის მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.



ფაბიო კაპელო ლიდერობის დათმობას აღარ აპირებს

## ლიდერთა დარჩენილი თამაშები

**რეალი**

რეკრეატივო (სტუმრად)
დეპორტივო (შინ)
სარაგოსა (სტუმრად)
მალიორკა (შინ)

**ბარსელონა**

ატლეტიკო (სტუმრად)
ხეტაფე (შინ)
ესპანიოლი (შინ)
ხიმნასტიკი (სტუმრად)

**სევილია**

დეპორტივო (სტუმრად)
სარაგოსა (შინ)
მალიორკა (სტუმრად)
ვილიარეალი (შინ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 34 | 20 | 6 | 8 | 55-34 | 66 |
| 2. ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 64-30 | 66 |
| 3. სევილია | 34 | 19 | 7 | 8 | 59-32 | 64 |
| 4. ვალენსია | 34 | 19 | 5 | 10 | 49-32 | 62 |
| 5. სარაგოსა | 34 | 15 | 10 | 9 | 47-34 | 55 |
| 6. ატლეტიკო | 34 | 15 | 9 | 10 | 40-29 | 54 |
| 7. რეკრეატივო | 34 | 14 | 8 | 12 | 46-45 | 50 |
| 8. ვილიარეალი | 34 | 14 | 8 | 12 | 39-40 | 50 |
| 9. ხეტაფე | 34 | 13 | 10 | 11 | 33-28 | 49 |
| 10. რასინგი | 34 | 12 | 13 | 9 | 39-41 | 49 |
| 11. მალიორკა | 34 | 14 | 6 | 14 | 40-42 | 48 |
| 12. ესპანიოლი | 34 | 11 | 12 | 11 | 41-43 | 45 |
| 13. დეპორტივო | 34 | 11 | 11 | 12 | 25-34 | 44 |
| 14. ოსასუნა | 34 | 10 | 7 | 17 | 39-46 | 37 |
| 15. ბეტისი | 34 | 7 | 15 | 12 | 32-41 | 36 |
| 16. ლევანტე | 34 | 8 | 12 | 14 | 29-43 | 36 |
| 17. ბილბაო | 34 | 8 | 10 | 16 | 37-55 | 34 |
| 18. სოსიედადი | 34 | 7 | 9 | 18 | 26-41 | 30 |
| 19. სელტა | 34 | 7 | 9 | 18 | 32-52 | 30 |
| 20. ხიმნასტიკი | 34 | 6 | 6 | 22 | 31-61 | 24 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლოთარ მათეუსთან

# ტრაპატონისგან ბევრი რამ ვისწავლე

## ლეგენდარული გერმანელი არ გამორიცხავს, ოდესმე ბუნდესნაკრების მთავარ მწვრთნელობას დაუმიზნოს

ლოთარ მათეუსმა არც ისე დიდი ხანია, რაც ფეხბურთელობას თავი დაანება, მაგრამ უკვე ბევრგან მოასწრო მწვრთნელად მუშაობა - ბრაზილიის "ატლეტიკო პარანაენსე", სერბეთის "პარტიზანი", უნგრეთის ნაკრები... ამ თავგადასავლების შემდეგ, გერმანელს ავსტრიის "ზალცბურგში" შესთავაზეს მუშაობა, ოღონდ ლეგენდარულ იტალიელ ჯოვანი ტრაპატონისთან ტანდემში. ავსტრიული კლუბის მფლობელს - კომპანია "რედ ბულს" სუპერკლუბის ჩამოყალიბება აქვს განზრახული. სწორედ ამის გამო შეიქმნა ეს სახელდახელო დუეტი, რომლის მუშაობითაც "ზალცბურგის" მეპატრონეები ჯერჯერობით, კმაყოფილები, არიან. ყოველ შემთხვევაში, ეს გუნდი ძალიან იოლად გახდა ქვეყნის ჩემპიონი და გაისად, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირზე მოსახვედრად იბრძოლებს. რა ხდება "ზალცბურგში", როგორია მაესტრო ტრაპატონის მხარდამხარ მუშაობა, რას ფიქრობს მათეუსი თანამედროვე გერმანულ და მსოფლიო ფეხბურთზე? ყველა ამ კითხვაზე პასუხს გერმანელი მწვრთნელის ინტერვიუდან შეიტყობთ.



ლოთარ მათეუსმა და ჯოვანი ტრაპატონიმ ზალცბურგს ავსტრიის ჩემპიონობა მოუტანეს

**- ცნობილია, რომ "ზალცბურგის" მეპატრონეები სუპერკლუბის შექმნას აპირებენ, რომელიც მთელს ევროპაში კონკურენტუნარიანი იქნება. შესაძლებელია თუ არა ამის გაკეთება ავსტრიის ჩემპიონატის პირობებში, რომელიც არ ითვლება ევროპაში ძლიერ ტურნირად?**

- ყოველ შემთხვევაში, კლუბის ჩემპიონთა ლიგაზე რეგულარულად გაყვანა სავსებით რეალურია. ადრე, ამის გაკეთება ბელგრადის "პარტიზანთან" ერთად შევძელი, რომლის ფინანსური შესაძლებლობები გაცილებით მოკრძალებული იყო, ვიდრე "ზალცბურგისა". რამდენად შორს წავა ჩემი ამჟამინდელი კლუბი, რთული სათქმელია, მაგრამ სწორი მუშაობით, ყველაფერია შესაძლებელი.

**- ისინი, ვინც კლუბს აფინანსებენ, თქვენი და ჯოვანი ტრაპატონის მუშაობაში არ ერევიან?**

- სპორტულ პროცესთან მათ არანაირი შეხება არ აქვთ. რა თქმა უნდა, გარკვეული დროის შემდეგ, მეპატრონეები ჩვენგან შედეგს ელიან, მოვა დრო როცა ისინი გაწეულ სამუშაოს შეაფასებენ და გადაწყვეტენ - მიაღწია თუ არა მიზანს გუნდმა ტრაპატონისა და მათეუსის ხელმძღვანელობით. თუ ჩათვლიან, რომ შედეგი მიღწეულია, მუშაობას გავაგრძელებთ, თუ არა - "ზალცბურგის" შეფები საკადრო ცვლილებებს განახორციელებენ. ამ მომენტისთვის ჩვენ ვიცით, საითაც მივდივართ, ამასთან, მკაცრად ვიცავთ იმ ბიუჯეტის ჩარჩოებს, რომელიც ჩვენთვის არის გამოყოფილი.

**- ყველგან წერია, რომ "ზალცბურგს" ორი მწვრთნელი ჰყავს: ლოთარ მათეუსი და ჯოვანი ტრაპატონი. ეს მართლა თანასწორუფლებიანი პარტნიორების ტანდემია თუ რომელიმე თქვენთაგანი მთავარი მწვრთნელია?**

- რა თქმა უნდა, პირველობას ტრაპატონის ვაძლევ, როგორც უფრო გამოცდილ სპეციალისტს. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ის არის მთავარი მწვრთნელი. მაგრამ ყველაფერი, რასაც ის ამბობს, აუცილებელი არ არის, რომ ცხოვრებაში განხორციელდეს. პრაქტიკულად, ყველა გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ. ბუნებრივია, ყველაფერზე ერთიანი აზრი ვერ გვექნება და კამათიც მოგვდის ხოლმე. მიუხედავად ამისა, ჩვენ ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის ვახერხებთ ერთიანი პოზიციის შემუშავებას.

ტრაპატონი - ძალიან გამოცდილი მწვრთნელია და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მაგრამ, მეორე მხრივ - მე უკეთ ვიცი ენა და ჩვენი ფეხბურთელების მენტალიტეტი და ამ მხრივ, ჯოვანის უდიდეს დახმარებას ვუწევ. არსებობს ნიუანსები, რომლებიც მან შეიძლება ვერ შეამჩნიოს - ეს ეხება ფეხბურთელის ხასიათს, მისი აზროვნების თავისებურებებს... ასე რომ, შესანიშნავად შეთამაშებულ დუეტთან გვაქვს საქმე.

**- სუფთა ტექნიკური შეკითხვა: წინასამატჩო დარიგებებს ვინ იძლევა? ტრაპატონი თქვენი თარგმანით?**

- ჯოვანი არც ისე თავისუფლად, მაგრამ გერმანულად ლაპარაკობს. დარიგებებს ის თავად იძლევა, მე კი ვეხმარები, თუ ენასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა ექმნება. საერთოდ, ტრაპატონის იმდენად კარგად ვიცნობ, რომ არაფრის თქმა არ მჭირდება: შესანიშნავად მესმის, თუ რას ითხოვს ის ნებისმიერი ფეხბურთელისგან.

**- მაშინ, რაში გჭირდებათ ტრაპატონი?**

- რომ მისგან ყველაფერი ვისწავლო! (იცინის).

**- ფრანც ბეკენბაუერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: "მე ვიცი, რა გზას აირჩევს მათეუსი. ის ბუნდესნაკრების მწვრთნელი გახდება!" დაახლოებით თუ იცით, როდის მოხდება ეს?**

- რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე მართლაც მოვინდომებ ნაკრების ხელმძღვანელობას. მაგრამ ამ ეტაპზე, ეს საკითხი არააქტუალურია. სავსებით კმაყოფილი ვარ ზალცბურგში ჩემი ამჟამინდელი სამუშაოთი, ნაკრებს კი, ძლიერი მწვრთნელი ჰყავს.

**- ბევრს არ ეგონა, რომ 2002 წელს, გერმანიის ნაკრები რუდი ფიოლერის ხელმძღვანელობით მეორე ადგილზე გავიდოდა. ხომ არ გშურთ თქვენი ყოფილი პარტნიორების? კლინსმანმა და ფიოლერმა უკვე მოასწრეს ნაკრებში მუშაობა, თქვენ - ჯერ არა.**

- საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს ეს გრძნობა - შური. ვამაყობ ნაკრების ნებისმიერი წარმატების გამო და შესანიშნავად მესმის, რამხელა შრომის ჩადებაა საჭირო მის მისაღწევად.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ? იმედგაცრუება იგრძენით იმის გამო, რომ გერმანიის ნაკრები ფინალში ვერ გავიდა, თუ ამაყი იყავით იმ თამაშით, რაც კლინსმანის გუნდმა აჩვენა?**

- პირველ რიგში, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, როცა ბუნდესნაკრების თამაში ვიხილე. თუ შედეგზე ვისაუბრებთ, გუნდმა იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე ამას გულშემატკივრები ელოდნენ. ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ ეს გუნდი მესამე ადგილს დაიკავებდა.

■ ■ ■

**- თქვენს კარიერაში დიდი გამარჯვებები მრავლად იყო. მთავარ იმედგაცრუებად კი, ალბათ, 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი უნდა მივიჩნიოთ, სადაც "ბავარიამ" "მანჩესტერ იუნაიტედთან" წააგო. გაგვიმხილეთ საიდუმლო, რომელიც ინგლისელთა ორ გოლამდე თქვენს შეცვლას უკავშირდება. მწვრთნელის მითითებით შეგცვალეს თუ თქვენივე თხოვნით?**

- სადღაც 78-ე წუთზე, საშინელი დაღლა ვიგრძენი. საქმე ისაა, რომ ტაქტიკური სქემა შევცვალეთ - მე მოედნის ცენტრში მომიწია გადასვლა, სადაც ძალიან ბევრი ენერგია დავხარჯე. საბოლოოდ, მწვრთნელს ვანიშნე, რომ ძალა აღარ მქონდა და 80-ე წუთზე შემცვალეს კიდეც.

**- რაზე ფიქრობდით მაშინ, როცა "მანჩესტერმა" ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი, წინ გავიდა?**

- სრულ სიცარიელეს. ის, რაც მინდორზე ხდებოდა, ახსნას არ ექვემდებარებოდა.

**- იმ ორ გოლს რაიმე კომენტარსაც მოაყოლებდით...**

- დიახ.

**- იქნებ გაგვიმეოროთ?**

- ეს ის სიტყვებია, რომელთა დაბეჭდვაც გაზეთებში არ შეიძლება. სპორტულ პრესას ხომ ბავშვები და ქალებიც კითხულობენ (იცინის).

■ ■ ■

**- გერმანიის ნაკრებს დავუბრუნდეთ. ალბათ, გსმენიათ გარი ლინეკერის ცნობილი ფრაზა: "ფეხბურთი მარტივი თამაშია. მას 11/11-ზე თამაშობენ, გამარჯვებული კი, ყოველთვის გერმანიაა". შეგიძლიათ აგვიხსნათ, რატომ?**

- ის კარგი დრო წარსულს ჩაბარდა... თუ სერიოზულად ვისაუბრებთ, კარგ შედეგს - თუნდაც არც ისე ძლიერი ფეხბურთელებით, გერმანიის ნაკრები განსაკუთრებული განწყობის ხარჯზე აღწევს.

**- თქვენ ნაკრებში 20 წელიწადი თამაშობდით. რა არის ასეთი გრძელი და თან წარმატებული კარიერის საიდუმლო? განსაკუთრებული რეჟიმი, ვარჯიშების მეთოდიკა თუ ფიტნეს-პროგრამები?**

- უფრო დისციპლინა, პატივმოყვარეობა და საკუთარი თავის რწმენა.

**- თქვენი ბოლო დიდი ტურნირი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი იყო, სადაც გერმანიის ნაკრები სუსტად გამოვიდა. არ ნანობთ იმ ჩემპიონატზე გამგზავრებას? ხომ არ ჯობდა, კარიერის უფრო ადრე, მაჟორულ ნოტაზე დასრულება?**

- ასეთ შემთხვევაში, ფეხბურთისთვის თავი იმ ჩემპიონატამდე 10 წლით ადრე უნდა დამენებებინა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემს კარიერაში არ იქნებოდა მონაწილეობა ორ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბუნდესლიგის ოთხი ტიტული, უეფას ორი თასი... ანუ, მთელი ათი წელიწადი ფეხბურთში. რა თქმა უნდა, კარიერის გამარჯვებით დასრულება შესანიშნავია. მაგრამ რაიმეს წინასწარ დაგეგმვა უაზრობაა.

**- მზად იყავით თუ არა, ნაკრებში ჰონორარის გარეშე გეთამაშათ?**

- საერთოდ, ფეხბურთს ფულის გამო არ ვთამაშობდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარიერაში მინიმუმ ათ კლუბს გამოვიცვლიდი. ყოველთვის ერთ აზრზე ვიყავი: "მიაღწიე მაქსიმალურ შედეგს, დანარჩენი თავისთავად მოგვარდება". სამწუხაროდ, დღეს ბევრი პროფესიონალი ფეხბურთელი არ მისდევს ამ პრინციპს. "ბაიერნთან" და "ინტერთან" კონტრაქტები ყოველგვარი აგენტების გარეშე გავაფორმე და მოლაპარაკებები სულ რაღაც 5 წუთს გრძელდებოდა. დღეს კი, როცა კლუბი 19 წლის ბიჭთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას, ჯერ არ შემდგარ მოთამაშეს მთელი დელეგაცია ახლავს თან - ადვოკატი, ათამდე დამხმარე, ხუთი მენეჯერი და მშობლები. თანაც, ის ითხოვს, რომ კონტრაქტში გათვალისწინებული იყოს კბილის პასტის შესაძენი თანხაც. შეიძლება საკითხის უტრირებას ვახდენ, მაგრამ საერთო ჯამში, სწორედ ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ჩემი ბოლო კონტრაქტი "ზალცბურგთან", ტელეფონით 30 წამში დავდე.

**- როცა ამერიკაში თამაშს დათანხმდით, ხოლო მოგვიანებით, ერთ-ერთი ბრაზილიური კლუბი ჩაიბარეთ, მაშინაც ასე ცოტა ხანი იფიქრეთ?**

- თქვენ არასწორად გამიგეთ: ყოველთვის ბევრს ვფიქრობდი, მაგრამ, როგორც კი გადაწყვეტილებას მივიღებდი, თავად მოლაპარაკებების პროცესი ძალიან ხანმოკლე იყო. სხვათა შორის, ბრაზილიაში მუშაობას რაც შეეხება, ეს მეტად საინტერესო გამოცდილება იყო. ყოველ შემთხვევაში, "ატლეტიკო პარანაენსეში" გატარებულმა ორმა თვემ დიდი სარგებელი მომიტანა.

**- იქ უფრო დიდხანს რატომ არ დარჩით?**

- რამდენიმე კვირის შემდეგ, გარკვეული გარემოებები წარმოიშვა, რომელთა წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელი იყო. მათზე დაწვრილებით საუბარი არ მსურს. თუმცა, მე და ბრაზილიელები მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს.

**- დევიდ ბექჰემმაც ამერიკაში გადაწყვიტა თამაში. თქვენი აზრით, ეს კარიერის დასასრულს ნიშნავს?**

- თუ ნაკრები გაქვთ მხედველობაში, ასეა. მეორეს მხრივ, ლოს ანჯელესში გადასვლა - კარგი ნაბიჯია დევიდისთვის და მისი მეუღლისთვის. იმიტომ, რომ ამ ქალაქში, სპორტის გარდა სხვა ბევრი რამაა საინტერესო.

**- იურგენ კლინსმანმა ამერიკის დატოვება მაშინაც კი არ ისურვა, როცა ნაკრები ჩაიბარა. თქვენ არ გქონიათ ამ ქვეყანაში დარჩენის სურვილი?**

- კლინსმანს ამერიკის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობები ამოძრავებდა. რაც შემეხება მე, ყოველთვის ყველაზე კომფორტულად თავს გერმანიასა და იტალიაში ვგრძნობდი.

■ ■ ■

**- აღმოსავლეთ ევროპაში დიდხანს მოგიწიათ მუშაობა. რა უნდა შეცვალონ იქაურმა ფეხბურთელებმა, რათა დასავლელი კოლეგების მსგავს წარმატებებს მიაღწიონ?**

- უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ძალები უნდა ირწმუნონ. და არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით. სერბეთში ამბობენ: "შენ შეგიძლია კმაყოფილი იყო, თუ ჯიბე სავსე გაქვს". გერმანიაში კი, ჩვეულებრივ სურთ არა ერთი, არამედ ყველა ჯიბე ჰქონდეთ სავსე.

**- თქვენს გამოსათხოვარ მატჩს დიეგო მარადონაც ესწრებოდა. აგრძელებთ თუ არა მასთან ურთიერთობას და საერთოდ, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ უდიადეს და ამასთან ერთად, წინააღმდეგობრივ ფეხბურთელთან?**

- მარადონა ჩვენი დროის უდიდესი ფეხბურთელი იყო! ბუნებრივია, მინდორზე ველარ შევხვდებით, მაგრამ სხვადასხვა ღონისძიებებზე გვაქვს ხოლმე ურთიერთობა. ბოლოს, 2006 წელს, რიოს კარნავალზე შევხვდით ერთმანეთს.

**- რა აზრის ხართ მის მიერ ხელით გატანილ გოლზე ინგლისელთა კარში?**

- დღეს, ეს ფეხბურთის ისტორიის ნაწილია.

**- თქვენ რომ ასეთი გოლი გაგეტანათ, აღიარებდით, რომ ხელით ითამაშეთ?**

- ვერ ვაღიარებდი - ფეხბურთელებს, როგორც წესი, არ გვეკითხებიან ხოლმე (იცინის).

**- 1991 წელს გახდით პირველი ფეხბურთელი, ვინც ფიფამ წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. ხმის მიცემის საშუალება რომ გქონოდათ, როგორი იქნებოდა 2006 წლის შედეგების მიხედვით, მათეუსის არჩევანი?**

- პირველი ნომერი - ანრი. მესამე - რონალდინიო. მეორე ადგილზე კი, გერმანიის ნაკრების ფორვარდ მიროსლავ კლოზეს დავაყენებდი.

**- საინტერესოა, რომ სამივე ამპლუით თავდამსხმელია, თქვენ კი, დაცვითი სტილის ფეხბურთელი იყავით.**

- ახალგაზრდულ გუნდებში თავდამსხმელის უკან ვთამაშობდი და გოლების დიდი ნაწილი სწორედ ჩემზე მოდიოდა. მაგრამ, რაღაც მომენტში, მწვრთნელებმა უკან, ნახევარდაცვაში გადამისროლეს, ხანდახან კი, მცველის ფუნქციებსაც ვასრულებდი. თუმცა, თავს იქაც საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობდი.

**- არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ყველა დიდი ფეხბურთელი ვერ ყალიბდება მაღალი დონის მწვრთნელად, რადგან ვერ ერევა საკუთარ თავში მოთამაშის ფსიქოლოგიას. თქვენ რამდენად მოახერხეთ ეს?**

- ასეთი პრობლემა მართლაც არსებობს და მე თანდათანობით ვცდილობ მის მოგვარებას. თუმცა, რაღაც დოზით მოთამაშედ დარჩენა მაინც ღირს - მხოლოდ ასე თუ გაუგებ შენს შეგირდებს.

**- ძველი, უფრო სანახაობრივი ფეხბურთის მიმართ ნოსტალგიას გრძნობთ?**

- ფეხბურთი მართლაც ძალიან შეიცვალა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დროის უკან დაბრუნება. ამიტომაც უნდა შევეგუოთ დღევანდელ სიტუაციას.

**- გყავდათ თუ არა კარიერის დასაწყისში მისაბაძი მაგალითი?**

- პერსონალური კუმირი არასოდეს მყოლია. ჩემთვის მაგალითი მიონხენგლადბახის "ბორუსია" იყო - ჩემი პირველი გუნდი.

**- არსებობს თუ არა თანამედროვე ფეხბურთში ისეთი მოთამაშე, რომელიც მათეუსს გაგონებთ?**

- ოუენ ჰარგრივზი "ბაიერნიდან". კარგი გრძელი პასის მქონე, ძალიან სწრაფი და ჭკვიანი ფეხბურთელი. კარგი იქნება, თუ უფრო ხშირად გაიტანს გოლებს.

**- ვის გულშემატკივრობთ, როცა ერთმანეთს მიონხენგლადბახის "ბორუსია" და "ბაიერნი" ეთამაშებიან?**

- ორივე გუნდის დიდი მადლიერი ვარ, ამიტომაც, ასეთ შემთხვევებში ვცდილობ, ნეიტრალური ვიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



IRB. ერთა თასი

# ვინ ითამაშებს რუმინეთში

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, მსოფლიო თასის გათამაშებისათვის მზადების საწყის ეტაპზე, 5-16 ივნისს ბუქარესტში სამ შეხვედრას გამართავს ნამიბიის, სამ. აფრიკა U-23 და იტალია A ნაკრებებთან. საქაართველოს ნკრების მწვრთნელებმა შეარჩიეს ის 26 მორაგბე, ვინც ამ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

რუმინეთში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდება. პირველ ხაზში არ იქნებიან **გოდერძი შველიძე** და **დავით ზირაქაშვილი**, რომლებიც "კლერმონთან" ერთად საფრანგეთის ჩემპიონობისთვის იბრძვიან და ამ დროისთვის პლეიოფის თამაშები უწევთ. ტრავმირებულები არიან **აქვსენტი გიორგაძე** და **ავთანდილ კოპალიანი**. ასევე მეორეხაზელები **ილია ზედგინიძე** და **მამუკა გორგოძე**. მესამე ხაზში დაგვაკლდება **გია ლაბაძე**.

ტრავმები აწუხებთ უკანახაზელებს **პალიკო ჯიმშელაძეს, თემურ სოხაძესა** და **ირაკლი გიორგაძესაც**. რუმინეთში ერთი დებიუტანტი გვეყოლება - "ობენას" პირველხაზელი **ელიზბარ ყუფარაძე**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველოს ნაკრები:**

პირველი ხაზი: **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **მამუკა მაგრაქველიძე** (მეტრო რასინგი), **დავით დადუნაშვილი** (მასი), **რეზო ბელქანია** (ფიჟაკი), **გიორგი ჟღენტი** (ბიარიცი), **ელიზბარ ყუფარაძე** (ობენა)

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი), **ზურაბ მჭედლიშვილი** (დომონი)

მესამე ხაზი: **ილია მაისურაძე** (ნანტი), **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი), **რატი ურუშაძე** (ნიცა), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **გიორგი ჩხაიძე** (მასი)

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული)

10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო), **ოთარ ბარკალაია** (ფიჟაკი)

12-13: **დავით კაჭარავა** (ნანტი), **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (კანი)

11,14,15: **ირაკლი მაჩხანელი** (ბეზიე), **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ბესიკ ხამაშურიძე** (აია), **ოთარ ელოშვილი** (არასი), **გიორგი ელიზბარაშვილი** (კრასნი იარი)

შემადგენლობა დაასახელა ტურნირის მონაწილე კიდევ ორმა გუნდმა.

**ნამიბია:**

ჰეინი ბოკი, თინუს დუპლესი, სტეფან დურანი, ნიკო ესტერჰოიზენი, გიდეონ ლენსინხი, ჰერმან ლინდფელტი, კლოდ ლოსპერი, იოჰანეს მაიერი, კორნე პაუელი, იონი რედელინგჰუისი, ჰეინო სენეკალი, ჯასტინ ფანდერვესტჰოიზენი, იურგენს ფანლილი, მარიუს ფისერი, რაიან ვიტბოი, მელრიკ აფრიკა, ჟაკ ბურხერი, იან დიუტუა, ლუ-ვეინ ბოუთსი, იან ჰენდრიკ დუვენჰახე, პრეეზ ხრობლერი, იუჯინ იანჩისი, უაკაზუვაკა კაზომბიაზე, ჟაკ ნიუვენჰუისი , პიტერ როსუ; მწვრთნელი : იოჰან ფენტერი

**რუმინეთი:**

შერკინება: სეზარ პოპესკუ (აჟენი), ბოგდან ბალანი (მონტობანი), სილვიუ ფლორია (ბეზიე), პეტრიშორ ტოდერაშკი (ბრივი), რაზვან მავროდინი (პო), მარიუშ ტინკუ (პერპინიანი), სორინ სოკოლი (აჟენი), ქრისტიან პეტრე (ბრივი), აუგუსტინ პეტრიკეი (ბეზიე), ფლორინ კოროდიანუ (გრენობლი), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), სტელიან ბურჩა (დინამო), კოზმინ რაციუ (დინამო), კოსტიკა მერსოიუ (დინამო).

უკანახაზი: ვალენტინ კალაფეტიანუ (დინამო), ლუჩან სირბუ (მეტრო რასინგი), იონუც ტოფანი (ლიმოჟი), იონუც დიმოფტე (არადი), კატალინ დასკალუ (სტიაუა), ჩაბა გალი (სტიაუა), დან ვლადი (სტიაუა), კატალინ ფერკუ (არადი), იოან თეოდერესკუ (არადი), გაბრიელ ბრეზოიანუ (მეტრო რასინგი), იულიან დუმიტრაში (პო), ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა)

5 ივნისი: არგენტინა A-იტალია A, საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-სამ. აფრიკა U-23

10 ივნისი: საქართველო- სამ. აფრიკა U-23, არგენტინა A-ნამიბია, რუმინეთი- იტალია A

15 ივნისი: საქართველო- იტალია A, რუმინეთი- ნამიბია, სამ. აფრიკა U-23- არგენტინა A

საქართველოს ჩემპიონატი
მიხეილ მესხის სტადიონი

| | |
|---|---|
| 19 მაისი. შაბათი | 15.00 ლელო-დინამო |
| 21 მაისი. კვირა | 16.00 ლოკომოტივი-უნივერსიტეტი |
| | 18.00 ყოჩები-არმაზი |



რუმინეთში დაგვაკლდებიან ილია ზედგინიძე, გია ლაბაძე და ბევრი სხვაც...



2003 წელს, ავსტრალიაში, მსოფლიო თასის პირველ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს ვასილ კაცაძემ უკაპიტნა. მას შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში, 2005 წელს უკრაინის ნაკრების წინაალმდეგ. ამის შემდეგ კაცაძე ჩვენი თვალთახედვიდან გაქრა. წლევანდელი სეზონის წინ ვასო ცამეტკაცა რაგბიში გადაბარგდა, ახლახან კი საქართველოს შვიდკაცა ნაკრებში მიიწვიეს და გუნდთან ერთად პოლონეთში ევროპის სერიის ეტაპზე სათამაშოდ გაემგზავრა. ჩვენი საუბარი გამგზავრების წინ შედგა.

ინტერვიუ ვასილ კაცაძესთან

# რატომ დამაბერეს 31 წლის კაცი?

- ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ერთი ხელის მოსმით მომკვეთეს ნაკრებიდან. არადა ჩვენს ეროვნულ გუნდში თამაში ჩემთვის უდიდესი სიამაყის მომგვრელი იყო. ის რაც ყველაზე მეტად მეამაყებოდა და რისთვისაც ძალიან ბევრი ზიანი მომადგა საკლუბო კარიერაში, ხელიდან გამომეცალა. ეს ძალიან დამთრგუნველია.

**- ნაკრების მწვრთნელებთან არ გისაუბრიათ ამ თემაზე? იქნებ მათ საამისო არგუმენტი გააჩნიათ?**

- საქმეც ეგაა, რომ ვესაუბრე. საფრანგეთში სტაჟირებაზე, რომ იყვნენ, შევხვდი და ვკითხე მიზეზი. მითხრეს ნაკრების გაახალგაზრდავება გვინდაო. ხმა არ ამომილია. მწვრთნელები არიან და თავისი საქმე, ცხადია, უკეთ იციან. მაგრამ ახლა რომ ვუყურებ ნაკრებში ჩემზე გაცილებით უფროსი მორაგბეები თამაშობენ, გაოცებული ვარ. რატომ დამაბერეს ნაადრევად 31 წლის კაცი?

**- გასული სეზონი ცამეტკაცა რაგბიში გაატარეთ. უკან ხომარ აპირებთ დაბრუნებას?**

- აუცილებლად. მართალია საფრანგეთში რაგბილიგის ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდში ვთამაშობდი, მაგრამ მირჩევნია რაგბიში თუნდაც მესამე დივიზიონში ვითამაშო. ცამეტკაცა ძალიან ერთფეროვანი, შემოქმედებითი თვალსაზრისით უინტერესო თამაში გამოდგა, ამიტომ ისევ რაგბის მინდა დავუბრუნდე. რამოდენიმე შემოთავაზება მაქვს მეორე დივიზიონის გუნდებიდან. ვნახოთ რა გამოვა. გამორიცხული არაა, პირველ დივიზიონშიც ამოვყო თავი.

**- რამდენად წარმატებული იყო თქვენი გუნდისთვის გასული სეზონი?**

-"ვილფრანში" საფრანგეთის თასის მფლობელი გახდა. ჩემპიონატში კი მხოლოდ მეექვსე ადგილს დავჯერდით.

**- ახლა საქართველოს შვიდკაცა ნაკრებში საკმაოდ სერიოზული ტურნირებზე გაქვთ სათამაშო. რამდენად ხართ მზად ამისათვის?**

- ძალიან კარგ ფორმაში ვარ. რომ ჩამოვედი სრულიად ახალი გუნდი დამხვდა. სულ ახალგაზრდა ბიჭები არიან. წინ ბევრი სათამაშო და სასწავლი აქვთ. შვიდკაცა რაგბი ძალიან სასარგებლო თამაშია. თავად განსაჯეთ, ხარჯიც შედარებით ნაკლები აქვს და უკანა ხაზის მოთამაშეებსაც აწრთობს. თამაშის პარალელურად მენეჯმენტს ვსწავლობ. შვიდკაცა რაგბისთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო იდეები და პროექტი მაქვს. აქტიურ სპორტს რომ ჩამოვშორდები, ალბათ ამ სფეროში გადავინაცვლებ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



2003. ინგლისი-საქართველო. კაცაძე მეტ დოუსონის წინაალმდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**18 მაისი, თბილისი**

**ავიამშენი–აზოტი 63:85**

10:29, 17:17, 9:24, 27:15

| ავიამშენი | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ი. ბერიშვილი | 4 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 |
| ხოშტარია | 6 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 |
| ბარბაქაძე | 12 | 4 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ბაბიაშვილი | 16 | 6 | 0 | 2 | 1 | 6 |
| სუხიშვილი | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| დ. ბერიშვილი | 5 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მოსეშვილი | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლაძე | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 |
| კეიდია | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| როდუმტა | 7 | 12 | 2 | 3 | 4 | 2 |
| კვიმსაძე | 4 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 |
| **აზოტი** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **შ** |
| გამყრელიძე | 17 | 6 | 7 | 2 | 0 | 3 |
| ბეჟანიშვილი | 9 | 3 | 1 | 3 | 0 | 2 |
| ტულუში | 16 | 6 | 6 | 3 | 0 | 1 |
| გოგობერიშვილი | 6 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 |
| უგრეხელიძე | 6 | 5 | 0 | 0 | 0 | 2 |
| მარკოიშვილი | 11 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 |
| ბოისა | 6 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 |
| დიდია | 8 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ცეკვავა | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ტუჯანი | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბერძენიშვილი | 2 | 3 | 0 | 1 | 0 | 1 |
| მალეშევიჩი | 2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 |

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**სერია მოიგო აზოტმა 3:0**

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**18 მაისი, თბილისი**

**თსუ–დინამო 93:74**

25:32, 25:16, 22:16, 21:10

| თსუ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არწივიძე | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ბ. ბერიშვილი | 10 | 4 | 5 | 3 | 0 | 2 |
| ფანჩულიძე | 11 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 |
| ლეჟავა | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |
| მარხვაშვილი | 13 | 4 | 3 | 3 | 0 | 3 |
| ვეფხვაძე | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 |
| შანიძე | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 |
| მათიაშვილი | 12 | 6 | 0 | 2 | 0 | 2 |
| ხეცურიანი | 8 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 |
| იმნაძე | 14 | 11 | 0 | 1 | 0 | 0 |
| **დინამო** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **შ** |
| გულისაბედაშვილი | 19 | 5 | 0 | 1 | 0 | 4 |
| ბადრიძე | 7 | 6 | 7 | 5 | 0 | 8 |
| ლაფანაშვილი | 27 | 7 | 1 | 1 | 0 | 3 |
| სიგუა | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 |
| გვიმრაძე | 10 | 5 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ფაიძრიძე | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ნოზაძე | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 |
| კოლუაშვილი | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 |

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბელავა

**სერია მოიგო თსუ-მ 2:1**



ლაშა გამყრელიძემ შვიდი პასი გააკეთა. ერთ-ერთი თქვენ წინაშეა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# ნანატრი ოქრო რუსთავშია, ნანატრი ევროთასები?

"რუსთავის "აზოტთან" ერთად დღემდე საქართველოს ჩემპიონატის 4 ფინალში ვითამაშე, მაგრამ ვერცერთის მოგება ვერ მოვახერხე. მეხუთე ცდაზე, როგორც იქნა რუსთაველები გავახარეთ. ჩვენი გულშემატკივრები დიდი ხანია, ოქროს ელიან და ადრე თუ გვიან, ჩეპიონები უნდა გავმხდარიყავით", - იოლი მისახვედრია, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის "აზოტის" კაპიტან **რამაზ გოგობერიშვილს**, რომელმაც თბილისურ გუნდებთან ერთად კიდევ 3 ფინალი ითამაშა.

თუკი რამაზი 8-გზის ფინალისტია, მისი თანაკლუბელი **ვაკო ბეჟანიშვილი** ქვეყნის რეკორდსმენია - გუშინ საქართველოს ჩემპიონატი მერვედ მოიგო.

...ხოლო **გიორგი მარკოიშვილი** ზედიზედ მესამედ მესამე გუნდთან (სტუ, "ავიამშენი", "აზოტი") დაეუფლა ჩემპიონისთვის განკუთვნილ ოქროს მედალს.

ჩემპიონობასთან დაკავშირებით კიდევ უამრავი საინტერესო დეტალის გახსენება შეიძლება, მაგრამ ახლა მთავარ კითხვას ვუპასუხოთ - როგორ მოახერხა "აზოტმა" ფინალურ სერიაში 3:0 გამარჯვება?

**პირველი** მიზეზი ფინანსებია. 2006 წლის ზამთარში რუსთავურ გუნდს ახალი სპონსორი გამოუჩნდა - "ენერჯი ინვესტი". ფინანსურად მომძლავრებულ "აზოტს" საქართველოს ნაკრების სამი წევრი დაემატა - **დათო უგრეხელიძე, კოტე ტულუში** და **ლაშა გამყრელიძე** (ნაკრების კიდევ ერთი წევრი **ანატოლი ბოისა** გუნდში მანამდეც თამაშობდა). სწორედ ეს სამეული გახდა ფინალური სერიის სამი მატჩის საუკეთესო: პირველ შეხვედრაში MVP-დ დავით უგრეხელიძე დასახელდა, მეორეში - კოტე ტულუში, მესამეში - ლაშა გამყრელიძე.

მოკლედ, როგორც დღეს ირკვევა, ახალმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** შემადგენლობის შედგენისას სწორი არჩევანი გააკეთა.

**"აზოტის"** წარმატების მეორე მიზეზი მწვრთნელია. როგორც უკვე ვთქვით, ქვემოქართლელებს წელს საუკეთესო შემადგენლობა ჰყავთ. სწორედ 12 საუკეთესოსგანაა გუნდის შეკრება ძნელი, თორემ ერთი ლიდერის ირგვლივ თამაშის აწყობას რა უნდა...

მართალია, შუა სეზონში იყო ორი ჩავარდნა ("ავიამშენთან" წაგებები), მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში "აზოტი" ყველაზე შეკრული გუნდი იყო - ყველა კალათბურთელს თავისი ფუნქცია კარგად ჰქონდა გათავისებული და როგორც წამყვან ევროპულ გუნდებს სჩვევიათ, ხან ერთი მოთამაშე ავლენდა ლიდერის ფუნქციებს, ხან მეორე და ა.შ. საბოლოოდ ქულებიც თანაბრად ნაწილდებოდა და, რაც მთავარია, გამარჯვება რუსთაველებს რჩებოდათ.

**"აზოტის"** ჩემპიონობის მესამე მიზეზი ქომაგობაა. რუსთავი საკალათბურთო დარბაზი თითოეულ მატჩზე პირთამდე ივსება და ყველაზე ბევრი გულშემატკივრის მყოლი გუნდი პირველობას აქამდეც იმსახურებდა.

აქვე ერთი რუსთაველის საჩივარს გაგიზიარებთ: *"გეხსომებათ, რომ შარშან თბილისის დარბაზს რუსთაველები ვავსებდით, ისეთი ამბავი იყო, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. დღეს ჩვენი ქალაქიდან ჩამოსულთა რიცხვი უჩვეულოდ მცირეა. ამის მიზეზი ისაა, რომ ბილეთს ფასი ადევს - ბევრს სურდა ამ შეხვედრაზე დასწრება, მაგრამ საშუალება არ ჰქონდა. ასევე არ ვამართლებდი რუსთავის დარბაზში შესვლაზე ფასის დადებას. ამის გამო ქომაგთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, ხოლო რაც მეტია გულშემატკივარი, მით უკეთესი სანახავია თამაში..."*

**ნამდვილად** არავინ ელოდა, რომ მე-16 ჩემპიონატის უმთავრეს მატჩზე ორჯერ ნაკლები ქომაგი მოვიდოდა, ვიდრე "ავიამშენი"-"აზოტის" რიგითი, რეგულარული პირველობის შეხვედრისას (მაშინ გულშემატკივართა რაოდენობამ 5 ათასს გადააჭარბა).

თუმცა ქომაგთა ნაკლებობა ავიატორებს უფრო დაეტყოთ, ვიდრე აზოტელებს. ქვემოქართლელებს კარგად ესმოდათ, რომ სერიის მესამე მატჩის მოგება ჩემპიონობას უდრიდა და მოედანზე მაქსიმალურად კონცენტრირებულები გავიდნენ. ხოლო "ავიამშენის" კალათბურთელებს პირიქით - აშკარად ეტყობოდათ, რომ რუსთავში წაგებული ორი მატჩის შემდეგ ოქროს მედლის მოპოვების იმედი ნაკლებად ჰქონდათ. აკი თქვა მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** - ზედიზედ სამი მატჩის მოგება ფანტასტიკის სფეროდან იქნებოდაო...

გუნდების განწყობა თამაშზეც აისახა: სტუმრები დაცვაში შემართებით და, რაც მთავარია, მწყობრად იდგნენ, ავიატორებს მჭიდროდ ეთამაშებოდნენ და მოედნის ერთ გოჯს არ თმობდნენ. შედეგად 4-მა წუთმა ისე გაიარა, რომ მასპინძლებს ქულა არ ჰქონდათ ჩაგდებული. ეს პირველ რიგში "აზოტის" გამთამაშებლის ლაშა გამყრელიძის დამსახურება იყო, რომელიც ბურთის ართმევისთანავე ელვის სისწრაფით შედიოდა მეტოქის ფარქვეშ და თუ 2-ქულიანს არ აგდებდა, ანგარიშზე შედეგიან გადაცემას მაინც იწერდა. 2:13 - ასეთი იყო ანგარიში მე-5 წუთისთვის.

მეორე პერიოდის დასაწყისისთვის რუსთაველთა მწვრთნელმა ლაშა ისევ მოედანზე დატოვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტემპის დაგდება ნაადრევი იყო. მეორე ათწუთეულის საწყისი 5 ქულა სწორედ გამყრელიძის ანგარიშზე იყო, ხოლო მისი სამქულიანის შემდეგ სხვაობა 24 ქულას შეადგენდა.

მატჩის ბედი კი მაშინ გადაწყდა, როცა სარკისებურ დროს (05:50), სარკისებურად შებრუნებული ანგარიში დაფიქსირდა - 14:41 - "აზოტის" სასარგებლოდ.

ამის შემდეგ რუსთაველთა შემადგენლობაში დინჯი გამთამაშებელი **ბოიან მალეშევიჩი** გამოჩნდა და ქვემოქართლელებმა საქმე ჩემპიონობამდე მშვიდად მიიყვანეს. ამ დროს რას აკეთებდნენ ავიატორები? - ბურთს არაზუსტად ისროდნენ. მათ შემხედვარეს დილას ნანახი გამახსენდა: ჩემ გვერდით ერთმა ახალგაზრდამ მათხოვარს ხურდა მეტისმეტად მცირე ჭიქაში ზუსტად ჩაუგდო და კომპლიმენტიც მიიღო - ნეტავ ასე კალათბურთელები ისროდნენო...

**როგორც** დასაწყისში ვთქვით, შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელად ლაშა გამყრელიძე დასახელდა. მან 17 ქულას 6 მოხსნა, 7 პასი და 2 ჩაჭრა ნაამატა, აქედან 14 ქულა, 5 პასი, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა პირველ ტაიმში მიითვალა.

*"ვიცოდით, რთული მატჩი გველოდა, მეტოქე ბოლომდე დაიხარჯებოდა. მათგან ყველაფერს ველოდით და ყველაფრისთვის მზად ვიყავით. საბოლოოდ ჩვენმა კარგმა დაცვამ "ავიამშენის" ყოველგვარი მცდელობა წარმატებით ჩაახშო და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ახლა ერთი თხოვნა მექნება ჩვენს უფროსობასთან. ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრი საქართველოში დავრჩით, პირველ რიგში ჩემპიონობის მოპოვების სურვილით, მეორე - ევროტურნირებზე თამაშის იმედად. ვფიქრობ, მოვიდა დრო ქართული გუნდი ევროპაში გავიდეს. თავს ნამდვილად არ შევირცხვენთ".*

ლაშა მართალია - დროა ქართველებმა ევროტურნირების გემო გავიხსენოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ტრადიციული რიტუალი: რუსთაველთა მწვრთნელი დავით უსტიაშვილი ჰაერში

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონები, ფინალები

### I ჩემპიონატი (1991 წელი)

დინამო (ჩემპიონი წრიული სისტემით გამოვლინდა): ი. ვაშაკიძე, ჩხეიძე, სნაძე, ცხვედიანი. დარსაძე, დაუშვილი, ცაგარეიშვილი, დევაძე, ლ. ვაშაკიძე, სხიერელი, ბაქრაძე. მწვრთნელი: ლ. მოსეშვილი

### II ჩემპიონატი (1992–93 წ.)

**ვითა–მერანი 2:0**
**(83:75, 83:75)**

ვითა: ბარამიძე, შენგელია, ჩერქეზიშვილი, დადიანი, კოხრეიძე, ორმოცაძე, ტურაშვილი, ჩუბინიძე, ბეჟანიშვილი, ვაშაკიძე, სანაძე, ნიკოლაიშვილი, უძილაური. მწვრთნელი: ბ. ლიპარტელიანი

### III ჩემპიონატი (1993–94 წ.)

**ვითა–თბილისი 2:1**
**(77:74, 76:80, 78:74)**

ვითა: ჩერქეზიშვილი, ვაშაკიძე, შენგელია, დადიანი, ბერუაშვილი, კორძაძე, ორმოცაძე, ტურაშვილი, უძილაური, ჩუბინიძე, აბრამიძე, ბეჟანიშვილი, მაჭარაძე. მწვრთნელი: ბ. ლიპარტელიანი

### IV ჩემპიონატი (1994–95 წ.)

**ვითა–კაკტუსი 2:1**
**(69:79, 78:61, 84:77)**

ვითა: ვაშაკიძე, ბაქრაძე, შენგელია, კობეშავიძე, ტურაშვილი, სანაძე, ჩერქეზიშვილი, კორძაძე, ბეჟანიშვილი, დადიანი, კოკოლიშვილი, ჩუბინიძე, ორმოცაძე. მწვრთნელი: ბ. ლიპარტელიანი

### V ჩემპიონატი (1995–96 წ.)

**ვითა–დინამო 2:1**
**(89:76, 73:78, 84:81)**

ვითა: დერიუგინი, თორთლაძე, კობეშავიძე, ტურაშვილი, სანაძე, ნაცვლიშვილი, შენგელია, ქარაბაკი, დადიანი, კოკოლიშვილი, ჩხეიძე, ორმოცაძე. მწვრთნელი: ბ. ლიპარტელიანი

### VI ჩემპიონატი (1996–97 წ.)

**ვითა–დინამო 2:0**
**(82:74, 102:94)**

ვითა: თორთლაძე, სანაძე, ორმოცაძე, კობეშავიძე, ტურაშვილი, უსტიაშვილი, ნაცვლიშვილი, ბერუაშვილი, ქარაბაკი, ტულუში, კოკოლიშვილი, ჩხეიძე. მწვრთნელი: ბ. ლიპარტელიანი

### VII ჩემპიონატი (1997–98 წ.)

**ვითა–აზოტი 3:2**
**(92:93, 91:81, 115:104, 81:83, 89:88)**

ვითა: ვაშაკიძე, გაგნიძე, მიქაძე, აბრამიძე, კორძაძე, ორმოცაძე, დავითულიანი, ჩუბინიძე, ტულუში, გაგნიძე, ლოსაბერიძე ტურაშვილი, კოკოლიშვილი. მწვრთნელი: ზ. ტომარაძე

### VIII ჩემპიონატი (1998–99 წ.)

**ვითა–აზოტი 3:2**
**(71:72, 75:85, 68:62, 72:68, 78:65)**

ვითა: ვაშაკიძე, ტურაშვილი, ჭირაქაძე, აბრამიძე, უსტიაშვილი, ორმოცაძე, კოკოლიშვილი, ჩუბინიძე, კორძაძე, დადიანი, მუშკუდიანი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, დავითულიანი, ახალაძე, ბაქრაძე. მწვრთნელი: ზ. ტომარაძე

### IX ჩემპიონატი (1999–2000 წ.)

**ბასკო–აზოტი 3:1**
**(68:73, 105:66, 87:82, 98:95)**

ბასკო: მესხაძე, მაისურაძე, ვ. კილაძე, კვაჭაძე, ბეჟანიშვილი, აბრამიძე, კეშელავა, ჭეიშვილი, ბერაია, დავითულიანი, გ. კილაძე. მწვრთნელები: ვ. ალთაბაევი, ზ. ტომარაძე

### X ჩემპიონატი (2000–01 წ.)

**ბასკო–სტუ 2:0**
**(104:74, 112:78)**

ბასკო: მ. მარკოიშვილი, როჯერსი, უსტიაშვილი, ვ. ნაცვლიშვილი, ნიკოლაძე, ბეჟანიშვილი, აბრამიძე, რ. ნაცვლიშვილი, კეშელავა, საყვარელიძე, გ. ნაცვლიშვილი, დროჟანოვი, ორმოცაძე. მწვრთნელი: პ. გოოგე

### XI ჩემპიონატი (2001–02 წ.)

**ბასკო–დინამო 3:1**
**(107:87, 80:81, 87:79, 86:67)**

ბასკო: ჩხატარაშვილი, როჯერსი, ტუჯანი, თორთლაძე, ბეჟანიშვილი, საყვარელიძე, არხიპოვი, მარკოიშვილი, ბერძენიშვილი, ორმოცაძე, როდუმტა, დილონი. მწვრთნელი: ნ. კანდელაკი

### XII ჩემპიონატი (2002–03 წ.)

**დინამო–ბასკო 3:2**
**(79:85, 108:77, 82:81, 78:83, 92:91)**

დინამო: ხოშტარია, ნინიაშვილი, ბეჟანიშვილი, მარკოიშვილი, ჩხეიძე, თორთლაძე, ჟღენტი, აბრამიძე, ჯაფარიძე, ი. ნაცვლიშვილი, ჩუბინიძე. მწვრთნელი: ლ. მოსეშვილი, დ. ბრაიკოვიჩი

### XIII ჩემპიონატი (2003–04 წ.)

**ბასკო–დინამო 3:2**
**(66:61, 74:83, 56:77, 91:83, 79:69)**

ბასკო: დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი, ბ. ბერიშვილი, მაისურაძე, ბოისა, კვიმსაძე, კეშელავა, ბერძენიშვილი, ბოლქვაძე, როდუმტა, იმნაძე, ტუჯანი. მწვრთნელი: ნ. კანდელაკი

### XIV ჩემპიონატი (2004–05 წ.)

**სტუ–ავიამშენი 3:2**
**(91:72, 73:81, 85:77, 67:90, 96:85)**

სტუ: დ. ბერიშვილი, კუიდია, დევიძე, გაგნიძე, კოხრეიძე, შანიძე, მათიაშვილი, მარკოიშვილი, ჯაფარიძე, გოგობერიშვილი, მიქაძე, ნივნივაძე. მწვრთნელი: ნ. ჭეიშვილი

### XV ჩემპიონატი (2005–06 წ.)

**ავიამშენი–აზოტი 3:2**
**(81:79, 74:57, 68:93, 58:77, 74:54)**

ავიამშენი: დ. ბერიშვილი, ბ. ბერიშვილი, ხოშტარია, ნინიაშვილი, ორმოცაძე, ტულუში, მარკოიშვილი, როდუმტა, ნიკოლაძე, ჩხატარაშვილი, ბ. ნოზაძე, მოსეშვილი.

მწვრთნელი: ლ. მოსეშვილი

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. III ადგილისთვის

# ბრინჯაო ქარიშხალას

**იმედი–ქარიშხალა 28:29**

იმედი: ვახანია, გონჩაროვი; კვერნაძე, ლომიძე (2), ჟღენტი (2), ქარდავა (8), ბერიაშვილი (1), ყაველაშვილი (7), კერესელიძე, საბანაშვილი, თეთრუაშვილი (1), მაისურაძე (7), ცოტაძე, მინდოდაშვილი.

ქარიშხალა: გ. ტორონჯაძე, ქანთარია; ი. ტორონჯაძე, ჯოხარიძე, ფერაძე, ჩიხლაძე, ჯორბენაძე (2), სხირელი (9), ხუციძე, ა. ამირანაშვილი, მელქოშვილი (4), ზაალიშვილი (4), ო. ამირანაშვილი (4), ჯიშკარიანი (6).

**ქარიშხალამ მოიგო სერია 2:0**

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გაირკვა. მოლოდინისამებრ, თბილისის „ქარიშხალამ" მეორე მატჩიც მოუგო თანაქალაქელ „იმედს", ამჯერად მხოლოდ ერთი ქულით, და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. „ქარიშხალას" პირველი თამაში ცხრაბურთიანი სხვაობით ჰქონდა მოგებული, რაც მის ამოცანას უფრო აადვილებდა და მიზნის ასრულება არ გასჭირვებია.

დღეს, 12 საათზე, სკა-ს დარბაზში ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩია - „თბილისი" „შევარდენს" უმასპინძლებს და დიდი ბრძოლაცაა მოსალოდნელი. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ „თბილისს" უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს - წინა მატჩში დამარცხდა და დღეს მხოლოდ 6-ბურთიანი ჩამორჩენა უნდა გააბათილოს.

## ძიუდო



პრესკონფერენციაზე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

# მსაჯობა?! მე მხოლოდ ტატამისა და ტაბლოს საკითხზე ჩამოვედი!

ხუთშაბათს თბილისს ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი** ეწვია ევროპის 2009 წლის პირველობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების გასაცნობად. ეგზომ მაღალი რანგის სტუმარი როგორღაც ჩუმად და მოულოდნელად ჩამოვიდა, თითქოს არ სურდა ამ ვიზიტის გახმაურება. შესაძლოა, ასე შარშანდელი ინციდენტის გამოც მოიქცა, როცა რუსეთის ფედერაციის დაჟინებული მოთხოვნითა და ზეწოლით ევროპის საკლუბო თასის ფინალი თბილისიდან ბუდაპეშტში გადაიტანა. მაშინ ვიზერიც და მისი ორგანიზაციაც უპრინციპოდ მოიქცა. ჩანს, ვიზერს სინდისი იმდენად ქენჯნის, რომ გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში საუბარი ამით დაიწყო. იგი მაშინდელ ვითარებაში ჩვენს გარკვევას შეეცადა და გამოთქვა იმედი, რომ ის ფაქტი ორი მხარის - ქართული და ევროპული ძიუდოს ფედერაციების ურთიერთობაზე გავლენას არ მოახდენს!

საერთოდ, ვიზერმა ტიპური ჩინოვნიკის შთაბეჭდილება დატოვა. მაგალითად, როცა მსაჯობის პრობლემის დახვეწაზე დავეკითხეთ, ლამის იყო, არბიტრებისადმი ყველა ჩვენი პრეტენზია... საქართველოს ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელს** დააბრალა! ის დიდი მოჭიდავე იყო და ასევე ჩინებული მწვრთნელია, მაგრამ ხშირად აბრალებს მსაჯებს მიკერძოებასო, უცერემონიოდ განგვიცხადა. იქნებ ხაბარელი მსაჯებს მართლაც ხშირად აბრალებს წაგებას, მაგრამ პირდაპირ რეპორტაჟებს ჩვენც ვუყურებთ და არაქართველთა შეხვედრებში ისეთი მსაჯობა გვიხილავს... ამასთან, იტალიაში, ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე, სწორედ ძიუდოში პირადად მინახავს, მსაჯთა ერთ ჯგუფს როგორ უწოდებდნენ მესაფლავეს - თუ ვინმეს „გაფუჭება" უნდოდათ, მათ უშვებდნენ ტატამზე.

ვიზერს ულაპარაკოდ მხოლოდ იმაში დავეთანხმებით, რომ მსაჯიც ადამიანია და შეიძლება ისიც შეცდეს, მაგრამ ხომ შეიძლება ისეთი მექანიზმის შემუშავებაც, რომ მისი შეცდომის გამო ღირსეული არ დაიჩაგროს? ამასთან, სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, თითქოს ძიუდო იმდენად „სუფთაა", რომ აქ ჩაწყობები არ ხდება. არადა, ვიზერი სწორედ ასე შეეცადა საქმის წარმოჩენას და არბიტრთა შეცდომები ან ადამიანური სისუსტით ახსნა, ან - ესპანელი ბარკოსის ფაქტორით. **ხუან კარლოს ბარკოსი** საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარეა და ევროპელები ხშირად აბრალებდნენ აზიელებისადმი მიკერძოებას. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ფედერაციაში აზიელთა როლი დიდია - პრეზიდენტი სამხრეთკორეელია, იაპონელთა ფაქტორი კი თავისთავადაა განსაზღვრული. ჰოდა, ევროპელები ჩიოდნენ, სკამის შესანარჩუნებლად ბარკოსი მათ დაკვეთას ასრულებს და ქვეშევრდომთა მეშვეობით აზიელებს ლობირებსო. მაგრამ თუ ვიზერს დავუჯერებთ, მას მოუნანიებია ცოდვები და ძიუდოს ევროპულ ოჯახს დაბრუნებია.

რაც შეეხება მისი სტუმრობის კონკრეტულ მიზანს - ევროპის პირველობისთვის მზადებას, ვიზერმა გამოთქვა იმედი, რომ ეგზომ პრესტიჟულ ტურნირს საქართველო ღირსეულად უმასპინძლებს, ევროპული კავშირის მხრიდან კი ყოველგვარი დახმარება ალგვითქვა, მათ შორის, მატერიალურ-ტექნიკური. როგორც გავიგეთ, ლაპარაკია ახალი ტატამების და ტაბლოების შემოტანაზე.

**ირაკლი თავაძე**

## სუმო



კოკაის საქმე სასაცილოდ სულაც არ აქვს

# ერთი წაგების უფლებაც დარჩა

ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს, ქართველმა პროფესიონალმა სუმოისტმა ტურნირი 0-6 ბალანსით დაიწყო. აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა კოკაის ბაშოს "გადასარჩენად" 9 დღე რჩება, მას მხოლოდ ერთი წაგების უფლებაღა დარჩა. გუშინ კოკაი ბულგარელ ოძეკის **კოტოოშუს** შეხვდა და აღმოსავლეთევროპულ ჯახში მეშვიდე მარცხი იწვნია. კოტოოშუმ იორიტაოშის ილეთით იმარჯვა და 5-1 ბალანსით ლიდერებს კვალში ჩაუდგა. არადა ტაჩიაი (დაჯახება) კოკაის უკეთესი გამოუვიდა, ქართველმა სამი დარტყმით დოჰიოს კიდეზე მიიმწყვდია ორმეტრიანი ბულგარელი, მაგრამ კოტოოშუმ დროულად იგდო ხელთ მეტოქის მავაში და ისეთი ძალით მიაწვა კოკაის, რომ ჩვენებურმა ზღართანი მაყურებელთა შორის მოადინა.

ბაშოს დაუმარცხებლად ისევ შვიდი რიკიში ლიდერობს, იოკოძუნა **ასაშორიუ**, ოძეკები **ჰაკუჰო, ჩიოტაიკაი და კაიო**, აგრეთვე სამი დაბალი რანგის მაეგაშირა, თუმცა სამივე გამობრძმედილი მებრძოლია. დღეს კოკაის მეტოქე 23 წლის კომუსუბი **კოტოშოგიკუა**, რომელსაც ქართველი ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ დამარცხდა. გუშინ მაკუშიტას დივიზიონში ბაშოზე პირველი გამარჯვება იზეიმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, მან **აოგიფუჯის** აჯობა. გაგამარუს 1-2 ბალანსი აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ნაცუ ბაშო

**მაისის სუპერტურნირი**
**13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)**

VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კოტოოშუ 0:1, ასაშორიუ-კაკიძოე 1:0, კაიო-ტამანოშიმა 1:0, ჩიოტაიკაი-ამინიშიკი 1:0, ჰაკუჰო-ამა 1:0, კოტომიცუკი-ჰომაშო 1:0, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა 1:0, ტოკიტენკუ-ტოჩიოძანი 1:0, კისენოსატო-ტაკეკაძე 1:0, ასასეკირიუ-კაკურიუ 1:0, როჰო-კასუგაო 1:0, მიაბიამა-ტოკიცუუმი 1:0, დეჯიმა-ვაკანოსატო 1:0, ტაკამისაკარი-ოცუკასა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 6-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), კაიო (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ჰაკუჰო (ოძეკი), ასასეკირიუ (მაეგაშირა 8), დეჯიმა (მ 10), ფუტენო (მ 13). 5-1: კოტოოშუ (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), რიუო (მ 14), ჰოკუტორიკი (მ 16);.. 0-6: კოკაი (მ 2).

VII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-კოტოშოგიკუ, ასაშორიუ-ტამანოშიმა, კაიო-ჰომაშო, ჩიოტაიკაი-ტოიონოშიმა, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ, კოტოოშუ-კისენოსატო, კოტომიცუკი-ამა, კაკიძოე-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-კაკურიუ, ასასეკირიუ-ტოჩინონადა, როჰო-ფუტენო, დეჯიმა-ჰოჩიამა.

## ჩოგბურთი

# უკვე ნახევარფინალში

საქართველოს 16 წლის ჩემპიონი და ეროვნული ნაკრების მეორე ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** ბრწყინვალედ ასპარეზობს 18-წლამდელთა საერთაშორისო ასპარეზზე. ოქსანა იტალიაშია, სადაც პირველი კატეგორიის ტურნირ ჩიტა დი სანტა გროსეში მონაწილეობს. კალაშნიკოვა ახალგაზრდებში მსოფლიოს 37-ე ჩოგანია (დიდებში 767-ე), წლეულს ის ამ ასპარეზზე მხოლოდ მეორე ტურნირში მონაწილეობს. მარტში ოქსანა კალაშნიკოვა ლუქსემბურგის ღია პირველობის ფინალში გავიდა, ახლა იტალიაში კი უკვე ნახევარფინალშია. ჩიტა დი სანტა გროსეს ტურნირი წლეულს 29-ედ იმართება, ქართველი გოგონა იქ მეექვსე ნომრად არის განთესილი.

ჩიტა დი სანტა გროსეს მეოთხედფინალში ოქსანას მეტოქე იტალიელი ალესანდრა დი ბატე იყო (მე-13 ნომერი). ჩვენებურმა მას საკმაოდ იოლად მოუგო ორ სეტში - 6:2, 6:2. ახლა ნახევარფინალში კალაშნიკოვა სერბ **ბოჟანა იოვანოვსკის** (მე-12 ნომერი) შეხვდება, რომელიც მასზე ერთი წლით უმცროსია. წყვილთა თანრიგში ჩვენებური რუმინელ **ირინა ბეგუსთან** ერთად მეორე ნომრად განთესეს, ქართულ-რუმინული წყვილი ტურნირის მეოთხედფინალშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თარიღი

**გურამ ბიგანიშვილი.** დაიბადა 19.05.1950, თბილისი. აფროსნობა, "ვარსკვლავის" კლასი. ევროპის ჩემპიონი (1984), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1982, 84), სსრკ თასს ორგზის მფლობელი (1983, 86). 1992 წლის ბარსელონის (XIII ადგილი) და 1996 წლის ატლანტის (XVI ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. სსრკ სპორტის დასახურებული ოსტატი. საქართველოს აფროსნობის ფედერაციის პრეზიდენტი 1999 წლიდან.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მძლეოსანი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

**ზაურ ფოცხვერაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ჩიკაგო ფლეი ოფს დაემშვიდობა

NBA. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

# დეტროიტში სპურსს ელიან

კარგი გუნდია "ბულზი" და არ გადავამეტებთ, თუ **სკოტ სქაილზის** რაზმს მომდევნო სეზონში ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებში შევიყვანთ, თუმცა "პისტონზისგან" განსხვავებით, ამ გუნდს მკვლელის ინსტინქტი აკლია და საფლეიოფო გამოცდილების მხრივაც "დეტროიტი" "ჩიკაგოს" ვეება ფორას მისცემს.

პირველ მეოთხედში სტუმრებს ყველაფერი გამოსდიოდათ, "ბულზი" კი ნაჩქარევი ტყორცნებით თავად აძლევდა **ჩონსი ბილაპსსა** და მის თანაგუნდელებს ჰანდიკაპის გაზრდის შანსს. **ფლიპ სონდერსი** ამჯერადაც ხშირად მიმართავდა როტაციას და სტუმრებმა, ჯერ კიდევ პირველ მეოთხედში მოედანზე ერთბაშად სამი რეზერვისტი შეუშვეს, რომელთაგან ყველაზე მეტად თავი ბებერმა **ანტონიო მაკდაიესმა** (2 ქულა, 5 მოხსნა) გამოიჩინა.

"პისტონზმა" პირველ მეოთხედში 22-დან 13 სროლა გამოიყენა, მაგრამ მეორე 12-წუთეულში, **კირკ ჰაინრიხის** სამაგალითო ფლეიმეიქერობითა და **ლუოლ დენგის** აქტიურობით, მასპინძლებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, მერე კი წინ გავიდნენ.

"ჩიკაგომ" პირველ ნახევარში ძალიან კარგად შეასრულა საჯარიმოები (14-ში 14), მაგრამ მერე და მერე, "ბულზმა" ეს კოზირიც დაკარგა და მომდევნო 21 იდენტური ტყორცნიდან ზუსტად მხოლოდ 10-ჯერ ისროლა.

*"დეტროიტი" არ ჩქარობდა, ჩვენ კი ენერგია ვერ გადავანაწილეთ და მეორე ნახევარში "პისტონზის" შეტევის წინააღმდეგ ვერაფერი გავაწყვეთ. "დეტროიტმა" ღირსეული გამარჯვება მოიპოვა"*, - იტყვის ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **ბენ გორდონი**, რომელმაც 9-დან 4 სამქულიანი გამოიყენა.

პირველ ნახევარში მასპინძელთა შორის, მოულოდნელად აქტიური და შედეგიანი ბებერი **პი. ჯეი. ბრაუნი** გახლდათ, რომელმაც საბოლოოდ, 20 ქულით მიმდინარე სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა. სხვათა შორის, ამ ასაკოვანი ფორვარდის წინა საამსეზონო რეკორდი 19 ქულა იყო და ეს შედეგიც "დეტროიტთან" მატჩში, 25 თებერვალს დაამყარა, მერე კი ამდენივე ქულა გასვლაზე "გოლდენ სტეიტთანაც" მოიმკო.

ვერა და ვერ შევიდა იდეალურ სათამაშო ტონუსში **ბენ უოლასი**, რომელმაც წინა მატჩის დარად, ვერც ამჯერად მოახერხა 10 და მეტი მოხსნისა და თუნდაც 2 დაფარების გაკეთება, რაც წინა წლებში, ანუ "დეტროიტში" თამაშისას, მისთვის ლამის ყოველდღიურ ნორმად ითვლებოდა.

"დიდმა ბენმა" ფარქვეშ ბრძოლაში, მოგვარე **რაშიდთან** სრული ფიასკო განიცადა და სქაილზის მიერ ნამატჩევს გაკეთებული კომენტარი - ბენი მომავალში დიდ სამსახურს გაგვიწევსო, ვეტერანისთვის ბევრი ვერაფერი შვება იყო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "ბულზი" აღმოსავლეთის ფინალში ზედიზედ მეხუთედ გავიდა, სადაც სონდერსსა და კომპანიას "კლივლენდისა" და "ნიუ ჯერსის" სერიაში საუკეთესოს წინააღმდეგ თამაში მოუწევს. შეგახსენებთ, რომ იმ სერიაში ანგარიშია 3:2 **ლებრონ ჯეიმსის** "კავალიერსის" სასარგებლოდ, სერიის მეექვსე თამაში კი, გამთენიისას ისტ რუზერფორდში უნდა გამართულიყო.

სკოტ სქაილზი: *"თუ მატჩის დასაწყისში ჩემი ბიჭების ინდივიდუალიზმი გვშველოდა და მეტოქეს პრობლემებიც კი შევუქმენით, დიდი შესვენების შემდეგ, მოთამაშეები საკუთარ თავზე უკვე ზედმეტს ილებდნენ და იოლად პროგნოზირებადებიც იყვნენ. რა თქმა უნდა, დღევანდელი წაგება არა კალათბურთელების, არამედ ჩემი ბრალია, რადგან მოთამაშე აკეთებს იმას, რასაც მწვრთნელი ავალებს. გაისად უკეთესი გუნდი გვეყოლება. ანდრეს ნოჩიონი? იგი და ბენ გორდონი თავისუფალი აგენტები გახდებიან და ჩვენი მთავარი მიზანი, სწორედ ამ ორი მოთამაშის შენარჩუნება იქნება. ბენ უოლასზე ცუდს ნუ დაწერთ. ახალ გუნდში პირველი სეზონი მისთვის არათანაბარი გამოდგა, მაგრამ სწორედ ბენმა ითამაშა უდიდესი როლი პირველ წრეში ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონის, "მაიამი ჰიტის" დამარცხებაში".*

რაშიდ უოლასი: *"მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გავა ფინალში დასავლეთიდან. ნუ გგონიათ, თითქოს "პისტონზის" მთელი ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ "სპურსთან" სერიისთვის იბრძოდა. არა, ეს არ იქნება გადამწყვეტი, თუმცა არ დაგიმალავთ და "სან ანტონიოსთან" შეჯახებას სულ სხვა ეფექტი ექნება. ალბათ, ასეც მოხდება და ფინალში ჩვენ და "სპურსი" ვითამაშებთ".*

**ზურაბ თალაკვაძე**

**აღმოსავლეთი**

**ჩიკაგო (5)-დეტროიტი (1) 85:95**

23:28, 25:15, 21:31, 16:21

**ჩიკაგო:** პი. ჯეი. ბრაუნი (20 ქ), გორდონი (19 ქ. 3 ჩ), დენგი (17 ქ. 4 პ), ჰაინრიხი (11 ქ. 11 პ), ნოჩიონი (10 ქ. 6 მ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (23 ქ), ბილაპსი (21 ქ. 7 პ. 2 ჩ), პრინსი (17 ქ. 9 მ), რ. უოლასი (16 ქ. 13 მ. 4 პ. 2 დ), მაკდაიესი (5 ქ. 10 მ).

**სერია 4:2**



ჯირო დ'იტალია

# ლიდერი შეიცვალა

ჯიროს მეექვსე ეტაპი კოლუმბიელი **ლუის ფელიპე ლავერდე ხიმენესის** გამარჯვებით დასრულდა, რბოლის ლიდერის ვარდისფერ მაისურას კი ახალი პატრონი გამოუჩნდა - ის იტალიელმა **მარკო პინოტიმ** მოიგო, ვინც გუშინდელი ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა.

საშუალო სირთულის ეტაპზე, რომელიც რომის მახლობლად, ქალაქ ტივოლიში დაიწყო და ქალაქ სპოლეტოში დასრულდა, რომელიც მსოფლიო ოპერის ფესტივალითაა ცნობილი, ლავერდემ და პინოტიმ, სხვა სამ ველომრბოლთან ერთად, მარშრუტის შუაში მდებარე პირველი კატეგორიის მთა მონტე ტერმინილოზე დაიწყეს შეტევა. მერე კი, ბოლო, მეორე კატეგორიის მთაზე, კოლუმბიურ-იტალიურმა დუეტმა დანარჩენი სამიც ჩამოიტოვა. ამ დროს პელოტონი შვიდი წუთის სავალზე იყო.

ფინიშთან პინოტი და ლავერდე ერთად მივიდნენ და თითქოს, სპრინტში უნდა გაერკვიათ მოგებულის ვინაობა, მაგრამ იტალიელმა თავის გამოდება აღარ ისურვა. მან ლავერდეს ანიშნა, გამარჯვება შენიაო და თავად იმითაც დაკმაყოფილდა, რომ საერთო კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. რაც მთავარია, ის ახლა სამწუთნახევარს უგებს მეორეზე მყოფ შვეიცარიელ **ჰუბერტ შვაბს**, რომელმაც გუშინდელი ეტაპი მეოთხე ადგილზე დაასრულა.

ლავერდემ, ვისაც ჯიროს ერთი ეტაპი შარშანაც აქვს მოგებული, ყველა საშუალედო სამთო ფინიში მოიგო და სამთო კლასიფიკაციაში ლიდერის პოზიცია დაიკავა.

რაც შეეხება **დანილო დი ლუკას**, ვინც ამ ეტაპამდე იყო ლიდერი, მან სტარტამდე ივარაუდა, რომ ფინიშთან პირველები ისინი მიაღწევდნენ, ვინც შუა რბოლაში დაწინაურდებოდა. არც შემცდარა. ლიდერობის დაკარგვით კი არც დამწუხრებულა - ჩემთვის მთავარია, ვარდისფერი მაისურით მილანში შევიდეო.

*"სულაც არ მაინტერესებს, ვის ეცმევა ის მილანამდე. არ ვაპირებ ჩემი და ჩემი თანაგუნდელების ენერგიის უაზროდ ფლანგვას. როცა ლიდერის მაისურა ნაკლებად ფასობს, მისთვის ბრძოლა არც ღირს. პირიქით, მერჩივნა, ეს ტვირთი ვინმესთვის გადამებარებინა და მოხარული ვარ, რომ ასეც მოხდა"*, - განაცხადა დი ლუკამ, ვინც ახლა საერთო კლასიფიკაციაში მესამეა.

დღევანდელი მეშვიდე ეტაპი ყველაზე გრძელია მიმდინარე ჯიროზე. მისი სიგრძე 254 კილომეტრია. ველომრბოლებს მხოლოდ ერთი იოლი, მესამე კატეგორიის აღმართის გავლა მოუწევთ, რომელიც მათ გზის მეორე ნახევარში, ფინიშამდე 55 კილომეტრით ადრე ელით. რბოლის ფინიში კი ცნობილი მუჯეროს ავტოდრომის ფინიშზეა. ამ ავტოდრომზე მოტო გრანპრის მსოფლიო ჩემპიონატების ეტაპები ტარდება ხოლმე და აქვე ხშირად ამზადებს ხოლმე თავის სარბოლო ტექნიკას ფორმულა ერთის ლეგენდა, იტალიური საჯინიბო "ფერარი".

უკანასკნელად მუჯეროს ავტოდრომზე ჯიროს ეტაპის ფინიში 30 წლის წინ დამთავრდა და მაშინ გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონმა, ბელგიელმა **ფრედი მერტენსმა** მოიპოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-6 ეტაპი. ტივოლიდან სპოლეტომდე (177 კმ)

1. ლუის ფელიპე ლავერდე ხიმენესი (კოლუმბია, კერამიკა პანარია) 4:58.23 (35.99 კმ/სთ); 2. მარკო პინოტი (იტალია, T-მობილი) იგივე დროში; 3. კრისტოფ კერნი (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) 1.30; 4. ჰუბერტ შვაბი (შვეიცარია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 1.34; 5. დანიელე კონტრინი (იტალია, ტინკოფი) 3.45; 6. ფორტუნატო ბალიანი (იტალია, კერამიკა პანარია) 6.55; 7. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) 7.09; 8. ალიაკსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი) 7.09; 9. ჯუზეპე პალუმბო (იტალია, აკვა ე საპონე) 7.09; 10. იური კრივცოვი (უკრაინა, AG2r პრევოიანსი) 7.09...

კლასიფიკაცია 6 ეტაპის შემდეგ

1. მარკო პინოტი (იტალია, T-მობილი) 23:44.32; 2. ჰუბერტ შვაბი (შვეიცარია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 3.30; 3. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 4.12; 4. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 4.38; 5. ანდრეა ნოე (იტალია, ლიკიგაზი) 4.47; 6. ვინჩენცო გიბალი (იტალია, ლიკიგაზი) 4.47; 7. ლუის ფელიპე ლავერდე ხიმენესი (კოლუმბია, კერამიკა პანარია) 4.49; 8. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 5.05; 9. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 5.06; 10. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) 5.15...



მარკო პინოტი ლიდერობას ზეიმობს



NHL. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ყველაფერი თავიდან იწყება

**დასავლეთი**

**ანაჰაიმი (2)-დეტროიტი (1) 5:3**

3:1, 0:2, 2:0

გოლები: 1:0 პერი-3, 1:1 კლირი-3 (ჩელიოსი-5), 2:1 ჯეკმენი-1 (გეტცლაფი-7, სელიანე-4), 3:1 სელიანე-4 (მარჩანტი-1, ბოშემენი-2), 3:2 ბერტუცი-3 (ლანგი-6, კლირი-7), 3:3 კლირი-4 (ბერტუცი-4, სამუელსონი-5), 4:3 გეტცლაფი-4 (სელიანე-5, ბოშემენი-3), 5:3 რ. ნიდერმაიერი-3 (მოენი-4, ს. ნიდერმაიერი-6).

**სერია 2:2**

ამ მატჩის წინ, "ანაჰაიმი" რთულ სიტუაციაში იყო ჩავარდნილი. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა გუნდის საუკეთესო მცველსა და ფლეი ოფში საუკეთესო მექულეს - **კრის პრონგერს**, მაგრამ სწორედ ამაზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო. პრონგერის ნაცვლად გუშინ **რიკ ჯეკმენი** თამაშობდა, რომელსაც ამ ფლეი ოფში დებიუტი ჰქონდა. მისი პირველივე დარტყმა გოლით დასრულდა, რის შემდეგაც მასპინძლები წინ გავიდნენ.

ჯეკმენის გოლს **ტეემუ სელიანემაც** ერთი ზუსტი დარტყმა მიაყოლა და პირველი პერიოდი "დაქსმა" 3:1 მოიგო. "დეტროიტის" კარის დარაჯმა **დომინიკ ჰაშეკმა** 1999 წლის შემდეგ, სტენლის თასზე პირველად გაუშვა ერთ პერიოდში სამი შაიბა.

სელიანე მატჩის მთავარი გმირი აღმოჩნდა, რომელმაც გოლი და ორი შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ფინელისთვის ამ ქულებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან რეგულარულში კლუბის საუკეთესო ბომბარდირს, ხუთი მატჩია გოლი არ გაეტანა და შვიდი მატჩი ვერ ახერხებდა საგოლე პასის შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ ამ სამ გოლს "იხვებმა" რვა დარტყმა მოანდომეს. დარტყმების რაოდენობით "დეტროიტმა" აშკარად აჯობა მეტოქეს (39:27), მაგრამ ამ უპირატესობამ მხოლოდ მეორე პერიოდში მოიტანა შედეგი, როცა "რედ უინგზმა" ორი უპასუხო შაიბა გაიტანა და ბოლო 20-წუთეულის წინ, ანგარიში 3:3 გახადა.

მასპინძლებს კრიტიკული მომენტი მესამე პერიოდის სტარტზე დაუდგათ, როცა "დეტროიტს" წუთნახევრის განმავლობაში ორი კაცით მეტი ჰყავდა ყინულზე, მაგრამ სტუმრებმა ეს შანსი ვერ გამოიყენეს და მაშინვე დაისაჯნენ. **რაიან გეტცლაფმა** შორი მანძილიდან აილო ჰაშეკის კარი და "ანაჰაიმმაც" საბოლოო უპირატესობა მოიპოვა. რამდენიც არ ეცადა "დეტროიტი" ანგარიშის გათანაბრებას, **ჟან-სებასტიან ჟიგერს** ვერაფერი მოუხერხა. "ანაჰაიმის" კარის დარაჯმა ჯამში 36 დარტყმა მოიგერია.



სელიანეს გოლი ჰაშეკის კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატი შნიდერი

ტურნირების მიმოხილვა

# სერენა შინ გაუშვეს

რომში მიმდინარე, იტალიის ქალთა ღია პირველობაზე, მეოთხედფინალური ბარიერის გავლა ვერ შეძლო მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**.

რაც წინა თვეში (ჩარლსტონის ტურნირზე) წვივის ტრავმა მიიღო, სერენასთვის ეს პირველი ტურნირი იყო და ბუნებრივია, სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, ძალიან გაუჭირდა თამაში. მაგრამ მეოთხედფინალს მაინც მიაღწია, იქ კი შვეიცარიელ **პატი შნიდერთან** სამ სეტში წააგო.

*"ეს მოგება ჩემთვისაც დიდი მოულოდნელობაა. პირველ სეტში მან უამრავი შეცდომა დაუშვა. მეორეში კი მე ამერია ყველაფერი. ყველაზე დაძაბული მესამე სეტი გამოდგა. ვცდილობდი, ხშირად შემეცვალა ტაქტიკა, რათა მას ჩემი ქმედების გამოცნობის საშუალება არ ჰქონოდა, მაგრამ ხომ იცით, მას შესანიშნავი ალღო აქვს, ამის წყალობით კი ხშირად ახერხებდა ქულების აღებას. მოკლედ, ძალიან გამიმართლა, რომ ნახევარფინალში ვითამაშებ"*, - განაცხადა შნიდერმა, ვისაც ფინალის საგზურისთვის სერბ **ელენა იანკოვიჩთან** მოუწევს თამაში, რომელმაც ტურნირი რუს **ელენა დემენტიევას** დაატოვებინა.

წაგებას სერენა დიდად არ დაუმწუხრებია. ძნელი მატჩები კარგი პრაქტიკაა როლან გაროსის წინ და ახლა რომ წავაგე, ეს იმას ნიშნავს, რომ ტრავმის შესაძლებლობა კიდევ უფრო შემცირდებაო, - განაცხადა ამერიკელმა, ვინც ამ სეზონის პირველი სასლემო ტურნირი - ავსტრალიის ღია მოიგო.

აღსანიშნავია, რომ რომში შეხვედრამდე, შნიდერს სერენასთან წინა შვიდი შეხვედრიდან ექვსი წაგებული ჰქონდა, ერთადერთი გამარჯვება კი თიხაზე, ჩარლსტონის 2002 წლის ტურნირზე მოიპოვა.

პირველ სეტში სერენამ უამრავი შეცდომა დაუშვა. მის მიერ დარტყმული ბურთი ან ბადეს ხვდებოდა, ან პერიმეტრს მიღმა ვარდებოდა. შედეგად, ამერიკელმა თავის მოწოდებაზე მეოთხე და მეექვსე გეიმები დათმო და სეტიც 28 წუთში წააგო.

მეორე სეტის დასაწყისშიც სერენამ ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და სეტი შნიდერის მიერ მოპოვებული ბრეიკით გაიხსნა, რასაც თავის სერვისზე კიდევ ერთი ქულა დაურთო - 2:0. აქ ამერიკელი გამოცოცხლდა, შნიდერმა კი შეცდომებს უხშირა. შედეგად, მომდევნო ექვსი გეიმი და სეტიც სერენას გამარჯვებით დასრულდა.

გადამწყვეტი სეტის პირველივე გეიმში, შვეიცარიელმა ბრეიკის მოპოვება შეძლო. მან მეხუთე გეიმშიც მოახერხა მეტოქის მოწოდების მოგება, მაგრამ ამერიკელმა ორივე ბრეიკის გაქვითვა შეძლო და სეტიც ტაიბრეიკზე გადავიდა.

აქ თავიდან უილიამსმა კვლავ შეცდომები დაუშვა და მეტოქეს დაწინაურების საშუალება მისცა, თუმცა მალევე გაათანაბრა ანგარიში - 5:5. აქ უკვე შეცდომების დაშვება წაგების ტოლფასი იყო. მაგრამ სერენამ ისინი დაუშვა და ეს ძვირად დაუჯდა. მომდევნო გათამაშებაზე, სერენას მიერ წალმა დარტყმული ბურთი ბადეს მოხვდა, რითაც შნიდერმა მატჩ პოინტი მიიღო, რომელიც მან პირველივე ცდაზე, მარჯვედ შესრულებული დიაგონალური დარტყმით, გამარჯვების ქულად აქცია.

იანკოვიჩს არ გასჭირვებია დემენტიევას ძლევა. სერბმა ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დათმო. ნამატჩევს კი განაცხადა, თავიდან ცოტა ვნერვიულობდი, რამაც ჩემს თამაშზე იმოქმედა, მაგრამ შემდეგ თამაში დავალაგე და საქმეც კარგად წამივიდაო.

უნდა ითქვას, რომ სათიხნარო სეზონში იანკოვიჩს, ჯერჯერობით, WTA-ს ტურზე ბადალი არ ჰყავს. მან მოიგო ჩარლსტონის ტურნირი, ვარშავაში ნახევარფინალში ითამაშა, ამელია აილენდსა და გერმანიის ღიაზე კი მეოთხედფინალს მიაღწია

ჰამბურგში მიმდინარე მასტერსის სერიის ტურნირზე კი ნახევარფინალის პირველ საგზურს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** დაეუფლა, რომელმაც სამ სეტში აჯობა ესპანელ **დავიდ ფერერს**.

ფედერერმა თამაში ბრწყინვალედ დაიწყო და პირველი სეტის მოგების შემდეგ, მეორეშიც 4:2 დაწინაურდა. მერე კი ერთბაშად მოწოდებაც გაუფუჭდა და შეცდომებსაც უხშირა. ჰოდა, ესპანელმაც სეტის გაქვითვა შეძლო, თუმცა თამაშის მოგების საშუალება მეტოქემ აღარ მისცა, რაშიც მას იღბალი დაეხმარა. მესამეში ანგარიში 3:3 და 30:30 იყო, როცა შვეიცარიელის მიერ დარტყმული ბურთი ბადეს მოხვდა და ესპანელის მხარეს ჩავარდა. ამ ქულამ ფედერერის სახეზე ღიმილი დააბრუნა, ფერერმა კი ჩოგანი კორტს დაახეთქა. შვეიცარიელმა ბრეიკ პოინტი პირველივე ცდაზე გამოიყენა, შემდეგ თავისი სერვის-გეიმი მოიგო და კიდევ ერთხელ გატეხა ფერერი მისსავე მოწოდებაზე, რითაც შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა. მისი მომდევნო მეტოქე კი ესპანელი **კარლოს მოიაა**, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში აჯობა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ATP

### ჰამბურგის მასტერსი

ჰამბურგი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 2 085 500 ევრო**

#### მესამე წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 4)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 7:5 4:6 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5)**-იურგენ მელცერი (ავსტ) 3:6 6:3 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 16)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 3) 6:4 2:6 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 15) 6:2 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:2 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:4 6:1

#### 1/4 ფინალი

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-დავიდ ფერერი (ესპ, 12) 6:3, 4:6, 6:3; **კარლოს მოია (ესპ)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 4) 7:6(4), 4:6, 7:5; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5) 6:4, 6:4.

## WTA

### იტალიის ღია

რომი (იტალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი**

#### მესამე წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 7:6(4), 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ნატალი ვიერინი (იტა) 6:1, 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-შაჰარ პეერი (ისრ, 11) 6:3, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 6)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:2, 6:3; **პატი შნიდერი (შვეი, 14)**-სამანტა სტოშური (ავსტრ) 6:4, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-ალონა ბონდარენკო (უკრ) 6:4, 7:5

#### 1/4 ფინალი

**ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-ელენა დემენტიევა (რუს, 10) 6:2, 6:1; **პატი შნიდერი (შვეი, 14)**-სერენა უილიამსი (აშშ, 8) 6:3, 2:6, 7:6(5); **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**- დინარა საფინა (რუს, 6) 6:1, 6:3

# TV სპორტი

## 19 მაისი. შაბათი

### იმედი

**16:30** კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

### I არხი

**15:50** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. ავიამშენი-აზოტი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სარაგოსა.
**14:10** საფეხბურთო კლუბი.
**14:55** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**15:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**15:40** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.
**17:25** გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-კოტბუსი (LIVE).
**19:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:45** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-არმინია.
**21:35** პირდაპირი ხაზი.
**22:40** საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-მარსელი (LIVE).
**21:25** საფეხბურთო კლუბი.
**00:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-ნიცა.

### SPORT 1 (უკრაინა)

**09:00** სპორტინფორმი.
**09:10** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
**10:04** სპორტინფორმი.
**10:16** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. დეფენსორი (ურუგვაი)-გრემიო (ბრაზილია).
**12:00** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩიკაგო-დალასი.
**13:44** სპორტდოსიე.
**14:10** სპორტის სამყარო.
**15:11** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**15:11** ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**17:30** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**18:00** ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
**20:05** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**20:36** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:07** კრივი. ნოკაუტების ჟამი.
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ვალენსია (LIVE).
**23:54** ფეხბურთი. Barca-TV. ხორკერა.
**00:43** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**01:10** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო პარანაენსე-ინტერნასიონალი (LIVE).
**03:10** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ჩიკაგო-დალასი.
**04:54** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. დეფენსორი (ურუგვაი)-გრემიო (ბრაზილია).

### EUROSPORT

**10:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
**11:00** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**11:30** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. პრაქტიკა. ლე მანი.
**13:15** ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. სევილია-ესპანიოლი. გლაზგო. შოტლანდია.
**14:15** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ვალენსია. ესპანეთი.
**15:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. კვალიფიკაცია. ლე მანი (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VII ეტაპი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**21:30** მულტისპორტი.
**22:00** პოკერი. ევროპის ტური. დუბლინი. ირლანდია.
**00:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
**02:30** სნუკერი.

### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** მულტისპორტი.
**12:30** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**13:00** მულტისპორტი.
**13:30** ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. იროკოისი-შოტლანდია. ჰალიფაქსი. კანადა.
**14:15** ახალი ამბები.
**14:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. სევილია-ესპანიოლი. გლაზგო. შოტლანდია.
**15:30** ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**16:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**17:30** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი. ვალენსია. ესპანეთი.
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**19:30** ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი.
**21:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსია. ესპანეთი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:30** ცეკვა. ჰიპ-ჰოპი. მონპელიე. საფრანგეთი (LIVE).
**00:00** ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა (LIVE).
**02:00** ახალი ამბები.

## 20 მაისი. კვირა

### I არხი

**17:10** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ამერი-ვიტ ჯორჯია (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა (LIVE).

### რუსთავი 2

**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**10:15** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბორუსია (დ).
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:25** არგენტინის ჩემპიონატი. ნიუელსი-სან ლორენსო.
**14:25** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ალკმაარი-აიაქსი. I მატჩი (LIVE).
**16:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:55** იტალიის ჩემპიონატი. ემპოლი-რეჯინა (LIVE).
**18:55** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-პარმა.
**20:35** იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-რომა.
**22:15** პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ავეში (LIVE).
**00:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:25** არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ვალენსია.
**08:50** ფეხბურთი. Barca-TV. ხორკერა.
**09:42** ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**11:37** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**12:07** სპორტის სახეები.
**13:08** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო პარანაენსე-ინტერნასიონალი.
**14:55** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-კოტბუსი.
**16:42** მინი-ფეხბურთი.
**17:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სევილია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-რეალი (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**02:39** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო პარანაენსე-ინტერნასიონალი.
**04:22** სპორტდოსიე.
**04:49** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სევილია.
**06:33** აფროსნობა. ამერიკის თასი.

### EUROSPORT

**10:30** მულტისპორტი.
**11:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
**11:30** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**11:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. ლე მანი (LIVE).
**12:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. 125 cc. ლე მანი (LIVE).
**14:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. 250 cc. ლე მანი (LIVE).
**15:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. მოტოგრანპრი. ლე მანი (LIVE).
**17:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ვალენსია. ესპანეთი.
**17:30** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**18:15** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VIII ეტაპი (LIVE).
**19:30** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ინგლისი.
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. რომი. იტალია.
**22:30** პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. ს. ბუაიტა (საფრანგეთი)-მ. მალონი (ესპანეთი). საფრანგეთი.
**00:00** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**00:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
**01:00** პრო-რესტლინგი.
**02:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.

### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**13:00** ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსია. ესპანეთი.
**15:30** მულტისპორტი.
**16:00** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ვალენსია, ესპანეთი (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VIII ეტაპი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**19:30** ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:15** ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. II მატჩი. სლაგელსე (დანია)-ლადა (რუსეთი) (LIVE).
**23:00** ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა.
**00:30** ავსტრალიური ფეხბურთი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი.
**03:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| ინგლისი | |
|---|---|
| **I ლიგა. ფლეი ოფი** | |
| ნოტინგემი-იეოვილი | 1:3, დ.დ. 2:5 |
| **II ლიგა. ფლეი ოფი** | |
| მილტონი-შრიუსბერი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| მიუნხენი II-ვეენი | 2:2 |
| ელვერსბერგი-როიტლინგენი | 3:1 |
| ჰოფენჰაიმი-პირმასენსი | 2:1 |
| კაიზერი II-პფულენდორფი | 0:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-მონპელიე | 0:2 |
| შატორუ-გინგამი | 1:0 |
| კრეტეი-ამიენი | 0:2 |
| გრენობლი-დიჟონი | 2:1 |
| გენიონი-ბასტია | 4:2 |
| ისტრი-კაენი | 1:2 |
| ჰავრი-ნიორი | 2:2 |
| რეიმსი-ლიბურნი | 1:1 |
| სტრასბური-მეცი | 2:1 |
| ბური-ბრესტი | 1:2 |
| **ბელგია** | |
| ბევერსხოტი-რუზელარე | 3:0 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-სლიგო | 2:0 |
| კორკი-ბოჰემიანსი | 2:1 |
| გალვეი-დუბლინი | 0:0 |
| შემროკი-უოტერფორდი | 1:1 *(შეწყდა)* |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ლეობენი | 1:0 |
| ჰარტბერგი-ლინცერი | 0:4 |
| კაპფენბერგი-ადმირა | 1:3 |
| კერნტენი-ავსტრია A | 1:1 |
| პარნდორფი-ლუსტენაუ | 0:2 |
| შვანენშტადტი-გრატკორნი | 3:1 |
| **პოლონეთი** | |
| კორონა-ბელხატოვი | 5:3 |
| ლეხნა-ზაგლებე | 2:1 |
| **უნგრეთი** | |
| ზალაეგერსეგი-დებრეცენი | 0:1 |

## კალათბურთი

| ესპანეთი | |
|---|---|
| **ფლეი ოფი** | |
| ტაუგრესი-უნიკახა | 92:65 |
| ბარსელონა-ხირონა | 80:69 |
| ხუვენტუდი-გრან კანარია | 75:73 |

## ჩოგბურთი

| ATP. ჰამბურგი | |
|---|---|
| ფედერერი-ფერერი | 6:3, 4:6, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-მოია | 6:7, 6:4, 5:7 |
| ნადალი-გონსალესი | 6:4, 6:4 |
| ალმაგრო-ჰიუიტი | 3:6, 4:6 |
| **WTA. რომი** | |
| იანკოვიჩი-დემენტიევა | 6:2, 6:1 |
| ს. უილიამსი-შნიდერი | 3:6, 6:2, 6:7 |
| კუზნეცოვა-საფინა | 6:1, 6:3 |
| ჰანტუხოვა-მედინა გარიგესი | 7:6, 7:5 |
| **WTA. ფესი** | |
| კორნე-ვოზნიაკი | 3:6, 6:1, 5:7 |
| პინი-სეკერა | 6:7, 4:6 |
| კლოზელი-სალერნი | 2:6, 6:3, 4:6 |

# მსურველებს შეუძლიათ, გადაიხადონ

## ბავშვთა სპორტი დღევანდელ საქართველოში

დასასრული. იხ. ლელო N 110, 112, 114



როცა ძველს ანგრევ, ახალი მოფიქრებული უნდა გქონდეს. თვით კომუნისტებმაც კი, თავი რომ გადაერჩინათ, 20-იან წლებში ნეპი მოიფიქრეს, რომელსაც საფუძველში კაპიტალისტური საწყისი ჰქონდა. ჩვენში ძალიან უყვართ სხვადასხვა ქვეყნის მოდელებით ლაპარაკი, მაგრამ თბილისში უნიკალური შემთხვევა მოხდა, რასაც ცივილიზებული სამყაროს ვერც ერთ მოდელში ვერ უპოვით ანალოგს. სკოლები ჯერ, ფაქტობრივად, თავიდან მოიშორეს და მხოლოდ ახლა ფიქრობენ, მომავალში როგორი სახით იარსებონ მათ. თვით ცნობილი პიესაც - "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", არ გამოდის, რადგან დღეს კაციშვილმა არ იცის, როდის შედგება ეს "ქორწილი" და, საერთოდ, ბედნიერი თუ იქნება იგი.

აღნიშნული, ყველაზე რბილი ფორმით რომ შევაფასოთ, რადიკალური გადაწყვეტილება აბსოლუტურად ახალი დროების შესაბამისად მოხდა - ძალიან მოულოდნელად და, რასაკვირველია, ისე, რომ წინასწარ არავის ჰკითხეს რჩევა: არც სპორტულ ფედერაციებს, არავის... მერიის წიაღში შობილი იდეის შესახებ, როგორც ზემოთ იხილეთ, სცოდნია მხოლოდ სპორტის დეპარტამენტს, მაგრამ რამდენად გაითვალისწინეს მისი რეკომენდაციები, ესეც ნათლად ჩანს. ქალაქის სპორტული სკოლების თვითდაფინანსებაზე გადაყვანის იდეა, დღეს ეს აშკარაა, არ ეკუთვნის იმ ადამიანს, ვისაც მართლა უყვარს სპორტი და გული შესტკივა მასზე. ნუთუ ქალაქ თბილისის მთავრობაში ერთი ასეთი ადამიანიც არ აღმოჩნდა?!

ეს იქიდანაც კი ჩანს, როგორი ნაჩქარევი და მოუფიქრებელი ფორმით მოხდა ყველაფერი, იმდენად ნაჩქარევად და ზერელედ, რომ ბევრმა სპორტულმა სკოლამ მაშინ გაიგო მათ თავზე მერიიდან დამტყდარი "სიახლის" შესახებ, როცა უკვე ამ "სიახლის შვილები" იყვნენ, ანუ თვითდაფინანსებაზე გადასულნი.

თავად განსაჯეთ: 2007 წლის იანვრიდან ისინი თვითდაფინანსების რეჟიმში მუშაობენ (ან უნდა მუშაობდნენ), ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება სპორტული სკოლების ახალი რეორგანიზაციის შესახებ კი 2007 წლის 30 იანვრით არის დათარიღებული (№ 03.06.107). ამ დადგენილებით შეიქმნა თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების (კომპლექსური) მთავარი ცენტრი (დიღომში არსებული ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის ბაზაზე) და დანარჩენი სკოლები - 28-დან 25 ამ ცენტრის ფილიალებად ჩამოყალიბდნენ. მანამდე მათ თბილიის მერიის ოლიმპიური მზადების ცენტრები და სპეციალიზებული სკოლები ერქვათ.

თუ როგორ უნდა "ჩამოყალიბებულიყვნენ", ამის შესახებ სკოლებმა შესაბამისი ბრძანებები ფინანსთა სამინისტროდან მხოლოდ... 2007 წლის მარტში მიიღეს (?!), ანუ ბრძანება მათი ახალი რეგისტრაციის შესახებ, ხოლო სამოქმედო დებულება - ცოტა უფრო ადრე, 2007 წლის თებერვლის ბოლოს, ცხადია, ზემდგომი ორგანოდან. ამ დებულების მე-6 მუხლის ("ფილიალის საფინანსო სამეურნეო საქმიანობა") მეორე პუნქტში ეწერა ის, რასაც მანამდე ზეპირად აცნობებდნენ დაზარალებულ დირექტორებსა და მწვრთნელებს, კერძოდ, "ფილიალში სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშები და ყოველგვარი მომსახურება ფასიანია".

არადა, ცენტრების საქმიანობის მიზანში წერია: "მოსწავლე ახალგაზრდობის მოზიდვა სხვადასხვა სპორტულ სექციებში"... ფულიანი მოსწავლე-ახალგაზრდობისა - ეს მაინც ჩაეწერათ.

ლაპარაკია შიდაფისკალურ პოლიტიკაზე, რომელიც აუცილებლად კანონში ან რაიმე ნორმატიულ აქტში უნდა იყოს ასახული და არა ზეპირ მითითებებში. არის შესაბამისი ზოგადი კანონიც, მაგრამ დასაწყისში, სრული ქაოსი სუფევდა მოვარჯიშეებიდან ფულის აკრეფის დროს და გადასახდელი ტარიფის სიდიდეში (ზოგან ახლაც ასეა): ამისთვის მოუმზადებლებმა ჯერ მაღალი ტარიფით დაიწყეს და ხელში რომ აღარავინ შემორჩათ, მერე დაუწიეს ვარჯიშის მაზანდა. მძლეოსნობის სკოლაში, იცოდნენ რა თავისი კონტინგენტის შესაძლებლობების შესახებ, თვიურ გადასახადად სულ 10 ლარი დააწესეს, მაგრამ ბევრმა მშობელმა ბავშვი შინ წაიყვანა, - ჩვენთვის ესეც შეუძლებელიაო.

შესაბამისი საბანკო ანგარიშები ახალი ცენტრის ყველა ფილიალს გაუხსნეს (საერთო კოდით), მაგრამ, უეჭველად ამ "ბლიც-ოპერაციის" მიზეზით, ბანკში თანხების შეტანის საკითხში სრული ქაოსი სუფევდა, რაც ქალაქის ხელისუფლების ნაჩქარეობის გამო ხდება და ხდებოდა.

აკრეფილი თანხები ჯერ ბანკში უნდა მოხვდეს, საიდანაც მწვრთნელთა ხელფასებს გამოიტანენ. აქვე დავაზუსტებთ: მწვრთნელების თანხა რეალურად არა 40, არამედ 72 პროცენტია საერთო რაოდენობისა, რადგან სკოლამ მათ 32 პროცენტი უნდა დაუქვითოს - 12 - საშემოსავლო და 20 - სოციალური გადასახადი. დანარჩენი უამრავი ხარჯი კი დარჩენილი 28 პროცენტიდან უნდა გადაიხადონ?! მაგრამ ეს აშკარად შეუძლებელია.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ თვით ოლიმპიური მზადების მთავარი ცენტრიც კი, სადაც ასევე შემცირდა მოვარჯიშეთა (ძირითადად მოჭიდავეები არიან) რაოდენობა, დღეს მხოლოდ შუქის ფულს იხდის - მეტის საშუალება არ აქვთ, გინდაც ყველა მოვარჯიშემ შემოიტანოს თანხა.

მაგრამ ამაზე გაცილებით უარესზე, ალბათ ამ უცაბედი სიახლის ყველაზე საშინელ მხარეზე გეტყვით; თუ ზოგმა შედარებით მოკლე დროში მოახერხა და ცივილიზებული სახე მისცა გადასახადების გადახდას (მაგალითად, მიხეილ კეკელიძის სახელობის ცენტრმა), ზოგან ძალიან უსიამოვნო ფაქტების შემსწრე გავხდით: მწვრთნელებს თვითონ უხდებოდათ თავის მოწაფეებთან ურთიერთობის გარკვევა ვარჯიშისთვის ფულის შეგროვების დროს. მერე კი, სპორტულ სარბიელზე, სპორტისა და პედაგოგიკის საფუძვლები უნდა ასწავლონ მათ...

აქ მცირე გადახვევას გავაკეთებთ "პედაგოგიკის მთავარი ცენტრის", ანუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსკენ და ვიტყვით: ძალიან კარგია, რომ სხვადასხვა პროექტებს ხან ილია ჭავჭავაძის, ხან იაკობ გოგებაშვილის სახელებს არქმევენ, მაგრამ უკეთესი იქნება, მეტი ყურადღებით წაიკითხონ და გაითვალისწინონ მათი მოძღვრება პედაგოგიკის შესახებ. რაიმე შედეგზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ფიქრი... ძალიან მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მოზარდის ხასიათის ჩამოყალიბებაში სპორტს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე, ვთქვათ, ქიმიას ან ფიზიკას. ალბათ, უფრო პირიქითაა. განსაკუთრებით დღევანდელ დროს სპორტი, პატიოსანი შერკინება პედაგოგიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

ამჟამად სპორტული სკოლების მწვრთნელები დიდ გასაჭირში არიან. ზემოხსენებული უხერხულობის გარდა, როგორი ასატანია, როცა ბავშვს, რომლის მომზადებაზე ამდენი შრომა დახარჯე და მის ნიჭიერებაში ეჭვი აღარ გეპარება, დღეს ვარჯიშის ფული არ აქვს?! მართალია, უკვე ვილაპარაკეთ იმ უფასო ბარათების შესახებ, რომელიც ქალაქის მერიამ დააწესა ხელმოკლე ოჯახებისთვის, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია. რამდენიმე მწვრთნელმა, თავისი მოწაფის მაგალითზე მითხრა, რომ თუ სახლში ტელევიზორი გაქვს და ერთი ნაჭერი მარგარინი მაცივარში, ხელმოკლედ არ ითვლები. ნორჩი სპორტსმენისთვის კი არასრულფასოვანი კვება დამღუპველია. ახალ პირობებში სპორტული სკოლების ხელმძღვანელებს ოცნებაც არ შეუძლიათ სრულფასოვან სამედიცინო მომსახურებაზე, რაც ისედაც აქილევსის ქუსლია საქართველოს სპორტში და უაღრესად აუცილებელი, როცა საქმე მოზარდებს ეხება.

ცოტაოდენი ისევ იმ "ევროპულ მოდელებზე" უნდა ვთქვათ. ქალაქის მერს, ბატონ **გიგი უგულავას**, იქნებ, იმის დრო არ აქვს, მსგავს ინფორმაციებს გაეცნოს, ამიტომ ამ პატარა მისიას ჩვენ თავზე ვიტვირთებთ და რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ ევროპელების სპორტული ცხოვრებიდან (ეს ინფორმაციები დაგვითმო **თამაზ თევზაძემ**, რისთვისაც მადლობას ვუხდით. ისინი რამდენიმე წლის წინანდელია, მაგრამ მას შემდეგ იქ ვითარება არ შეცვლილა).

ევროპის მრავალ ქვეყანაში, რასაკვირველია, სხვადასხვანაირი მიდგომაა სპორტის დაფინანსების თვალსაზრისით, მაგრამ ბევრგან დიდი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ (ასევე რეგიონულ) ბიუჯეტებს, მათ რიცხვში, ცხადია, დედაქალალაქების ბიუჯეტებსაც:

8-მილიონიან **ავსტრიაში** ცენტრალური ბიუჯეტიდან ამ მიზნით 48 მილიონი ევრო გამოიყოფა, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსება ორჯერ მეტია - 80.3 მილიონი ევრო. კიდევ 36.3 მილიონი სპორტულ ლატარეაზე მოდის;

თითქმის ჩვენხელა, 5.5-მილიონიან **დანიაში** კი ამ ტენდენციას უფრო ფართო სახე აქვს: ცენტრალური ბიუჯეტიდან სპორტზე ყოვენლიურად 80.4 მილიონი იხარჯება, ხაზს ვუსვამთ - ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეუდარებლად მეტი - 361.8 მილიონი ევრო! 1.34 მილიონი რეგიონულებზე მოდის;

5-მილიონიან **ფინეთში** ქვეყნის ბიუჯეტის ხვედრითი წილია 250 მილიონი ევრო, ადგილობრივი და რეგიონული ბიუჯეტები უფრო გულუხვები არიან - 384 მილიონი ევრო; სპონსორები 65 მილიონით აფინანსებენ სპორტს;

2-მილიონიან **სლოვენიაში** ადგილობრივი და რეგიონალური ბიუჯეტებიდან თითქმის რვაჯერ მეტი თანხა გამოიყოფა, ვიდრე ცენტრალურიდან, ანუ 52.777 მილიონი ევრო. უფრო მეტი შემოდის კერძო სექტორებიდან - 54.139 მილიონი (ლატარიიდან - 3.914 მილიონი). სპორტისთვის ქვეყნის მშპ-ის გარკვეული პროცენტიც კი არის გათვალისწინებული - 2.134 პროცენტი;

**შვედეთში**, რომლის მოსახლეობა 9 მილიონზე ცოტა ნაკლებია, ცენტრალური ბიუჯეტიდან სპორტისთვის 50 მილიონი ევროა გათვალისწინებული, ადგილობრივი და რეგიონული ბიუჯეტებიდან - შვიდჯერ მეტი, ანუ 350 მილიონი, ლატარიიდან - 120 მილიონი;

**შვეიცარიას** პირდაპირ სარეკორდო მაჩვენებლები აქვს: ცენტრალური - 87 მილიონი, ადგილობრივი და რეგიონული - 550 მილიონი (?!), ლატარია - 49 მილიონი, კერძო სექტორი - 149 მილიონი;

დიდი ქვეყნების - გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის მაგალითებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ახლა კი ზეციდან ჩვენს "ცოდვილ" მიწაზე დავბრუნდეთ და ვიკითხოთ, რა გზას გაუყვნენ ჩვენი ყოფილი ძმები, ანუ საბჭოთა რესპუბლიკები. ჩვენი სპეციალისტების თქმით, რომლებიც მათ დღესაც სტუმრობენ, სპორტული ბაზების ტოტალური გაუქმება სხვაგან არსად მომხდარა. მაგალითად, ჩვენმა "ნარინჯისფერმა ძმამ", **უკრაინამ**, სრულად გამოიყენა ძველი მემკვიდრეობა. მართალია, პრივატიზაცია იქაც იყო, მაგრამ არც ერთი სპორტული ბაზისთვის პროფილი არ შეუცვლიათ, უფრო გააუმჯობესეს ისინი და, შესაბამისად, საწვრთნელი პირობები, რაზედაც აღტაცებით ლაპარაკობენ უკრაინიდან დაბრუნებული ჩვენი მწვრთნელები... **რუსეთის** პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 100 ახალი დიდი სპორტული სკოლის შექმნის ბრძანებულება გასცა სახელმწიფო ხარჯზე... ბაქო წელიწადში 2 მილიონ დოლარს გამოჰყოფს ფრენბურთელთა დასაფინანსებლად, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატშიც მონაწილეობდნენ...

საქართველოში სპორტული სისტემა მარტო კომუნისტებს არ ჩამოუყალიბებიათ. ამის მაგალითია საუკუნის წინანდელი შესანიშნავი "შევარდენი" - სპორტულ-პატრიოტული ტანვარჯიშის საზოგადოება. მისი წინამორბედი ჩეხეთში - "სოკოლი" კომუნისტების დამხობის შემდეგ, 1990 წელს ისევ აღადგინეს. იგი იმდენად ეფექტური იყო, რომ კომუნისტებმა, რომლებმაც 1948 წელს საბჭოთა ჯარების დახმარებით ჩეხოსლოვაკიაში ხელისუფლება ჩაიგდეს ხელთ, მისი ფორმა შეინარჩუნეს, ოღონდ ყველაფერს საკუთარი იდეოლოგიური ელფერი მისცეს...

სპორტში ყოველდღიური მუშაობა სწორედ სპორტულ სკოლებშია, რომელსაც თბილისში მთლიანად გადაუჭრეს დაფინანსების წყარო. ქვეყნის ბიუჯეტი ხომ მარტო მიმდინარე ცხოვრებას არ ემსახურება, იგი მომავლის გარანტიც უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, სპორტულ სკოლებში ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი, იქ "მკვდარი სულებიც" საკმარისად ჰყავდათ, ძველი, ინერტული აზროვნების მენტალიტეტიც აშკარა იყო და არაკვალიფიციური სპეციალისტებიც არ აკლდათ, მაგრამ თუკი ქვეყნის ბიუჯეტზე მყოფი ყველა ორგანიზაცია მკაცრად კონტროლდება (ჩვენთან კი მაკონტროლებელს რა გამოლევს), რა უშლიდა თბილისის მთავრობას, რომ მის დაქვემდებარებულ სპორტულ სკოლებსა და ცენტრებში წესრიგი დაემყარებინა? გაუქმებით რომ საქმე კეთდებოდეს, მთელს მსოფლიოში იდეალური სიწყნარე იქნებოდა.

კიდევ ერთხელ ვამბობთ: იმ პირობებში, როცა ჯერ მოფიქრებული და შემუშავებული არ არის ახალი მოდელი, როცა ქვეყნის კანონმდებლობაში არ არის ასახული სპონსორთა ინსტიტუტი და ლატარეა, ასეთ დროს ვინმე იფიქრებდა ბავშვთა სპორტის თვითდაფინანსებაზე მიგდებას? ჩვენთან კი ძალიან იოლად იფიქრეს და გადაწყვიტეს. იმ ბავშვებმა და მათმა მშობლებმა იკითხონ... და ეს იმ დროს, როცა საქართველოში აშკარად იმატა დანაშაულმა მოზარდთა შორის და 250 ათასამდე ოფიციალურად რეგისტრირებული ნარკომანია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ რეალურად ერთი ამდენი მომხმარებელი კიდევ უნდა მივათვალოთ. ისედაც სპორტში მომეცადინეთა რაოდენობა მოსახლეობის რიცხვთან შედარებით, კატასტროფული თუ არა, შემაშფოთებელი გახლდათ და ახლა, კიდევ რამდენიმე ათას ბავშვს ჩაუკეტეს სპორტისკენ მიმავალი გზა... იმ ქვეყანაში, სადაც ლამის ყოველი მეათე ნარკოტიკების მომხმარებელია. სამაგიეროდ, "გადარჩა" 4.1 მილიონი ლარი. რისთვის? ნუთუ ისევ არჩევნებისთვის?

მოკლედ, ეკონომია ბავშვების ხარჯზე ყველაზე მიმზიდველი წინადადება გამოდგა თბილისის მთავრობაში, თუმცა ყველაფერს მას ვერ დავაბრალებთ... სპორტული საზოგადოება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ღვაწლმოსილია და დამსახურებული (ცალკე თუნდაც იმიტომ, რომ შედეგები, დღევანდელიც კი, აშკარაა), მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან ინერტულიც. წყალსაც წაუღია ყველა მიტინგი თუ მანიფესტაცია, მაგრამ ამ საზოგადოებას, მის გამორჩეულ ნაწილს, თავის დროზე რომ მართლაც ეცადა და თავისი აზრი დაესაბუთებინა ქალაქის ხელმძღვანელობისთვის, ეს მოულოდნელი ცვლილება ბავშვთა სპორტში უფრო ასატანი იქნებოდა. ყველაზე იოლი კი, მოგეხსენებათ, სხვისი ხელით ნარის გლეჯაა...

დღეს ძველი ურემი დედაქალაქში უკვე გადაბრუნებულია. ახალს ახლა "ჩორკნიან". სპორტს კი, განსაკუთრებით მოზარდთა ასაკში, ძალიან არ უყვარს გაცდენილი დრო... კიდევ ერთხელ, ამჯერად დანანებით უნდა გავიმეოროთ ჭეშმარიტება, რომ სპორტი ერის სიხარულის, მისი გამთლიანების ერთ-ერთი საუკეთესო სიმბოლო და საშუალებაა.

**P.S. არის ერთი ქართული ფილმი კრივის მწვრთნელზე - "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ". დღეს ასე ველარავინ ჩაეწერება - ჯერ ფული უნდა გადაიხადონ.**

**გიორგი ჩოჩიშვილი**

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა